

ქ ა ნ დ ა მ ა დ ლ ე ნ ა

ო . შ ი რ ბ ო ს ი

თარგმანი

ნ ი ნ ო შ ა რ ა შ ი ძ ი ს ა

თბილისი.

სტამბა კ. თაყარაძისი.

1906

ქან და მადწენა

მომქმედნი პირნი.

ლუი ტიე, მოხუცი მუშა.

მადლენა, ამისი ქალი.

ჟან რულ. ახალგაზდა მუშა.

არგანდ, დიდი ქარხნის ჰატრონი.

რობერტ, ამისი შვილი.

ჟენევიევა, ამისი ქალი.

მეგრე, ანგანდის ქარხნის გამგე.

კაპრონ

დიუორმელი,

დელატრუდი,

ფილიპ ურტო,

ჟოეზეფ ბორდე,

ზეფერინ ბურრ,

რენო,

პიერ, პეინარდ,

ჟულ პაკო,

ფრანსუა გუჟ,

პიერ ანსომ,

კატია — დედაბერი.

მარიანა რენო, — მუშის ცალი.

გოგო.

მსახური ბიჭი.

ცნობის მოყვარულნი.

გადამტანნი.

ქალები.

ბავშვები.

მექარხნეები.

მუშები.

მოქმედება პირველი.

მუშის ოჯახის სადგომი ქარხნის უბანში. კარები ორ დიდ თანჯრებს შუა, საიდგანაც მოჩანს უხეირო, ყაზარმისებური ქარხანა, საკომლე მილებით. მარჯენივ, გადაკედლულთან ორი საბავშო ლოგინი დგას, იატაკზე ლეიბი, მარცხნივ კარია, მეორე ოთახში გასავალი. შუაზე, პატარა ღუმელთან, რომლის მუხლებიანი მილი კედელშია გაყვანილი, დგას მაგიდა, რომელზედაც საკერაუი და საცვლები ყოფილა; ალაგ-ალაგ სკამები დგას, რომლებსაც დასაჯდომი ჩაღუნული აქვს; იქვე კურკლის შკაფია... (მორთულობა ღარიბულ ა.)

გამოსვლა I.

მადლენა და ბავშვები.

(ბავშვები წვანან ლოგინში. თარდა რო ახსდება, მადლენა ათავებს ბავშვების დაწვენას; ნელის დიდანით ჰკოცნის მათ).

მადლენა. აი ეგრე, ეგრე! ჰკვიანათ იყავით, ძვირფასო ბავშვებო—და იძინეთ!.. (რამდენიმე წუთს ასე დგას ლოგინსკენ დახრილი. პატარა ქვაბი სდუღს ცეცხლზე... კარები, რომელიც ქუჩაში გადის, დიაა. შორს მოსჩანს ქარხანა რომელიც შებინდებაში, კომლისაგან გაშავებულ ცის ქვეშ ვერ შავათ გამოჩნდება მერე ნელ-ნელა თეთრდება. შესახვევში მიდიან დაქანცული, წელში მოხრილი მუშები. ლოგინში მწოლარე ვაჟი ტირილს დაიწყებს.)

მადლენა. პოლ, ჩემო ძვირფასო ბიჭიოკო! გაჩუმდი, იძინე, შენი პირიმე!.. (ბავშვი გაჩუმდება. მადლენა მიუჯდება მაკიდას,

ღუბელთან, აანთებს ღამზარს და კერვას დაიწყებს, ვიღაცა მუშა მიდის ქუჩაში სიმღერით; სიმღერა თანდათან მისუსტდება ბოლოს სრულიად მიწყდება შორს. სინჟუკა, შემოდის ბებერი კატარ ქოთანთ ხელში.)

გამოსვლა II

მადლენა და ბებერი კატარა

კატარ. ეგების ცოტადენი წვნიანი მასესხო მადლენჯან?

მადლენა. რატომ არა, გასესხებ, ბებია კატარა! დღეს დილით გამოგვიგზავნეს ბატონიანთ სახლიდან.

კატარ. შვილისათვის მინდა!.. ესეცაა სახლში დაბრუნდა და ისეთი გააცივა, ისეთი გააცივა!.. ნეტავი დიდი ავადმყოფი კი არ შეიქნეს და!.. ღმერთო, დამიხსენ!..

მადლენა. რას ამბობთ, ბებიჯან! კარგათ გეყოლებათ! ციება ხომ აქ მუდმივი სტუმარია! ციებაში საკმელიც კი აღარ უნდა... (ადგება, გამოართმევს კატარს ხელიდან ქოთანს და მუამდე ჩასახმს შიგ წვნიანს) აი წვნიანიც! მეტის მოცემა კი არ შემიძლიან!.. ცოტალა მრჩება!..

კატარ. გმადლობ, ჩემო მადლენა!.. (აჩვენებს მარცხნივ კარებზე) დედა როგორღა არი?

მადლენა. ცუდათ—ბევრათ ნააგებია!..

კატარ. მართლა?.. რომ მომავონდება, რა ჯანმრთელი დედაკაცი იყო!.. რამდენჯერ მითქვამს, ასე თავს მოიკლავ მეთქი, მთელი ღამეები საკერავს უჯდა!..

მადლენა. მართალია, მაგრამ რა ექნა, რომ გაქირვება არ ასვენებდა!..

კატარ. თქვენც გაუფრთხილდით თავს; მადლენა! ერთი ხანია თქვენც ისეთი ფერმკრთალი შეიქენით, ისე გახდით, სახე ისე დაგიპატარავდათ! თქვენ ხნოვანებაში ეს ძალიან საშიშია! გაუფრთხილდით როგორმე თავს!..

მადლენა. რა უნდა ექნა, ბებია კატარ, რომ საქმე დასვენებას და თავის მოვლას არ მანებებს! უნდა ძალაზე ვიშრომო, რომ როგორმე თავი გამოვიკვებო! მაინცა და მაინც მე ბევრათ უფრო ღონიერი ვარ, ვიდრე ეს შეხედულებით მეტყობა!..

კატარ. (დაჯდება მადლენას გვერდით და მუხლზე ქითანს დაიდგამს) აი დღეს დილით ქარხნიდან დაუთხოვიათ რენო, ტორელუ და ლურდიე!.. უეკველათ ესეც იმ უგვანი მეგრეს ოინებია!.. სწორეთ ეგრეა! ეს იმისი საქმეა!..

მადლენა. ესენი ყველანი კარგი მუშები იყვნენ!

კატარ. დიახ! მაგრამ... (ფრთხილად მიხედ-მოიხედავს; განსაკრძობს ხმის დაბაღებით). ამბობენ, იქითა კვირას იმათ დაუკვებნიათ—მექარხნის წინააღმდეგ კენჭი მიეცეცითო... გაიგეთ! ცოტა მეტი გადაუკრავთ!.. ჩვენში ხომ ენას მუდამ კბილებს უნდა აქერდე, რომ მეტი არაფერი წამოგცდეს; თუ ენას არ გაუფრთხილდი, სრულიად გულუბრყვილოთ რამე წამომცდებო. და ვინ იცის როგორი ბოლო მოჰყვება!.. ერთი საათიც არ გავა, რომ ნათქვამს ძღვნათ მიუტანენ მეგრეს! ამის შემდეგ ხელათ კი დაითხოვენ ქარხნიდან! მერე, რენეს ცოლი ხომ ფეხმძიმეთ ყოფილა მეშვიდე შვილზე!.. სწორეთ ის დედაკაციც გიჟი ვინმეა! მე არც კი მჯერა, რომ მექარხნემ ყველა აქაური ამბები იცოდეს! არგანდი, მართალია, მკაცრი კაცია, მაგრამ სამართლიანიც არის! ის მეგრეს გულისათვის არ უყვართ!..

მადლენა. არა... არა... ეს ასეა.

კატია. მას შემდეგ, რაც ჩვენი დიასახლისი მოკვდა, სულ უარესათ და უარესათ მიდის ჩვენი ცხოვრება! ბევრი რამ დავკარგეთ იმის სიკვდილის შემდეგ! რაღა თქმა უნდა, რომ იმის მაგივრობას ვერასოდეს ვერ გავვიწყებს ეს პრანქია ჟენევიევა!.. რა უნდა გითხრა, მადლენა! დღეს დილით ბატონიანთ სახლში ვიყავი.

მადლენა. იყავით?..

კატია. ჰო, ვიყავი და როგორც დედაშენს ხატავდა, ისე ახლა მე მხატავს ეს ჟენევიევა: გამიკეთებს ხოლმე ლურჯ-ზოლებიან წინსაფარს, ყელზეც ყვითელ ყელსახვევს მომახვევს, ფეხთან ფორთოხლებიან კალათს დამიდგამს—რას არ მოიგონებენ! როგანახათ რა ნაირი ოთახი აქვს—სამხატვრო! დიდი, დიდი და რაები არ უდგას შიგ! რა ბევრი ნივთებია: შკაფები, სარკეები, ხალიჩები, რა არ არის, რა! მერე, იცით რა თქვა? ასე სთქვა, ვითომ მე დედა-თქვენზე ლამაზი ვიყო! ვითომ მე... როგორ სთქვა!.. პირის სახე სპილოს ძეღისაგან აქვს გამოთლილიო—აი სწორედ ასე სთქვა!.. და ორი ფრანკიც მომცა... თქვენსაც დედა ამდენს, ამღევდა?

მადლენა. დიახ, ბებია კატია.

კატია. არა უშავს, არა უშავს! ცოტაოდენი გროში მაინც შეეძინება კაცს და ესეც კარგია! დიახ! (დგება) აი კიდევ რა გითხრათ! გაიგონებდით, რომ დღეს დილით მოსულა პარიჟიდან ბატონი რობერტი; ალბათ შეურიგდა მამას. დიდი ხანია ის აქ აღარ გვინახავს.

მადლენ. დიახა! ოთხი წელი მაინც იქნება.

კატია. არგანდის მეუღლის სიკვდილის შემდეგ აღარ გვინახავს. ლამაზი ვაჟი კია რობერტი, ჩემო კარგო! კეთილი გულისაღ არი, კარგია, ისეთი თავაზიანი, ისეთი ზრდილობიანი—სულ დედასა ჰგავს... ამბობენ, ქარხანა რო მის ხელში გადვიდოდეს, ის მუშებს გადასცემდაო... თქვენ როგორ ფიქრობთ?

მადლენა. რაებს არ იტყვიან!..

კატარ. ეგეც მართალია!.. მაგრამ მაინც რობერტი სამართლიანი კაცია... ცხვირს მალლა როდი იწევს... და მუშაც უყვარს, მაგრამ, კმარა წასვლის დროცაა!.. (უჩვენებს წინაან ქათანს) ხვალ მოგიტანთ!.. მშვიდობით, მადლენა! კარგათ ყოფილიყო!

მადლენა. გმადლობ, ბებია კატარ!

კატარ. ღამით ვინიცობაა რამე მოხდეს, იცოდეთ, არ მომერიდოთ, დამიძახეთ.

მადლენა. კარგი, კარგი! ღამე მშვიდობისა!

კატარ. ღამე მშვიდობისა! (გადის. ბინდი მატულობს და სახევეში სწრაფათ მიმავალ მუშების ღანდი. ქარხანა ისე მასხანს დაბნელებულ ჰორიზონტზე, თიანქო იწვისო: ქარხნის მსახურ ქმენა მოისმის... მადლენა ისევ საკერავს უზის, დახრილი. შემოდის ჟან რულ).

გამოსვლა III

ჟან რულ და მადლენა

ჟან. საღამო მშვიდობისა!

მადლენა. საღამო მშვიდობისა, ბატონო ჟან!

ჟან. მამა წავიდა კიდევ ქარხანაში?

მადლენა. არა, ბატონო ჟან, მამა ამ საღამოს ვერ წავა ქარხანაში!.. (უჩვენებს მარცხნივ კარებზე) ის დედასთანაა!

ჟან. მართლა!.. როგორ არის დედა?

მადლენა. არავითარი იმედო აღარ არის!..

ჟან. ექიმი იყო?

მადლენა. ესეცაა წავიდა; დაადო ხელი შუბლზე, გაუსინჯა მაჯა... სთქვა—აქ ველარაფერს ვერ გააწყობო.. და წავიდა!.. (სიჩუმე). აღარც მოვა ამის შემდეგ... (სიჩუმე).. მგონი მეძახიან?!

ჟან. არა!.. (ქუჩაზე უჩვენებს) აი იქ... მღერიან, თუ სტირიან!.. შორიდან ისმის.. ვერ ვარჩევ.

მადლენა. (დააუურებს) მართალია!.. ეს აქ არ არის... (მაინც მიდის კარებთან, რომელიც მეორე ოთახში გადის; წყნარათ შეადებს და შეისვენავს; დაბრუნდება სტოლთან). საწყალი მამა ძალიან დაიღალა!.. ორი ღამეა ავადმყოფს არ გაშორებია. მხოლოდ დღეს არ წასულა სამუშაოზე...

ჟან. თქვენ, მადლენა, თქვენც ხომ დაიღალეთ!.. თქვენც ძალიან გექვივრებათ გამოძინება... ცოტა ხნით მაინც მიწოლილიყავით ქვეშაგებზე!

მადლენა. უიმისოთაც დავაგვიანე საკერავი... მერე მუდამ აქეთ-იქით უნდა ვირობინო... დედას როცა რამ დასჭირდება, მამა ყოველთვის ბაშვივით იქცევა... ვერასოდეს ვერაფერს ვერ პოულობს... მე კი ამ ოთახში უნდა ვიმუშაო, რაკი ცოტაოდენი ხმაურობაც ავადმყოფისათვის აუტანელია!..

ჟან. (დადის ოთახში). საბრალო კლემანსი! (სიჩუმე) სანამ ფეხზე იდგა, განუწყვეტლივ შრომობდა... სულის მოსაბრუნებელი დროც კი არ ჰქონდა!.. და ჩავარდა კიდევ ქვეშაგებში ცოცხალ-მკვდარი! (მიჯდება კუთხეში) რამდენი წლის იქნება, მადლენა?

მადლენა. ორმოცდა ოთხი წლისაა.

ჟან. (მწარედ) ორმოცდაოთხი წლისა! რანაირი მოტეხილი, დანაოკებული სახე აქვს და ერთიანათ გაქალაქებულია! ორმოცდაოთხი წლის დედაკაცი სამოცდაოთხი წლის გეგონება! (სიჩუმე)... ბევრი ვარც ამდენს სცოცხლობენ აქა! აქ სიკვდილს ჰაერთან ერთად ჰყლაპავს ადამიანი! (მოისმის

გუდოკის ხმა და ერთი ხმაურობა ქარხნიდან) საბრალო! რა მაგარი აგებულებისა იყო!.. რა ღონიერი, სიცოცხლით სავსე ადამიანი!..

მადლენა. სიცოცხლითაც სავსე იყო და მწუხარებითაც!

ჟან. ეგ ერთი და იგივეა!

მადლენა. რა არ აიტანა საბრალომ. პიერი მანქანამ რო გასრისა, ისეთი ყოჩაღი ბიჭუნია! ჟოზეფი, ქლეკით რო მოუკვდა, ცხრამეტი წლის ვაჟი!.. ეს უკანასკნელი უბედურება იყო იმის ცხოვრებაში!..

ჟან. დიახ, დიახ!..

მადლენა. რანაირათ მწყენია, რომ თქვენ ვერ იცნობდით ვერც ერთ ჩემ ძმას, ბატონო ჟან!..

ჟან. დიახ!.. დიახ!.. (სისწყვე) წინათ ლამაზი უნდა ყოფილიყო დედა თქვენი—არა?

მადლენა. არ ვიცი!.. მე ის მუდამ ასეთი მახსოვს, როგორიც ახლას!.. ისეთი, როგორიც იყო ის ერთის წლის წინათ, თქვენ რო პირველათ გაიცანით... მგონი ამ ერთი წლის განმავლობაში და ავადმყოფობაში ის დიდათ არც კი გამჩრცვლილა!..

ჟან. საწყალს მე არ ვუყვარდი?

მადლენა. იმის აზრით თქვენ მეტისმეტი დაღვრემილი იყავით... ცოტათი ეშინოდა თქვენი...

ჟან. თქვენც დედი თქვენის აზრისა ხართ, მადლენა?

მადლენა. ოჰ, მე თქვენი არ მეშინიან, ბატონო ჟან!

ჟან. ნუ მეძახით, მადლენა, „ბატონ ჟანს“. რატომ მეძახით „ბატონ ჟანს?“...

მადლენა. არ ვიცი!.. რაღაც უნებურათ მომდის... იმიტომ, რომ თქვენ რაღაც სხვანაირი ხართ... თქვენ არ გეცხართ სხვას.., თქვენ სხვებზე კარგი ხართ!.. მე ყოველთვის კარგათ ვერ გამიგია თქვენი სიტყვები, მაგრამ ვგრძნობ კი, რომ ყველა თქვენი ნათქვამი კარგია და სიმართლეა... დედა

ნამეტანი დაქანცულია, ნამეტანი მოხუცებულია და იმიტომ არ. ესმის თქვენი ლაპარაკი... ის ჩემსავით ვერ იგრძნობს თქვენ სიტყვებს!..

ჟან. მე სრულიად არაფრით არა ვარ, სხვაზე უკეთესი მაღლენა!.. მეც ისეთივე.. პროლეტარი ვარ, როგორც სხვანი.., მაგრამ ჩემს გულს მეტი ბოღმა აწევს, ვიდრე სხვისას, ალბათ იმიტომ, რომ მე ჩემს სიცოცხლეში ბევრი ქვეყნები დამივლია, ბევრი სილატაკე მანახავს; ხასიათის სიმაგრე და სულის სიმტკიცე კი იმდენი არ მქონია, რამდენიც საჭიროა და სასურველი იყო ჩემთვის... ამიტომაც ჩემ გულში ბევრი სიმძულვარე, ბევრი ზიზღი შეგროვდა... დიახ, აი აქა!..

მადლენა. დავიჯერო, რომ თქვენში ბევრი იყო მძულვარება! თქვენ ხომ ასე გულკეთილათ ეპყრობით მამას, ისე ეალერსებით ბავშვებს. ჩემთანაც ისე გულკეთილი ხართ!..

ჟან. ეს მართალია!.. მე თქვენ ძალიან მიჰყვარხათორ, თქვენ ყველანი... და ძალიან მინდა, რომ ყველანი ბედნიერათ ცხოვრობდეთ...

მადლენა. არა, აქ ბედნიერი არავინაა... ბატონ... (აღარ ათავებს, რაკი ხედავს, რომ ჟანი ხელის გაქნევით წინააღმდეგია ამ სიტყვის) ჟან...

ჟან. არსად არ არის ბედნიერება!..

მადლენა. ჟან, ჟან!.. თუ უბედური ვინმეა, ეს თქვენა ხართ!..

ჟან. (აღგება და დადის ოთახში, ცდილობს დაფაროს მღელვარება). ასე! თქვენ ახლა დედის მაგიერი ხართ ყველა ამ პაწაწინებისათვის (მძინარე ემაწვილებზე უჩვენებს). თქვენ მეტათ ნორჩი ხართ ასეთ მძიმე მოვალეობისათვის... მამა კი თანდათან კარგავს მხნეობას... (მადლენა არ უპასუხებს; ტირილს დაიწყებს). რათა სტირით?

მადლენა. (ცდილობს ცრემლები შეიკავოს) ალბათ დალლი-

ლობისგან... და იმიტომაც, რომ დედა... თქვენც. მას უკან, რაც თქვენ აქ მოხვედით, სულ მეტირება... (წასქლება ცრემლები) მერე!.. მე არ შემიძლიან, არა მაქვს ღონე იმათი აღზრდისა... ჟან, ჟან!.. მე ვერასოდეს ვერ ვიქნები მათთვის დედის მაგიერი!.. ვერ შევიძლებ... ვერ შევიძლებ... მე მირჩევნია მოვკვდე...

ჟან. (მალენას ხელებს დაუჭერს, ეაღერებს) საბრალო ჩემო მადლენა!.. (მადლენა ცოტათი დამშვიდდება) იტირეთ იტირეთ... ცრემლები სულს უმშვიდებს კაცს!..

მადლენა. მომიტყვევთ. მაპატიეთ... ახლა გათავდა—მეტს აღარ ვიტირებ!.. (წამოდგება; ასწორებს ცეცხლს ღუმელში, სადაც ქვანი თბება, იწმენდს ცრემლებს და მიდის საკერავათ. ჟან მიდის ღია კარებისაკენ. ქუჩაში მალად დაბნელებულია, ქარხანა კი განათებული მოჩანს; ისმის დიდი ჩაქუჩების ცემა, შესასვლეში მიდიან მუშები, შესდგებიან, იღვანარაკებენ დახალის სმითა და მიდიან. მადლენას მამა, ლუი ტიე გამოდის ავამიყოფის ოთახიდან)

გამოსვლა IV.

ივინივე და ლუი ტიე.

ლუი ტიე. მადლენა! წადი დადაშენთან. (დაინახავს ჟანს) ოჰ, ეს თქვენა ხართ?

ჟან. აბა, როგორ არის?

ლუი ტიე. (თვის ქსკვით) უბედურება ჩვენ ხომ მუდამ დარაჯათ გვიღვას (მადლენა გაკმარება დედის ოთახისაკენ)! რა უსამართლობაა!

მადლენა. დაეწვინე ბაშვები მე... ძალიან ეძინებოდათ...

ლუი ტიე. კარგი გიქნია!.. დედა იმათ ველარ დაუძახებს თავისთან... ბავშვებზე ფიქრიც კი აღარ შეუძლიან საბრალოს!.. იგი ველარაფერზე ველარ ფიქრობს (ქანს) ჯერ კიდევ მცნობს... მაგრამ ველარ ვარჩევ რას შეუბნება!.. (მადლენა წენარათ გადის).

გამოსვლა V.

ივინივე მადლენას გარდა.

ლუი ტიე. იგი ვერ გაათენებს ამ ლამეს!.. მე კი პირუტყვივით დამეძინა!.. ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი, რომ ეს შესაძლებელი ყოფილიყო!.. რა გვეშველება ეხლა უამისოთ!.. (ქანი დადის ოთახში, დაღვრემილი და მკაცრი შესხედულება აქვს; იგი მისურავს შემოსავლელ კარებს და ღუშელთან ჯდება. ლუი ტიე ბავშვებს დასცქერის) ღმერთო, ღმერთო ჩემო, რა ეშველებათ ამათ?..

ჟან. ის ეშველება, რომ მეტი სილატაკე მეტი გაჭირვება, მეტი უბედურება დაუხვდება ყოველ ფეხის გადადგმაზე— აი რა!..

ლუი ტიე. ეს უსამართლობაა—საშინელი უსამართლობაა!..

ჟან. ესენიც ისე დაილუპებიან, როგორც ორი უფროსები დაილუპენ!

ლუი ტიე. საშინელი უსამართლობაა, საშინელი!

ჟან. რა არის უსამართლობა?

ლუი ტიე. მე არასოდეს არავისთვის არა დამიშავებია რა!..

ყოველთვის კაი მუშა ვიყავი..

ჟან. პერე რა?

ლუი ტიე. რა და ისა, რომ უსამართლობაა მეთქი, ვამბობ, ასეთი ჩემი უბედურება!..

ჟან. სრულიადაც არაა უსამართლობა! პირიქით, ეს ასეც უნდა იყოს, თითონ შენ გინდა, რომ ეს ასე იყოს...

ლუი ტიე. არა!.. არა!.. გაჩუმდი, ახლა ამაზე ნურათფერს მეუბნები!.. მე ახლა მეტის-მეტი უბედური ვარ!..

ჟან. მაშ მე დავიციდი, დავიციდი იქამდისინ, სანამ შენ ბედნიერი გახდებოდე... დავიციდი იმ დრომე, სანამ შენ მოკვდები, სანამ მადლენა მოკვდება... სანამ აქ ყველანი ამოიხოცებიან, დიდ ხანს ლოდინი არ დამპირდება... შენ მგონი ვერც ხედავ, რა ხდება ჩვენ გარშემო! შენ ვერასოდეს ვერ ამჩნევდი შენი ქალის მიმქრალ სახეს, იმის მოქანცულ, დედაბრულ მოძრაობას და სიარულს... 18 წლის ქალი ასე უნდა იყოს? შენ ვერ ამჩნევ იმის ჩაცვივულ ლოყებს, გატეტკალ ბაგეს, ვერც ამ საბრალო ბაღლებს გამხმარ-გაყვითლებულ პაწაწა ხელებს ამჩნევ!..

ლუი ტიე. გაჩუმდი!.. ნურათფერს მეტყვი ამაზე (შკაფიდან ჰურის ნატქის იღებს) როდი მშიან, თუმცა გუშინს აქეთ პირში არათფერი ჩამიღვია! რა დროს ქამა იყო!.. ახლაც ლუკმა არ გადადის ყელში... ისევ ყელზე მადგება... (ჰურს უკანუე შკაფში შედებს; შესვამს რამდენიმე მონაქმა წყალს და ხელ-ახლა დაჯდება. დიდხანს სიჩუმეა) შენა? შენ არ მიღიხარ ამ საღამოს ქარხანაში?

ჟან. არა და არა!.. ვფიცავ არათფერი არ წავალე.. (მიღის ლუიტირესთან და მხრებსზე ხელს ჰკიდებს). შენ ზედმეტი ხარჯი მოგელის და უთუოთ ფულიც არა გაქვს, წაიღე (ასლევს ფულს),

ლუი ტიე. მე ისეც ბევრი მმართებს შენი!..

ჟან. ეს ფული მარტო ჩემი არაა—შენი და ჩემი ნაშო-

ვარია, ორივესი... ის შენც გეკუთვნის (ღუი წყნარათ მადლო-
ბას ეტყვის და წინანდულად ზის დაღონებული, თავ-ჩადუნული. ჟანი
ოთახში წინ და უკან დადის, არახუნებენ კარებზე) ვილაც კარებს
არახუნებს გესმის? (კიდევ არახუნებენ).

ლუი ტიე. შემოდით!.. (შემოვლენ რობერტ და ჟენევიევა,
რომელსაც ხელში კალათი უჭირავს... ჟენევიევა უბრალოთაა
ჩაცმული).

კამოსვლა VI.

ჟენევიევა, რობერტ, ჟან, ლუი ტიე.

ლუი ტიე. აა! ქალბატონი ჟენევიევა!.. ბატ. რობერტი!..
დიდი ხანია აღარ გვინახიხართ!.. თქვენ მაშ დამბრუნებლხართ
ჩვენსკენ, ბატ. რობერტ?

რობერტ. დიდი ხანი არაა რაც დაბრუნდი... ჟენევიე-
ვამ მითხრა, თქვენი მეუღლე ძალიან ავით ყოფილა—საბრა-
ლო ტიე. (სელს ჩამოართმევს).

ლუი ტიე. დიახ, დიახ... ჩვენ ოჯახს დიდი უბედურება
მოადგა კარს, ბატონო რობერტ...

ჟენევიევა. (დადგამს კალათს სტოლთან) აბა, როგორ
არის ავთმყოფი ამ საღამოს?

ლუი ტიე. ოჰ, ბატონო ჩემო, ძალიან ცუდათ, ძალიან
ცუდათ!..

ჟენევიევა. რითია ავთ?

ლუი ტიე. მეტისმეტი ღონემიხდილი გახლავს... სრუ-
ლიად მოსხლტა და სიცოცხლის ძალ-ღონე აღარ აქვს, ის

კვდება უზომო მწუხარებისა, გაქივრებისა და აუტანელი შრომისაგან.

ჟენევიევა. მე დარწმუნებული ვარ, თქვენ ტყუილად გაგტეხიათ გული!.. იმას დასვენება და ღონის მომგვრელი საშვალება სრულიად გამოაბრუნებს; აი კაი ძველი ღვინო მოვუტანე და ბევრი სხვა ნოყიერი საქმელები, ესენი მალე მოაკეთებიებს ავათმყოფს.

ლუი ტიე. ოჰ, ბატონო ჩემო! თქვენ მეტათ გულკეთილი ბრძანდებით .. მაგრამ იმ საწყალს აღარაფრის ქამა აღარ შეუძლიან!.. ის უკვე დაიღუპა!..

ჟენევიევა. ნუ თუ ეს მართალია?.. ვერ წარმოიდგენთ, რა რიგად შეწუხებული ვარ ამ ამბით!.. ასეთი ერთგული, თავგანწირული ძველი მოსამსახურენი... თქვენ ისეთი კარგი ადამიანები ხართ... ისე გვიყვარხართ... არ შეიძლება ვნახო ჭადმყოფი?

ლუი ტიე. რასაკვირველია შეიძლება, ბატონო ჩემო!

ჟენევიევა. (ცოტა უკან დაახვეს) ის ხომ ძალიან არ გამოცვლილა?.. ძალიან საშიში სანახავი ხო არ არის?.. იმი - ტომ ვკითხულობ, რომ მე ვერ ვიტან საშიშარ სანახაობას!..

ლუი ტიე. ოჰ! ის სრულიად დამშვიდებულია მტყუდულობით გეგონებათ სძინავსო... ძალიან გაეხარდება უკანასკნელადა, თქვენი ნახვა--

ჟენევიევა. როგორ თუ უკანასკნელათ? მე კიდევ შოვალ.. მე ყოველ დღე ვივლი... აი ნახეთ, რომ ჩვენ იმას მოვარჩინთ! (ბავშვებს რა შენიშნავს)... მძინარე ანგვლაზებელ რა მშვენიერები არიან! მადლენა სადაა?

ლუი ტიე. ის დედასთან გახლავთ.

ჟენევიევა. რა კარგი ქალია მადლენა!.. რატომ არასოდეს ჩემთან არ შემოდის? უთხარით ჩემ მაგიერ, ხშირათ იაროს ხოლმე ჩემთან!..

ლუი ტიე. ის (ცოტათი გილუური გახლავთ!..

ჟენევიევა. მე მოვაშინაურებ იმას!.. მე ის ძალიან მიყვარს!.. ოხ, ეს საბრალო კლემანსი! (გაფანტულათ ათვადიერებს სტოლზე მადლენას ხელსაქმეს) გახსოვთ, ჩემთან რო უემოდინოდა და მე ვხატავდი? ისეთი ნაღვლიანი სახე ჰქონდა, ისეთი მშვენიერი თავ-ყელი! ნამდვილი Mater Dolorosa იყო რანაირად მალეღვებს ეხლა ყველა ეს მოკონება!.. (ტიესთან ახლო მიდის) მე თქვენთვის დავხატავ იმის პორტრეტს! უსათუოთ დავხატავ დიდ პორტრეტს. (რობერტს მოძრაობა, მოუთმენლობა და დარცხვენა ეტეობა ჟენევიევას სიტყვების გამო).

ლუი ტიე. ოჰ ბატონო ჩემო!..

ჟენევიევა. დიახ, დიახ, დავიხატავთ დიდს პორტრეტს იმისას.., თუ ღმერთი გწამთ წამიყვანეთ მასთან... მინდა ენახო ისა... რა უბედურებაა! რა მართალი, პატიოსანი ხალხია და რამდენი ხანია ჩვენთან არიან!..

ლუი ტიე. უკვე 27 წელიწადია, ბატონო ჩემო!

ჟენევიევა. 27 წელიწადი!.. წარმოიდგინეთ!.. მშვენიერება არაა! (აჩქენებს კალათს:) ამ კალათში კანფეტები პაწაწები-სათვის და კორსაჟი მადლენასათვის (მიდის ოთახის მარცხენა კარებისკენ, ლუიცი მიჰყვება!) რა რიგათ უემაწუბებს ახლა მე ეს!.. (ჟენევიევა და ლუი ტიე შედიან ავამეოფის ოთახში). ამ დროს განმავლობაში უანი დამკდარია, ხანდახან ჟენევიევას შესედავს სიმსუფრეთი, რობერტს კი ცნობის-მოყვარეობით სინჯავს, რობერტთან რომ დარჩება, წამოდგება, აიღებს თავის ქუდს და წყნარათ კარებისაკენ გაემართება ისე, ვითომც და რობერტს არ ხედავდეს; ღია კარებიდან ამ ხანში სულ მოჩანს ქარხანა, რომელიც ძალიან განათებულია და კომლში გახვეული; ქარხნიდან ხმაურობა მოაქმის).

გამოსულა VII.

ჟან და რობერტ

რობერტ. უკაცრავათ.. თქვენ მილიხართ?

ჟან. დიახ!..

რობერტ. თქვენი გაქცევის მიზეზი მე ვარ?

ჟან. შესაძლებელია!.. არა!

რობერტ. თქვენ მუშა ხართ ქარხნიდან—არა?

ჟან. თქვენ რაში გეკითხებათ მუშა ვარ მე თუ სხვა ვინმე? (უნდა გავიდეს).

რობერტ. დარჩით!.. გთხოვთ დარჩეთ!.. მითხარით თქვენი სახელი!..

ჟან. მე სახელი არა მაქვს.

რობერტ. ჰო!.. (მოკლე სიჩუმე) რატომ ასე მელაპარაკებით? თვენ ხომ ვერ მიცნობთ მე!..

ჟან. რატომ ასე მეკითხებით? მე თქვენთვის სათქმელი არაფერი მაქვს.

რობერტ. ოჰ!.. (ხელს გაუწვდას) მე მეგობარი ვარ თქვენის!..

ჟან. (დასტურდება და თავითუკხამდე ამოყად ათვლურგებს) დიახ!.. დიახ!.. ვიცი, როგორ არა, მექარხნის შვილი ხართ, რევოლუციონერი და სოციალისტი... ეგებ ანარხისტიც!.. ეს ახლა დიდ მოღაშია ბურჟუაზიულ წრეებში, ისე კარგი გასაგონია... იმდენი კობტაობაა ამ სიტყვებში .. და ისე ჰარმონიულათ შევენის ეს სიტყვები იმ მილიონებს, რომლებსაც ჩვენ თქვენთვის ვაგროვებთ... (შკატრათ)... თავი დამანებეთ; თუ ღმერთი გწამთ!..

რობერტ. მე თქვენ არ გაძლევთ ნებას, რომ ექვი შეიტანოთ ჩემ გულწრფელობაში!..

ჟან. მე.. მე კი არ გაძლევთ ნებას, რომ იფიქროთ, ვითომც სულელი ვიყო!

რობერტ. მე საქმით დავამტკიცე და კიდევ დავამტკიცებ...

ჟან. თქვენგანით წარმოთქმული სიტყვები.. თქვენი სტატიები, თქვენი წიგნები.. მე ვიცნობ იმათ... მე ივინი წამიკითხავს... დიახ! მე წამიკითხავს მათში!.. სწორეთ რომ

ბევრი გრძნობაა მათში!.. შერიგება... საერთო ბედნიერება .. ძმობა... კიდევ რაღა?... დიახ! თქვენ საუცხოვოთ გალობთ თქვენ საგალობელს!.. მაგრამ იცით, რომ მე მამა თქვენი უფრო მომწონს!.. ის სასტიკია, შეუდრეკელი... ის ჩვენ გვხოცავს შრომითა და შიმშილით, მაგრამ, ასეა თუ ისე, ის ჩვენ თვალს მაინც ვერ აგვიხვევს...

რობერტ. აქ საქმე მამაჩემზე არაა, აქ ლაპარაკი ჩემზეა!..

ჟან. თქვენზე? (მსრების აშშუშვნით) გირჩევენიათ სხვა მუშებთან წახვიდეთ თქვენის მკვერ-მეტყველებით. იმ საბრალო, შეუღნებელ მუშებთან, რომელთაც არ იციან, თუ რა ეჭირვებათ და კიდევ სწამთ ძალა სიტყვისა... მე კი... მე მწამს მხოლოდ ძალა მოქმედებისა და კარგათაც ვიცი რაც მეჭირვება!..

რობერტ. (ხაღვლიანათ) მართლა იცით კი რა გეჭირვებათ?..

ჟან. (სიცხარით) მე მეჭირვება სიცოცხლე, სიცოცხლე სხეულითაც და გონებითაც, სიცოცხლე მთელი ჩემი არსებით, მინდა ვიცოცხლო და არა საკურტნე პირუტყვი ვიყო, ისეთი პირუტყვი, რომელსაც უწყალოდ უტყლაშუნებენ შოლტებს; არც შეუღნებელ მანქანათ ყოფნა მინდა, ისეთ მანქანათ, რომელსაც მხოლოდ იმისთვის ატრიალებენ წაღმა-უკუღმა, რომ სხვა გაამდიდროს და გააღაღოს!.. მე მინდა ადამიანი ვიყო, სრული ადამიანი... ერთი სიტყვით, მინდა ვიყო ადამიანი საკუთარი ჩემი თავისათვის... ჩემი მოთხოვნებისათვის... ჩემი ბედნიერებისათვის!.. მაგრამ რისთვის მელაპარაკებით ყველა ამას, აღარ ვიცი!.. ეს ჩემი საქმეა და თქვენი კი არა, მშვიდობით! (უნდა წაუიღოს).

რობერტ. (აკავებს). თუ მე თქვენთვის დამზადილი მაქვს სწორედ ისეთი საშვალეა, რომელიც ისეთ ადამიანათ გაგხდისთ და ისეთ ცხოვრებას შეგაძლებინებთ, როგორიც თქვენ გენატრებათ—რას იტყვით მაშინ?

ჟან. ერიპა!.. მოწყალება?.. თქვენი დის კალათი?.. თქვენი ნასუფრალი? ხუთ ფრანკათ ღირებული გულმოწყალება დიდი კაცისა—არა? ყოვლად სათაკილო გულშემატკივრობა მაძლარი დიდი კაცისა მშიერ მუშებისადმი!..

რობერტ. არა... არც მოწყალება, არც გულშემატკივრობა!.. მე მოვიტანე რწმენა თავისთავისა!..

ჟან. (მუქარით) მე ის არ მაკლია!..

რობერტ. ჩემდამი რწმენაც!..

ჟან. (ირონიით) გმადლობთ ფეშქეშისათვის!.. მე კარგათ ვიცი იმისი ფასი!.. დიახ!.. თქვენ აქ კარგათ გიცნობენ!.. ისინი ვინც ალითა და კვამლით გარშემორტყმული მუშაობენ, ვინც იწვის იქ ცეცხლში, სულს ლევს კვანჩხითა და წამებით, ვინც იხრჩობა გამდნარი ლითონის სიმძიმის ქვეშ, ... ათასობით, იტანჯებიან აქ უბედური ადამიანები და თქვენგან მოელიან.. თითონაც არ იციან... რასა! დღეს თქვენ იმათთვის წარმოადგენთ შორეულ ოცნებას მომავალი თავისუფლებისა!.. თქვენი სახელი ფუჭი ოცნებით აყუჩებს იმათ მღელვარებას... ხვალ კი თქვენ მათთვის იქნებით... გამოტყდით ამაში... ხვალ თქვენ მხოლოდ დებუტატი იქნებით!..

რობერტ. ნუ დამცინით ასე მწარეთ! ეს არ გეკადრებათ არც თქვენ, არც მე!..

ჟან. (ძლიან სერიოზულათ) მე დაგცინით? განა მე თქვენ მართლა დაგცინით? (აჩვენებს მომაკვდავის ოთახს და განაგრძობს უფრო მიერუებული, უფრო ჩართხობილი ხმით). აქ... აი ამ სახლში, ამ კარის ბჭეში, რომლის იქითაც სულსა ლევს საბრალო დედაკაცი, სულს ლევს თქვენის წყალობით, სულს ლევს ისე, როგორც უკვე დალია სული ორმა იმისმა ვაჟმა, ოცის წლის ჰაბუკებმა... როგორც მალე დალევენ სულს აი ესენიც (აჩვენებს მძინარე ბავშვებს)... თქვენი წყალობით მოხთა ყველა ესა და ახლა თქვენ მეუბნებით, რომ თქვენ აქ სიცოცხლე მოგვიტანეთ... ბედნიერებას გვიქადით!.. წაბრძანდით სასა-

ფლაოზე... იმ პაწაწა სასაფლაოზე, რომლიდანაც საღამოობით ისეთი მოწამლული სუნი ამოდის ხოლმე ჩვენ ბინაზე, როგორიცაა თქვენი ქარხნების ჰაერი! წადით მეთქი იქა, ათხარეთ საფლავები ჯა დასთვალეთ, თუ რამდენია იქ თქვენის წყალობით მკვდარი!.. დიახ! თქვენის წყალობით, რომ თქვენ შეგძლებოდათ ფუფუნებისა და უზრუნველი ცხოვრების ყიდვა, რომ შეგძლებოდათ დღეს ჩემი ტანჯვის თანამოზიარეთ წარმოგედგინათ თქვენი თავი, დაგესახათ ჩემი ტანჯვის და გაჭირვების მონაწილეთ!.. ჩემ მეგობრათ!.. რა ნაირათ უნდა მოხდეს ეგა, რომ თქვენ ჩემი ამხანაგი, ჩემი თანამოზიარე იყოთ?.. მერე რამდენს გაძლევსთ მამათქვენი ყველა ამ თვალთმაქცობაში?!

რობერტ. (ნადუღიანსა) რატომ მექცევით ასე უწყალოთ?.. რატომ მაყენებთ ამდენ შეურაცხყოფას?..

ჟან. განა ასე არაა?.. განა ეს ცხადი არაა?.. მუშებში უკმაყოფილება სუფევს. მიუხედავათ ასეთი მორჩილებისა და უციკობისა, შეიძლება ხვალ გაფიცვა გაჩაღდეს... მაგრამ მამათქვენი საკმაოთ მდიდარია და კარგათ გაუძლებს ასეთ უბედურებას... გაფიცვა ხომ ყველაზე მეტათ თვით ჩვენთვის იქნება საზარალო.. ჩვენთვის, რომლებსაც დღეს თუ ხვალ ისევ თვითონ გვაზღვევინებენ დანაკლისს ან ჩვენისავე სისხლით გვაგებინებენ პასუხს!.. ეს ხომ ასეა, მაგრამ ასეა თუ ისე, გაფიცვის წყალობით ცოტათი მაინც სულს ვიბრუნებთ და გულს ვიფხანთ, ზოგჯერ შეიძლება ზარალიც მივაყენოთ მეფაბრიკეს!.. და სწორეთ ამ დროს თქვენ გინდათ ჩაერიოთ საქმეში თქვენის გავლენით... მექარხნებს მოუსაზრებიათ, რომ თქვენი აქ ყოფნა ყველაფერს დააშოშმინებს!.. დააცხრობს... თქვენც მოწვევისათანავე მიეშველეთ მექარხნებს!.. რა გაეწყობა!.. რამდენს გაძლევთ მაინც მამათქვენი ყველა ამ დახმარებაში?..

რობერტ. რატომ მაყენებთ ასეთ შეურაცხყოფას, ასე საშინლათ მამცირებთ!.. რას მერჩით? მე თქვენ წრფელის

გულით გიწვდით ხელს, ძმურის თანაგრძნობით გიღვებთ გვერდში!.. გეფიცებით, გულწრფელია ასეთი ჩემი საქციელი!.. თქვენ კი შეურაცხყოფას მაყენებთ და სასტიკათ მეპყრობით. თქვენი თავი თავისუფალი კაცი გგონიათ, მაგრამ ამავე დროს არ გინდათ ცრუ-რწმენას თავი დაახწიოთ და ისე ირჯებით, თითქო ჯიუტი სექტანტი იყვით!.. მე თქვენ გეძახთ: „წავედეთ, ერთათ შევეგებოთ სიყვარულით და ცოდნით გაბრწყინებულ მომავალს მეთქი“, თქვენ კი, თქვენ უფრო და უფრო ცდილობთ ჩაეფლოთ წარსულის სიღრმეში, იმ წარსულისა, რომელიც დაბნელებულია შურითა დაუნდობლობით... რაღა უნდა გიჯიხრათ მეტი?..

ჟან. (ცოცხა დამშვიდებული და თან შეშფოთაყებული როსტოპას სიტყვებით) ასე იყო, დეე მე ვცდებოდე!.. ეგებ თქვენ მარტლაც პატიოსანი კაცი იყოთ—არ ვიცი!.. მაგრამ ჩემთან თქვენ რაზედ მოხვედით? განა მე თქვენ მოგიხმეთ?.. თქვენი გზა სულ სხვაა და ჩემი—სხვა... ჩვენ ერთმანეთს არ უნდა შევხვდეთ!

რობერტ. რატომ ფიქრობთ ასე? ნუ თუ ამის უფრო ვერა სცნობთ?..

ჟან. მე და თქვენ შორის ძალიან დიდი მანძილია—ჩვენი ლტოლვილების შეერთება შეუძლებელია!..

როსტოპ. ტანჯულთა შორის ასეთი მანძილი არ უნდა არსებობდეს!..

ჟან. ჯე ცარიელი სიტყვებია!..

რობერტ. მე რომ რამდენიმე წუთის წინათ აქ შემოველ, ჩემი ყურადღება ყველაზე მეტათ თქვენ მიიქციეთ; მე არ ვიცოდი ვინ ყავით თქვენ, მაგრამ ვიგრძენ კი თქვენი დაღვრემილი, ნაღვლიანი სახე რომ დაეინახე... ვიგრძენ მწუხარება!.. თქვენ თვალეშე უსახლერო ნაღველი იხატებოდა—მე ვიგრძენ, რომ თქვენ მე 'იყვარხართ!.. მაშინვე აღმეძრა სურვილი თქვენთან ლაპარაკისა, მინდოდა გამეხსნა თქვენთვის გული

და გამომეტქვა ის ძმური გრძნობა, რომლითაც სავსე იყო ჩემი არსება—აი ეს იყო ჩემი სურვილი და სხვა არაფერი! თქვენ კი სიახლოვესაც არ მიკარებთ და მეც ველარ ვახერხებ მეტის თქმას!..

ჟან. აი, ხედავთ!..

რობერტ. თქვენი ჩემდამი უნდობლობა არც იმდენათ მაკვირვებს, იმიტომ რომ მე ვხედავ თქვენში ცხოვრებისაგან მწარეთ დატანჯულს, იმედ გაცრუებულ ძლიერ სულს!.. მაგრამ, გაფიცებთ ყველაფერს მომისმინოთ, მომისმინოთ როგორც მოუსმენდით გამვლელს ან მოგზაურს, რომელიც შეგხვდათ გზაში იმ დროს, როცა თქვენი მიზნისაკენ მისწრაფებოდით, შეგხვდათ და ისიც თქვენის მიზნისაკენ მიილტვის... მე ის არა ვარ, ვინც გგონივართ თქვენ... მე უარვყავ რწმენა ჩემი კლასისა, მე დაგმე ყველა ის უპირატესობა, რომელსაც ბედი საჩუქრათ უმზადებდა ჩემ ახალგაზღვობას! მე არ მექირვება ეს უპირატესობა!.. მე ისეთივე მუშა-მშრომელი ვარ, როგორიც თქვენა!.. და მხოლოდ ჩემი თავის იმედითა ვცხოვრობ, საკუთარი შრომით ვინახავ თავს!

ჟან. მე კი... მე ვკვდები, წელში ვწყდები მეტი რომისაგან!.. (უცნაურად ჩაყვლებს ხელს რობერტს, წაიყვანს იმ კარსაკენ, რომელიც ქუჩაში გადის, მიუთითებს სიბნელეში გაჩაღებულ ქარხანაზე; ხმას თანდათან ამაღლებს ჟანი) აი ის, ის ალი ის კომლი, ის წამება, ის შეჩვენებული მანქანა, რომელიც ყოველდღე, ყოველ საათში აღნობს ჩემ ტვინს, ჩანთქმს უქადის ჩემ გულს, ჩემ არსებას, ჩემ უფლებას სიცოცხლისას!.. აი, აი ისინი!.. ის წყეული ცეცხლის ჯურღმული ის ჯოჯოხეთის ქურა, უზამაზარი საშინელო ტაფა, ის ორთქლის ქვაბები, რომლებიც ულაპავენ ჩემ ძალ-ლონეს, ჩემს თავისუფლებას... იმათ ჩანთქმს დაუფრველათ ჩემი ძალ-ლონე, ჩანთქმს, რომ ამით შექნან სიმღერა და ძლიერება ერთი კაცისა!.. აბა, ჩააქრეთ ყველა ეს!.. მოსხვეთ

ყოველივე (მკვასეთ გაისერის რობერტის ხელს) ესა და მაშინ ვილაპარაკოთ მე და თქვენ!..

რობერტ. წყნარა, წყნარა!.. საბრალოვ!.. აქ მომაკვდავი წევს და პატარა ბავშვებსაც სძინავს!.. (რობერტი მიხურავს კარებს; ჟანი მიდის სცენის სიღრმეში, იქ დაუშვება სკამზე და თავზე ხელს მოიჭერს. სიჩუმეა. რობერტი მიდის ჟანთან და მხარზე ხელს შეახებს) თქვენ მგონი ცოტათი დამშვიდდით არა?.. (ჟანი უხმოდ აიღებს თავს და ხარბათ ჩააშტერდება რობერტს). მომეცით თქვენი ხელი!..

ჟან. მე არა ვარ თქვენთან მართალი!..

რობერტ. (აღერსიანათ აწყვეტინებს) ნულარას იტყვიot ამბზე! ოჰ, თქვენი ტანჯვა! მე მესმის იგი!.. იგი ჩემი ტანჯვა-ცაა!.. (სიჩუმე. შემოდის ჟენევიევა და მადლენ, ლუი ტიუ გამოჩნდება კარებში და უხმო გამოთხოების შემდეგ ხელ-ახლა დაბრუნდება მამაკვდავის ოთახში).

გამოსულა VIII.

ჟენევიევა, მადლენა, რობერტი, ჟანი.

ჟენევიევა. (მადლენას). მეტი მხნეობა, მადლენა! თქვენ დიდი მწუხარება მოგელის!.. მეც ასეთივე უბედურება ავიტანე!.. სულით და გულით თანაგიგრძობთ!..

მადლენა. გმადლობთ, ბატონო ჩემო!..

ჟენევიევა. გთხოვთ არ დაივიწყოთ, რომ მე მეგობარი ვარ თქვენი!

მადლენა. დიახ, ბატონო ჩემო!..

ჟენევიევა. მაშ ნახვამდის!.. მე ხვალ დილით შევიტყობ თქვენ ამბავს!.. მხნეობა, მეტი მხნეობა!.. (კოცნის მად-

ლენას, რობერტი ხელს ჩამოართმევს) ხეაღმდის! (ორივენი გადიან).

კამოსელა IX.

ჯანი და მადლენა.

მადლენა. ასე! (შეამჩნევს კალათს და მიუბრუნდება ჟანს, რომელიც განაგრძობს სჯამზე ჯდომას).

ჯანი. ჰო. ეს კალათი მან მოიტანა (ცოტა ოდენი სიმწარით) იმაში კორსჟიკაა თქვენთვის!.. ბავშვების კურტკები... და ღვინო დედითქვენისათვის... ძალიან გულმოდგინადად ბრძანდება!..

მადლენა. (აიღებს კალათს და ჭურჭლის შკაფში შედგამს) ჰო, რა ქნას, თუ მეტი არაფერი შეუძლიან!.. (სიჩუმე. მადლენა ხელახლა სტოლს მიუჯდება და დაიწებს კერვას).

ჯანი. (შიდის მასთან და დაეუბნობა მადლენას სჯამის ზურსს) მადლენა!

მადლენა. რა გინდათ, ჟანი?

ჯანი. ეს ღამე ძალიან გაგრძელდება და ვგრძნობ, რომ არ შემიძლიან შინ წასვლა... გინდათ რომ აქ დავრჩე ცოტა ხანს... თქვენთან ვიყო?..

მადლენა. ჰო, ჟანი, ძალიან მინდა!.. რა კეთილი ხარო, რომ არ მიმატოვეთ გაქირვებაში!.. არ მიატოვეთ მამაჩემი... თუ ეს უბედურება ჩვენ ამაღამ დაგვატყდა თავს... თქვენ იქნებით მამაჩემის მანუგეშებელი!..

ჯანი. მე კიდევ მინდოდა მეთქვა თქვენთვის ის. რის თქმასაც დიდი ხანია ვაპირებდი!

მადლენა. სთქვით, ჟანი, როცა თქვენ ლაპარაკს ვყურობ, იმდენათ უბედურათ აღარ ვგრძნობ თავს!..

ჯანი. მართლა?

მადლენა. მართლაც! მას შემდეგ, რაც თქვენ ჩვენი მეგობარი შეიქნით და ყოველ დღე მოდიხართ ჩვენსას...

მართლაც იმდენათ უბედურათ აღარა ვგრძნობ ჩემ თავს!..

ჟან. ჩემო საყვარელო მადლენა!..

მადლენა. ასე კი მგონია და!.. მაეიწყდება ხოლმე ჩემი უბედურება ცოტა ხნობით მაინც!.. ამ დროს თითქო უბედურებაც შორს არის ჩემზე... ბავშებიც თქვენთან არასოდეს არ სტირიან!.. თქვენ ისე კარგად იცით იმათი გართობა!.. კარგათ ათამაშებთ მუხლზე რო დაიჯენთ.. ისეთ მშვენიერ ღზაპრებს მოუყვებით!..

ჟან. (აღელვებით) რის თქმასაც მე ვაპირებ ახლა, ის გასართობი ზღაპრები როდია, მადლენა! ის სერიოზული სიტყვებია, იმიტომ რომ მე უნდა გელაპარაკოთ ჩემ სიყვარულზე. (მაღლენა შკვრთებს) ის წამიც, რომელიც მე ამისათვის ავირჩიე მეტათ სერიოზულია... (უწკნებს დედის ოახსზე) იმიტომ, რომ ჩვენ გვერდით სიკვდილი სუფევს ამ წუთას!.. (მაღლენა შკვრთებს) მადლენა! მე გაძლევთ თქვენ ჩემ სიცოცხლეს!.. გინდათ იგი თუ არა? (მაღლენა საკვრავს თავს ანებებს და უმკერის ჟანს სიყვარულით, მწუხარებით). მადლენა! მიპასუხეთ!

მადლენა; (აღელვებით და აკანკალებული ხმით). მე არ შემძლია მამის მიტოვება!.. არ შემძლია ბავშვების მიტოვება, რომელთაც ჩემს მეტი აღარავინ ჰყავთ!

ჟან. მე თქვენგან სრულიად არ ვითხოვ თქვენი მოვალეობის დავიწყებას! მე მხოლოდ ამას ვითხოვთ, ნება მომცეთ დაგეხმაროთ შეძლების და გვართ თქვენი მოვალეობის აღსრულებაში. საქმე ხომ ორთავესათვის საკმაოთ გვექნება!..

მადლენა. თქვენ მამასაც უყვარხართ, ჟან! მაგრამ აჰავე დროს ეშინიან კიდევაც, თქვენ მისთვის საკვირველი ამოცანა ხართ!.. ის ხომ ისეთი გაუბედავია!.. მან იცის, რომ თქვენ აქ დიდ ხანს ვერ დაჩრებით, მალე წახვალთ აქედან... გუშინაც ასე ამბობდა თქვენზე: „ოჰ, ჟანს ცუდი ფიქრები უტრიალებს თავში, იმას უბედურება არ ასცილდებაო“. მამა არ დათანხმდება, რომ მე თქვენი გავხდე!..

ჟან. თქვენ ხომ თავის თავს ეკუთვნით... სხვას არავის! ამიტომაც არავის არა აქვს თქვენზე უფლება!.. თქვენი ბედის გადაწყვეტა მარტო თქვენ გეკუთვნით!..

მადლენა. ჩემი ბედი!.. ის აქაა, ამ ქობში!.. ამათთან, ვინც აქ ცხოვრობენ და ჩემი შემხედვარენი არიან!..

ჟან. გიყვარვართ მე თქვენ?

მადლენა. მიყვარხართ იმ დღიდანვე, როდესაც თქვენ პირველათ მოხვედით ჩვენსა...

ჟან. მერე?

მადლენა. მერე და არც კი მიმაჩნია შესაძლებლათ ის, რაზედაც თქვენ ახლა მელაპარაკებით... ამიტომ რომ, თუ თქვენ აქედგან წასვლა შეგხვდათ... მე არ შემიძლია... მე ვერ უნდა გამოგყვე თქვენ...'

ჟან. მართალია! მე ვერ შეგპირდები, აქ დავრჩები მე-თქი... შეიძლება ისეთი რამე მოხდეს, რომლის ხელმძღვანელობა ჩემ ნებაზე არ იქნება დამოკიდებული (ენერჯიულათ)... ისიც შეიძლება მოხდეს, რომ ყველას მოუხდეს აქედგან წასვლა... (მცირე სიჩუმე). რამდენათაც ჩემზე იქნება დამოკიდებული, მე აქ დარჩენას ვეცდები.

მადლენა. ჩემი გულისათვის ნუ დარჩებით, ჟან!.. მე არაფერი არა ვარ იმის შედარებით, რისიც აღსრულება თქვენ გწადიათ!..

ჟან. რისი თქმე გინდათ ამითი?

მადლენა. მე არაფერი ვიცი თქვენი განზრახვისა, რადგან თქვენ ამაზე არაფერი გითქვამთ ჩემთვის, მაგრამ დიდი ხანია თქვენ თვალეში ვხედავ რაცა გაქვთ გულში... აი, ახლაცა სთქვით: „ისიც შეიძლება ყველას შეგხვდეს აქედგან წასვლაო“ (სიჩუმე).

ჟან. (ჩაუთქრებით) მე ვერ არაფერი გადამიწყვეტია; მადლენა, მე მხოლოდ ვოცნებობდი... დიახ, შეიძლება ჩემი ფიქრები ოცნება იყოს, ოცნება დიდ საქმეებზე... მაგრამ თუ მე ხელ-

ახლა შემიპყრო უძლევებლმა წყურვილმა მოქმედებისამ და ბრძოლის სურვილმა, მაშინ მხოლოდ თქვენთვის, თქვენის დახმარებით თქვენთან ერთად ვიმოქმედებ!

მადლენა. ჩემთვის... ჩემთან ერთად!.. ჩემი დახმარებით!.. მე ერთი საწყალი ქალი ვარ... უღონო, დაქანცული, ავაამყოფი და მასთან ულამაზოც!..

ჟან. ულამაზო!.. ოხ, მადლენა!.. თქვენ მართლაც გაკლიათ საზიზღარი სილამაზე მდიდრებისა, შექმნილი ჩვენის ტანჯვით და შიმშილით... მაგიერში თქვენ სწორეთ ის სილამაზე გაქვთ რომელიც მე მიყვარს — სპეტაკი სილამაზე ტანჯულისა... და მე მუხლს ვიხრი ასეთ სილამაზის წინაშე (დაიხრჩქებს მადლენას წინ და მის ხელებს აიღებს) ეს საბრალო, უდროვოდ დამქცნარი სახე... ეს უკვე მოხრილი მხრები... ეს პატარა, უფერული ხელები, ეს ნემსებით დაჩხვლევითი თითები... ეს თვალები... ეს მწუხარებითა და ცრემლებით დაწითლებული თვალები!.. თქვენ არ იცით, თუ რა ძლიერი, რა წმინდა სიყვარული ჩანერგა ამ თვალებმა ჩემ გულში, რა მძულვარება ანათო ამ თვალებმა ჩემ გულში მტარვალისადმი... ულამაზო!.. იმიტომ რომ თქვენ ჯერ არც კი გამოგიცდიათ ახალგაზდობა... იმიტომ, რომ თქვენ მუდამ სიღარიბეში ცხოვრობდით... თქვენ იგივე ხარ; რაც საბრალო პატარა მცენარე, რომელსაც არასოდეს მზის სხივი არ მიჰკარებია!.. მაგრამ, თუ როდისმე შევძელ დაგიბრუნო თქვენ ახალგაზდობა, თუ შევძელი მოგცეთ სინათლე, თუ მე ჩემის აღერსით შევიძელ მოვაშორო თქვენ სახეს მწუხარების დალი, ამოვგლიჯო თქვენი გულიდგან ტანჯვის ფესვები... მაშინ... მაშინ თქვენც ერთს ახალგაზდობას გამოცდით...

მადლენა. ნუ მეუბნებით. ნუ მეუბნებით ამებს!.. ამით მატირებთ მე თქვენ!..

ჟან. თქვენი სული და გული!.. თქვენი გული!.. თქვენ გგონიათ მე იგი ვერ დავაფასე!.. ვერ გავიცან!.. თქვენი სი-

სპეტაკით და სიმშვიდით სავსე გული, თავგანწირულებით და გმირობით აღსავსე სული!.. (ზეზე წამოადგება) დიახ!.. დიახ!.. გადავწყვიტე ვიმოქმედო შურის საძიებლათ და კანონიერების მოსაპოვებლათ!.. მაგრამ ჩემ მოქმედებაში აუცილებელია ჩემთვის ისეთი ამხანაგი, როგორც თქვენა ხართ, მადლენა! მე მესაქიროება ისეთი ძლიერი სულის პატრონი ქალი, როგორც თქვენა ხართ!..

მადლენა. ჟან!.. ნუ ამბობთ მაგას, გვეედრებით!.. მე სრულიად არა ვარ ძლიერი!.. თქვენც ხომ ხედავთ, მე ტირილის გარდა არაფერს ვაკეთებ!..

ჟან. იმიტომ, რომ თქვენ მარტოა ხართ, სრულიად მარტო და პირის პირ უდგებხართ ისეთ საშინელ ცხოვრებას... მაგრამ ჩვენ ორს.. სიყვარულით შეერთებულს, არაფრის შიში აღარ გვექნება!.. თვით სიკვდილისაც კი!..

მადლენა. (აღელვებული) მე სიკვდილის არ მეშინია!.. მე მხოლოდ მაშინებს ის ფიქრი, ვაი თუ ვერ შევძელ იმისი ასრულება, რაც უნდა აღვასრულო!

ჟან. თქვენ უნდა გახდეთ ბედნიერი და ჩემი მოვალეობაა— უზრუნველ-ვყო თქვენი ბედნიერება!.. მოვიპოვო თქვენთვის!.. ახლა მე სწორეთ კარგათ ვგრძნობ, რომ შევძლებ ამას! (ჯდუბა მადლენას გვერდით). მე მინდა მთელი ჩემი სული და გული გადავიხსნათ და ჩაგახედოთ შიგ!.. ყური დამიგდეთ, მადლენა! როცა ერთის წლის წინად მე აქ მოველ, საშინელი ვიყავ, საშინელი გეფიცვებით... მე დავეცი სულით, დავკარგე რწმენა ადამიანებისა, დავკარგე აგრეთვე თავისი თავის რწმენაც!.. საკუთარი სიცოცხლე მე სხვას მივეც... მე იმას სხვისთვის ვხარჯავდი, მაგრამ არაფერ კი არ ხედავდა ამას!.. მათ არ გავგებოდათ ჩემი მდგომარეობა. ვერსად ვერაფერ ვერ შევიდა ჩემის სულის მდგომარეობაში!.. მე კი, ჩემო საბრალო ბავშვო, ბევრი ქვეყნები მოვიარე ვიყავი, ბრაზილიაში, ვიყავი ნიუ-იორკში, ისპანიაში, ბელგიაში, ჩრდილო და სამხრეთ საფრან-

გეთში,.. ყველგან ვცდილობდი გამოეწრთომილიყავ შრომის ცეცხლში, მაგრამ ყველგან მხოლოდ აღამიანთა ეკსპლოატაციის ოინებს ვაწყდებოდი!.. რა საშინელებაა ყველა ესა!.. ყველგან ველური უგვანობა მიხვდებოდა წინ, უღონო გაბოროტება, ის შეურყეველი კედელი, რომელსაც პროლეტარის ტვინი წარმოადგენს!.. ჩემი მუღმივი მეცადინეობა ეს იყო, გამეღვიძებინა ბრბოს გულში გრძნობა სინიდისისა, ყოველთვის ვცდილობდი სამართლიანობის გრძნობა აღმეძრა და მღელვარების აუცილებლობა ჩამენერგა მსმენელთა გულში.., ყოველთვის სოლიდარობას და მშვენნიერებას ვუხატავდი... მაგრამ იცით რა შედეგი მოჰყვებოდა ჩემ მეცადინეობას?.. ზოგი მათგანი პირ და პირ სასაცილოთ მიგდებდა, ზოგი მბებულებდა მთაერობას, ზოგი პოლიციის აგენტობას მწამობდა... მონები, პირუტყვები!..

მადლენა. არა, ჟან! ისინი ყველა უბედურები არიან, გაქირვებულები! მით უფრო უნდა შეიბრალო ის საცოდავები, შეძლება არ აქვთ და ეს ხომ იმათი ბრალი არ არის! გაქირვებამ და უვიცობამ გააპირუტყვა ის საწყლები!..

ჟან. ეს მართალია!.. რომ ესმოდეთ—მაშინ... (ხედს გაიქნევს), მაშინ საქმეც ხომ გაკეთდებოდა! (სიჩუმეა) მაშინ ყველანი ბედნიერი იქნებოდნენ!.. (სიჩუმეა, რომლის დროსაც ის ისე ჩაფიქრდება, თითქმის ოცნებას სდღაც გაიტაცა).

მადლენა. მეტს არათერს მეტყვიით, ჟან? .

ჟან. (განაგრძობს ღახარეს) ჩემი ოცნების სიმალლიდან მუდამ ღრმა უფსკრულში უნდა ჩავეარდნილიყავ და ყოველთვის უარესსა ზ უარესს გაქირვებას განვიცდიდი, უარესს უბედურებას ვგრძნობდი!. მე გამდევნეს რიოქანერიიდან იქ მომხდარ გაფიცების გამო!.. შევეფარე ისპანიას; მაგრამ აქ მაშინვე მთავრობასთან დამაზებლეს.. ანარქიული შეთქმულობის მოთავეობა დამწამეს, დამაპატიმრეს უმიზეზოთ და გამამტყუნეს უსაბუთოთ!.. ორი გრძელი წელი პატიმრობისა!.. საოცარია, რა

ნაირათ მოხდა, რომ სიცოცხლე და გონება შემრჩა!.. ორი წელი ვეგდე ბარცელონის საშინელ ციხეში!.. და რომ გამოვედი, რას წავაწყდი?. სისხლისაგან ნადირათ ქცეულ ბრბოს ჩაეყენებია შუაში ჩემი საუკეთესო მეგობარი დიასა, ჯერ კიდევ ნორჩი ბავშვი, რომელსაც გული ნამდვილი გმირისა ჰქონდა!.. მე თქვენ უკვე გაიმბეთ იმისი ამბავი!..

მადლენა. ჰო, მიამბეთ!... ოხ, რა საშინელება ამბავია!..

ჟან. მე ფიცი დავდე მაშინ შურს ვიძიებ მეთქი მისთვის!.. მაგრამ ზოგჯერ სილაჩრე... იცი?.. როდესაც კუჭი ცალიერია. გულიც თითქო დაცალიერდება!.. (სიხუმე).

მადლენა. მერე?.

ჟან. მერე, დევნილი, სამუშაოს მოკლებული, უბინაო, წლიდან წლამდე ვწანწალობდი და ვებრძოდი შიმშილს, სიშიშვლეს, გაჭირვებას!.. როგორც იქნა, ბორდოს მივახწიე ასე წამებით... იქაც საპატიმროში ჩამაგდეს პურის მოპარვისათვის...

მადლენა. ოხ, რამდენი ტაჯვა გინახავთ!..

ჟან. დიახ, ბევრი ვიტანჯე, მაგრამ მე იმდენათ ის კი არ მტანჯავდა, რომ მუდამდღე მშიერ-მწყურვალე ვიყავ, რომ ზამთრის ცივსა და გრილ ღამეებში ცის ქვეშ ვიყინებოდი, რამდენათაც აღამინთა გულქვაობა და უგრძნობლობა!.. მტანჯავდა ისიც, რომ უღონო ვიყავ ჩამეგონებინა აღამინთათვის ბედნიერების მოპოვების სურვილი; კიდევ მეტად ვიტანჯებოდი საკუთარის უძლურებით!.. იმიტომ, რომ საკმაო ცოდნა-განვითარება არ მქონდა, უვიცობას ვგრძნობდი, რის გამოც ხან და ხან გაურკვეველ მდგომარეობაში ვიმყოფებოდი!.. თავის თავს ვესაყვედურებოდი... და ხშირათ ვეკითხებოდი ჩემ თავს: ვაი თუ უარესს მდგომარეობაში ვაგდებდე იმ აღამინანებს, რომლებიც უნდა გამოვთიშო მათ წრეს და 'მევიყვანო სრულიად სხვა წრეში მეთქი!.. ვაი თუ თვითონ საქირო ცოდნა-განვითარებას მოკლებულმა, უარესს სიბნელეში ჩავყარო-მეთქი

იგინი!.. ასეთი ჩემი ექვი უსაშინლესი იყო ჩემთვის, ვიდრე მუდმივი ჩემი ხორციელი ტანჯვა-წამება!.. რობერტ არგანი მართალი იყო ჩემთან!.. საშინლებაა უცოდინარობა!.. საშინლებაა, როცა ენტუზიაზმით გატაცებული ადამიანი საკუთარი უმეცრების გამო ბორძიკს დაიწყებს ცხოვრების უკუნეთში!.. მერე კიდევ ის საშინელი ექვი, ვაი თუ არსათ არ არსებობდეს სამართლიანობა მეთქი!..

მადლენა. (სწრაფათ) რას ამობთ, ჟან!.. თქვენ, თქვენ, რომელმაც ასე ბევრი იცით, რომელიც ამდენს ლაპარაკობთ ქეშმარიტებაზე, სიმართლეზე, უკეთეს მომავალზე, თქვენ, რომელიც ასეთ მშვენიერ რამეებზე გველაპარაკებით, რაზედაც მხოლოდ წიგნებში თუ წაიკითხავს კაცი... თქვენ ამობთ ამას?..

ჟან. წიგნებში ზოგჯერ ბევრი სისულელეებიც არის ხოლმე, ჩემო საბრალო მადლენა! (გასწორდება) მაგრამ ახლა ეს გათავდა ჩემთვის!.. ახლა, როდესაც მოველ აქ უიმედო და დაქანცული დიდი ხნის წანწალის შემდეგ, როდესაც მე ასე შემეცვარდა ეს ღარიბი ქოხი.., როდესაც მე აქ ვიპოვე ოჯახი, რომელსაც მუდამ მოკლებული ვიყავ, ასე შეგიყვარე თქვენ, მადლენა, შეგიყვარე უფრო მეტის სიყვარულით, ვიდრე შეუძლია მამაკაცს დედაკაცის შეყვარება, შეგიყვარე როგორც ახალმოპოვებული სარწმუნოება... ახლა ყველა ჩემი ზნეობითი ტანჯვა, ყველა ჩემი იქვი და უნდობლობა ჰქრება ჩემში... მე ახლა აღარ მახსოვს წარსული ტანჯვა... ახალ ძალ-ღონესთან ერთად მე დამიბრუნდა წინანდელი იმედი უკეთესის მერმისისა, დამიბრუნდა წინანდელი გაბედულება და სიამაყე!.. ყველა ეს შენი წყალობით მოხდა, ჩემო მადლენა, იმიტომ რომ შენთან ერთათ მე შევიყვარე მთელი კაცობრიობა; შენი დაახლოების შემდეგ, მე ხელ-ახლა ვგრძნობ ჩემში იშვიათ მხნეობას, მტკიცე იმედებს უკეთესი მერმისისას... დიახ! შენ მე მკვდრეთით აღმადგინე, შენ მე განმაახლე, ყველა ჩემი აქამდის მიუწლომელი ოცნება გაფართოვდა შენის წყალობით!.. (გადაეხვევა).

მადლენა. (მიიწევს მისკენ) გაჩუმდით, ჟან, ოხ! გაჩუმ-

დით!.. თქვენ მე არ უნდა მითხრათ ასეთი სიტყვები!.. ყველა ეს იმდენათ ნანატრი ბედნიერებაა ჩემთვის, იმდენათ საოცნებო რამაა, რომ მე არა მაქვს უფლება ვიფიქრო ასეთ ბედნიერებაზე!..

ჟან. ჩვენ მტრებს შეუძლიათ წაგვართვან ჩვენ ყველა ეს, შეუძლიათ წაგვამწარონ ყველაფერი, მაღლენა, მაგრამ ვერ წაგვართმევენ იმ ბედნიერებას, რომელსაც თითონ ჩვენ გაკვივდავთ ჩვენთვის!.. ჩვენ ორივე დღეიდან უნდა გავხდეთ ღონიერნი. ცხოვრებასთან საბრძოლველათ და ეს ღონე თვით ჩვენ უნდა შევქმნათ ერთმა მეორესათვის—შენ ჩემთვის, მე შენთვის!..

მადლენა: (აღფრთხვანებით). ეგ შეუძლებელია, შეუძლებელია!.. ჩემთვის მიუწდომელია ეს ბედნიერება...

ჟან. წარმოიდგინე, რა ბედნიერება იქნება, როდესაც მე დაებრუნდები ხოლომე თქვენ ოჯახში შრომითა და ბრძოლით დაქანცული, ზოგჯერ გულგტეხილი და იმედმიხდილიც, წარმოიდგინე, რა მანუგეშებელი იქნები მაშინ შენ ჩემთვის!.. რა სინათლე, რა ბედნიერება იქნება ეს... შენი თვალები, მადლენა, შენი ხმა, შენი გული, შენი ღიადი გული, მადლენა, შენი ღიადი გამბედაობა... მადლენა, ჩემო მადლენა...

მადლენა. (უღონათ) ოჰ, ჟან! ჟან! განა შესაძლებელია ეს? ასეთ ლატაკებს, როგორიც ჩვენა ვართ, განა აქვსთ კი უფლება ასე იოცნებონ? შენ კიდევ მეტისმეტათ აღიდებ ჩემ ღირსებას; როდი უნდა წარმომიდგინო იმაზე უკეთესათ, როგორც ნამდვილათა ვარ!...

ჟან. შენ ისა ხარ, ვისი წყალობითაც მე კვლავ მწამს მომავალი!

მადლენა ეს მეტისმეტია, ჟან! მეტისმეტი!.. შენი ასეთი ქცევა თავბრუს მახვევს და გონებას მიბნევს! ჩვენი ასეთი ოცნების განხორციელება თუ შეუძლებელი შეიქნა, თუ ყველა ამ იმედებმა ლანდივით გაირბინა ჩვენ თვალწინ—ღარწმუნებული ვარ, მე მაშინ მოვკვდები! ვერ ავიტან ამას!.. (ჟან გაუბეჯავა ესკევა, მადლენა მაკრათ ჩაეკვრის). საიდან მოგვევლი-

ნე, ჩემო ჟან, რომ ასეთი სასწაული მოცესდინა ჩემ ცხოვრებაში!.. შენის სიახლოვით მე ძლიერათ ვგრძნობ ჩემ თავს, მე აღარ მაწუხებს ჩემი საკუთარი სხეულის სიმძიმე, ჩემი საბრალო გულის სიცალიერე!.. მე სრული ბედნიერი ვარ, ჟან, სრული ბედნიერი!.. (სტირის) ოჰ, შენი გული ჟან!.. იგი ისე სცემს, როგორც ჩაქუჩი!..

ჟან. სსუ!.. მეტს ნურას მეუბნები!..

მადლენა. ჰო, ჰო!

ჟან. დაისვენე ჩემ გულზე!..

მადლენა. ჰო, ჰო!.. (სიჩუმე, სუსტის ხმით). მამა? ბავშვები?

ჟან. (თითქოს ნანას ეუბნებდეს) ჩვენ იმათ მოუვლით, გაუფრთხილდებით... (სიჩუმე).

მადლენა (თითქოს ოცნებობს) ღმერთო ჩემო!.. ღმერთო ჩემო!.. ნუთუ ეს შესაძლებელია?.. (უეცრათ გაშორდება ჟანს, წამოვარდება, მიანერდება მომაკვდავის ოთახს და სულის ხუთავით ამობს) დედა?.. დედა იქაა...

ჟან. (წამოდგება და ისიც იქით იუურება) მადლენა!..

მადლენა. ყვირილი მესმის... მამა მეძახის!.. (ერუთ მოისმის „მადლენა“ „მადლენა!“) ოობ!.. ოობ!..

ჟან. უბედურება დაგვატყდა თავს!.. (გაიდება კარი, ლუიტეი გამოჩნდება საშინლათ გაფითრებული, სასოწარკვეთილება ეტყობა, სარბაცით მოდის).

გამოსვლა X.

იგინავე და ლუი ტიე.

მადლენა. დედა მოკვდა, დედა მოკვდა!.. (შევარდება ოთახში. იქიდგან ისმის მისი ხმა, ქვითინი, ყვირილი) დედა!.. დედა!.. დედა!.. მოკვდა!.. (ლუი ტიე ბარბაცით მოდის, ჟანი ხელს ჰკიდებს და მიიყვანს სკამთან, რომელზედაც ტიე მძიმედ დაჯექვა. ქარხნიდან მოასმის გუგუნნი და ზანზარი).

გამოსვლა XI.

(ყან, ლუი ტიე, ბებერი კატარ და რამდენიმე დედაბერი; კატარი და რამდენიმე დედაკაცი გამოჩნდებიან კარებსში. ყან რომ ხმაურობას გაიკონებს, მიბრუნდება ქალებისაკენ და ანიშნებს, უბედურება მოხდა; ქალები მწუხარებით თავს გაიქნევენ, შწუხებული გადიან და კარებს მიიხურავენ).

XII.

ლუი ტიე ჭ ყან.

ყან. (რომელიც ლუი-ტიესთან დგას, ცოტა სიჩუმის შემდეგ დაიწეებს) დიახ!.. ყველაფერი გათავდა!.. (მიცვალებულის ოთახიდან მადლენას ქვითინი მოისმის. ყან იქითა კარს მიხურავს და ლუი ტიესთან ბრუნდება) ჩემო საბრალო ტიე!..

ლუი ტიე. რა ქალი იყო, საწყალი, რა ადამიანი იყო!.. ვიხრჩობი... გული მიწუხს!.. ჰაერი!.. ჰაერი!.. გააღე კარები!.. (ყან გააღებს კარებს; ქარხანა თითქო იწვისო, ისე განათებული და გახურებულია, თითქო ანთებული კომლი ეხვიოს გარშემო; კომლი ხან მოწითალოთ მოსჩანს ხან მომწვანოთ. ცას წითლათ გახურებული კომლი მოსდებია, თითქო ქარხანა იწოდეს. მოისმის ჯოჯოხეთური ხმაურობა; რკინების რახუნნი, ქუხილივით ხმა დიდრონი ჩაქუჩებისა: ყან ხელასლა ლუი ტიესთან მიდის). რა ქალი, რა იშვიათი ქალი!.. რა ქალი იყო, საწყალი.-.

ყან. (ყან ჯერ დაცდის ბებერს მწუხარებებს გამოთქმას, შემდეგ წყნარათ ხელს მხარს დაადებს) გამხნევიდი, ჩემო ძველო მეგობარო! გამხნევიდი!.. მარტო შენ როდი იტანჯები აქ: მადლენაც გახსოვდეს, ბავშვებიც მოიგონე!.. სწორეთ ახლა გპირია სიმტკიცე და მხნეობა!.. უნდა ეცადო, რომ სიკვდილს ღონიერათ დაუხედე!..

ლუი ტიე. (თავის ქნევით). გათავდა, ყველაფერი გათავდა ჩემთვის!

ყან. გათავდა შენთვის!.. დეე, ასეც იყოს!.. მაგრამ სხვისთვის ახლა იწყება... გამიგონე! მოიკრიბე ღონე და პირდაპირ შეხედე შენს უბედურებას!.. დაჰკრა საათმა!..

ლუი ტიე (ცოტა სიფიცხით) ვითომ და რა უნდა ვქნა მე შენის აზრით?..

ჟან. უნდა შეასრულო შენი მოვალეობა!..

ლუი ტიე. ახლა ამაზე არაფერი მითხრა!.. არა, არა, ეხლა დრო არაა ამისი!..

ჟან. (უჩვენებს მამაკვდავის ოთახზე). როდის უნდა გითხრა რამე შენს მწუხარებაზე, თუ არ ეხლა ამ უბედურების დროს! ახლა შენ უფრო ღრმად უნდა იგრძნო და გაიგო ჩემი სიტყვები!..

ლუი ტიე. თავი დამანებე, თავი დამანებე!.. არ შემძლიან!.. არა!..

ჟან. შენ თითქო ვალდებულია ხდი შენს თავს, რომ ყველაფრამდე ემადლიერებოდე მექარხნეს და მის ქალს, რომელიც დღეს კინალამ ჩემის ხელით არ დაეახრჩვე აქი!.. იმათი გულმტკივნელობით ხარ შებოროკილი; რატომ არ უნდა მოვილაპარაკოთ ამ საგანზე! აგერ 27 წელიწადია, რაც შენ სტკებები იმათ გულმტკივნეულობით! აბა, რაში წაგადგა იმათი ვითომ და გულ-კეთილობა? მუდმივი გაჭირვება, სიღატაკე, უქონლობა, ვალები, სიკვდილი და ყველაფერი უბედურება შენი გაუყრელი მხლებლები იყვენ!..

ლუი ტიე. (უურებს დაიცობს) დამანებე თავი, გვედრები ჩამომეთხოვე!..

ჟან. აბა, ჩაიხედე შენსავე გულში!.. მიმოიხედე შენს გარშემო!.. ახლა შენ სიბერის კარებზე ხარ, მოქანცული უდიერის შრომით, ნახევრათ მკვდარი, მოწამლული აქაური ჰაერით, შენ ახლა ადამიანი კი არაა, ადამიანის ჩონჩხი ხარ!.. შენი ორი უფროსი შვილები, რომლებიც დღეს შენი მარჩენალი უნდა ყოფილიყვენ, ამის წყალობით გამოესალმენ ასე უდროოთ სიცოცხლეს (აჩვენებს ქარხანაზე), შენი ცოლიც ამან მოინელა!.. მადღენა და შენი პატარა შვილები, რომელთაც ასე ეჭირვებათ საზრდო, ცოტაოდენი მაინც სიამოვნება და

მზის სინათლე, ეჭირვებათ იმედი და სიყვარული, ნელ-ნელა ჰკვდებიან ამის წყალობით, ჰქრებიან და იღვევიან დღე-დღეზე; შენ კი იმისი პატრონი დიდ მოკეთეთ მიგაჩნია და უფროთხილდები მას! ვერ ხედავ, რომ მაგათი მოწყალება უბედურების მეტს არას გაძლევს! ამ მოწყალების გულისათვის მთელ შენ ოჯახს სწირავ ამ ოჯახის დამლუპველ ადამიანებს! იმათ ორპირობის გულისათვის, იმათ სამარცხვინო მოწყალებისათვის, იმათ ნასუფრალისათვის, რომელსაც გულმტკივნეულათ გადმოუგდებენ ხოლმე ხანდისხან შენ დაშვეულ ოჯახობას, როგორც შშიერ ძაღლებს მიუგდებენ ძვლებს—ყველა ამ ბედნიერებისათვის ჯიუტობ და ვერ იმეტებ შენ მექარხნეს! ამისთვის არ უჩივი შენ მდგომარეობას, არ გინდა წაიღო ისა, რაც შენ გეკუთვნის, შენ გინდა დარჩე პირუტყვათ, რომელიც უსიტყვოთ ეწევა უღელს იმის ნაცვლათ, რომ ამაღლდე სულით და გახდე ადაპიანი—თავისუფალი ადამიანი!

ლუი ტიე. არა!.. არა!.. დღეს არ შეიძლება, დღეს ამაზე ნურას მეტყვი!..

ჟან. დღეს არაო, მეუბნები შენ? მაშ როდის? რაღას უტდი კიდევ ამ დაწყვეტილ სიკვდილის ბუდეში, ამ წამებისა და უბედურების სავანეში? ჰეშმარიტი ბოროტ-მოქმედება აქ იმაში გამოიხატება, რომ მთელი საუკუნის განმავლობაში ვერავინ ვერ გაბედა ხმის ამოღება, ისე უსიტყვოთ ჰკვდებოდნენ შიმშილისა და დაქანცულობისაგან... თუ მე ცოტაოდენი რამ გავაკეთე ამ მხრით, თუ მოვახერხე ჩამეგონებია მსმენელთათვის ცვლილების საჭიროება, გაფიცვის აუცილებლობა, ჩამეგონებია იმ ხალხისათვის, რომელიც ჯერ კიდევ სრულიათ შეუძლებელი იყო და უსიტყვოთ ემორჩილებოდა თავის გაქირვებულ მდგომარეობას... თუ მე მოვახერხე შემენძრია ეს უძრავი, გაციებული სული, მოკლებული მხნეობას და გაბედულებას, მე ეს მოვიმოქმედე შენთვის, ჩემო საბრალო ტიე, შენისთანაებისთვის, რომელთაც მე შევწირე მთელი ჩემი

სიყვარული, მთელი ჩემი გულმტკივნეულობა—ნუ თუ ვერ გრძნობ შენ ამას? რისგან მოხდა, რომ შენი გონება ვერ აღელვავ, ვერ აანთო აღელვებულმა, გახურებულმა ჩემმა გონებაში როგორ მოხდა, რომ ამდენმა ტანჯვა ვაებამ ვერ მიგიყვანა იქამდის, რომ გეთქვა: „ცხოვრებაში ისეთი სამწუხარო და საგმირო წამები შეხვდება, როდესაც ყველაფერი უნდა გაბედო, როდესაც სიცოცხლეც კი არ უნდა დაზოგო მოყვასისათვის...“

ლუი ტიე. (ბავშურის ჟიუტობით) მესმის... მესმის... მაგრამ დღეს კი არა... მაკალე რირილი... დღეს მეტს ნურას მეუბნები!..

ჟან. კარგი!.. რა გაეწყობა .. როცა ხვალ დაინახავ, რომ შენი სახლი დაცალიერებულა და დაობლებულა, რომ ამ სახლში აღარ დაგიხვდება ის, ვინც გიყვარდა, ვისითაც შენ ნუგეშობდი, მაშინ შენ დარწმუნდები, რომ, თუქცა ეს საბრალო მიცვალებული აქ აღარ ასვენია მაგრამ სიკვდილი მაინც სუფევს შენ სახლში, ის მაინც არ შორდება შენ სადგომს, რომ ის მაინც თავს უღვას იმათ, ვინც ჯერ ცოცხლები დაგრჩენია... თუმცა დიდი ხნით კი არა... მაშინ შენ თითონ, შენი საკუთარი ნებით მოხვალ ჩემთან და მოითხოვ შურის ძიება!.. შენ მართალი ხარ!.. დღეს მე შენ მეტს აღარაფერს გეტყვი!.. წადი, მოისვენე, დაწეკ აი აქა!.. (ესმარება ტიეს ადგომასზე).

ლუი ტიე (გაივლის ბავშვების სწოლთან, თან ნაწივეტ-ნაწივეტათ ღამარაკობს) საბრალო პაწაწები!.. ობლები!.. საბრალო მადლენა!.. ოჰი რა უსამართლობაა!..

ჟან. (აწვენს ლეიბზე) ვცადე ცოტა დაიძინო! ნეტავი შემეძლოს ისე დაგაძინო, როგორც პატარებს დაძინებენ!.. დაიძინე!..

ლუი ტიე. (აჩვენებს მიცვალებულის ოთახს) მინდოდა მეკოცნა საცოდავისათვის... ჯერ არ მიკოცნია!..

ჟან. შემდეგ აკოცებ, ახლა დაიძინე... მერე კი თითონ მე მიგიყვან და გამთხვევებ!.. იძინე!..

ლუი ტიე. ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!.. ეს უსამართლობაა, საშინელი უსამართლობაა!.. (ამ დროს სცენის სიღრმეში გამოჩნდება ბებური კატარი, რომელსაც ხელში იასამანის ტოტი უჭირავს).

გამოსულა XIII.

ბებური კატარი, ორი სხვა დედაბერი, ლუი ტიე, ჟან.

ჟან. (აჩვენებს ბებურ კატარს მიცვალებულის ოთახზე, ბებური შედის, დადებს მიცვალებულთან ყვავილებს, დაბრუნდება და გადის. გამოჩნდება მეორე დედაბერი ასკილის ყვავილებით ხელში, ჟან ამასაც უჩვენებს ოთახს. ბებური შედის ყვავილების დასადებთ, გაიფლის სცენას და გავა. მეორე მეზობლის ქალს არაფერი არ მიაქვს. ის მოიყრის მუხლს კარის ბჯეში, ჰირჯვარს ისახავს, ჩუმად ღოცულობს და გადის.

გამოსულა XIV

ლუი ტიე და ჟან.

ლუი ტიე. (ცოტა წამოიწევა). მოხურე კარი... მე ქარხანას ველარ შევხედავ!.. იმის ხმაურობის გაგონებაც არ შემოდოია (ჟან მივა და კარებს დახურავს)..

მოქმედება მეორე.

მდიდრულათ მორთული სამხატვრო. დიდი, მაღალი კარები გაღებულა. მოჩანს ძვირფასათ მორთული წინა ოთახი დიდი იტალიური ფანჯრებით განათებული. იქიდანვე მოჩანს დიდი კიბის ოქროთ მოვარაყებული მოაჯირი და ზედ დადგმული ქანდაკებანი. კედელზე ძველებური ქალღმერთი გაკრული. კედლები სურათებითაა მორთული. სამხატვროში მარჯვნივ დიდი იტალიანური ფანჯარაა, მარცხნივ მეორე კარი, მძიმე, აბრეშუმით ნაქარგი ფარდით დაბურული; რამდენიმე მოლბერტი სურათებით,—ქანდაკებანი; თეთრი კედლები ძვირფასი ხალიჩებით, ნაქსოვებით და ნახატებითაა მორთული.

გამოსვლა I

ბებერი კატიარ და გოგო.

კატიარ ზის სამხატვროში და ათვალიერებს მორთულობას, ხალიჩებს, სურათებს, ნაქსოვებს და სხვა ნივთებს; ამ დათვალიერებაში გაკვირვებაც იხატება და ბრაზიც; გოგო ვითომც ოთახს ალაგებს და უვაფილებს ასწორებს, ქვეშ-ქვეშ კი თვალს ადევნებს კატიარს—ხან და ხან გადასედავს ხალმე მას ზისდით და დაცინვით, რომელსაც არც კი მალავს.

გოგო, (გაიგონებს ფეხის ხმას კიბეზე). პატარა ბატონი მოდის! (შემოდის ენევიევა. გოგო გადის).

გამოსვლა II.

ენევიევა, ბებერი კატიარ.

ენევიევა. დაეიგვიანე! (კატიარ მდაბლათ თავს უკრავს,

ქენევიევა კედლის საათს შეხედავს და წამოიძახებს) ორი საათია! საშინელებაა!.. (მოუბრუნდება კატარს), მაგრამ დაკარგულ დროს აჟინაზღბურებთ ხომ? (დადგამს მოღებერტს, აშხადებს ჰალიტრას).

კატარ. (ფარისეულური ჰირმთნეობით, რთმელშიაც იხატება მსულვარება) რა საკვირველია, ბატონო ჩემო!

ქენევიევა. აბა, ჩაიცივით გუშინდულათ... ჩქარა! ჩქარა!.. ნიეთები აქაა (უჩვენებს შეხვეულზე, რთმელიც დივანსუ ქვეს).

კატარ. ახლავე ბატონო ჩემო! (შემოდის ლაქია ხონსით, რთმელსუდაც დგას ბოთლები სასმელებით და ქიქები; ხონჩას დადგამს შაგიდასუ და გადის).

ქენევიევა. (იმ დროს, სანამ კატარი შეხვეულს ხსნის და ტანთ იცვამს) აბა, როგორაა საქმე?.. ამ ჯერათ ვგონებ გაფიცვა შართლაც მოხდება... სწორეთ რომ მშვენიერი საქციელია!.. როგორ არ სცხენიათ!..

კატარ. (წარბ შეკრული გამოიუერება) არაფერი ვიცი, ბატონო ჩემო!..

ქენევიევა. როგორ შეიძლება თქვენ არაფერი იცოდეთ?

კატარ. მე ხომ ასეთ საქმეს არ ვეწევი, სრულიადაც არაფერი ვიცი ამისანაობისა!..

ქენევიევა. როგორ შეიძლება არ იცოდეთ, რომ სწორეთ ამ წამში დიდა კრება არის გამართული მუშების მიერ ფანიეს ზალაში და შესაძლებელია ერთი საათის შემდეგ გადაწყვიტონ კიდევ გაფიცვა!..

კატარ. ეს შესაძლებელია, ძალიანაც შესაძლებელია!.. მაგრამ მე კი არაფერი ვიცი!.. ან რა უნდა ვიცოდე მე ამისი?..

ქენევიევა. ეს ასეა, მაგრამ როგორ შეიძლება თქვენ არაფერი გაგეგონოსთ, თუ ვინ რას ამბობს ამის შესახებ... მგონი წუხელ საღამოს იმათ დიდი დავიდარაბა გამართეს... მერე წითელი აფიშები... პროკლამაციები!.. ყველა ეს საში-

ნელგბანი!..

კატია. რა თქმა უნდა, რალაცაები გავიგონე აქა-იქ, მაგრამ, ხომ იცით, ჩემო კარგო ბატონო, ჩემი ხნის აღამიანის საქმე... ყველა ეს ამბები ერთ ყურში რომ შედის—მეორეში გამოდის!..

ჟენევიევა. ერთი სიტყვით, თქვენ არაფრის თქმა არ გინდათ!..

კატია. ღმერთო მოწყალეც!.. ნუ თუ გგონიათ, ისინი ჩემთან მოვლენ და თავიანთ საქმეების ამბებს მომიყვებიან? როგორ არა!.. იცით რა? მე ასე გგონია ყველა ეს ამბები ხუმრობა და თამაში არის მეთქი!.. არაფერი გაფიქვაც არ მოხდებია! იმ პასუხის შემდეგ, მამათქვენმა რომ იმათ მოციქულებს მისცა, ისინი უსათუოთ გონს მოვლენ—აი ნახავთ!.

ჟენევიევა. ჩინებულათაც მოიქცევიან! მამა ჩემს ყოფილ დედას მოთმინება დაეკარგა... იმან ყველაფერი დაუთმო, რის დათმობაც კი შეიძლებოდა!.. ის კი არა, მეტიც დაუთმო!.. თუ რომ ისინი გაჯიუტდებიან, მამა შეიძლებს იმათ ჯიუტობის დაძლევას!..

კატია. დიხაც! დიხაც!..

ჟენევიევა. თქვენი შვილი როგორღა ირჯება?

კატია. ჩემი შვილი?

ჟენევიევა. ჰო, თქვენი შვილი!.. თქვენ ასეთ ზღაპარს ხომ ვეღარ მეტყვით, რომ თქვენი შვილის საქციელზედაც არაფერი იცოდეთ!..

კატია. (ცოტა არეულათ) ის ჯერ სულ ბალღია!.. ჯერ მას საღ შეუძლიან თავისი საკუთარი აზრი იქონიოს და მოქმედება მოახერხოს!.. ამიტომაც იმას ხან ერთი რამ აზრი გაიტაცებს, ხან მეორე!.. მაგრამ ნამდვილ კი ის შეურყეველია... დამიჯერეთ—ის კარგი ბიჭია! რაც შეეხება იმას, რომ...

ჟენევიევა. პირიქით—ის ერთი მოთავეთაგანი უნდა იყოს!..

კატია. ისა!.. უი დამიდგეს თვალი!.. ის, ვინც თქვენ

ასეთი ტყუილები მოგახსენათ, ბატონო ჩემო, თქვენთან ნურას უკაცრავად და—უნამუსო, მატყუარა ვინმე ყოფილა!.. და მხოლოდ ჩემი მტრობა მოუწადინებია ამის მთქმელს!.. რო უყუროთ როცა ის თქვენზე ლაპარაკობს, თქვენ მამაზე!.. ოჰ,.. ის ძალიან ერთგულია თქვენი, ბატონო ჩემო—დამი-ჯერეთ!..

ჟენევიევა. ძალიან კარგი!.. თქვენ ეს კარგათ უნდა გე-სმოდესთ, რომ თქვენი შვილი თუ მე მტრათ მიმაჩნდეს, მა-შინ თქვენც სიახლოვეს არ გაგიკარებდით!.. ახლა კი ისე მეცოდებით ყველა!..

კატია. ესეც მართალი!.. ოხ, ღმერთო ჩემო, რაებს არ გაიგონებს ყური!.. რაები არ ხდება ქვეყანაზე!..

ჟენევიევა. მადლენა?.. ტიე?.. არა სცხვენიათ?

კატია. ჰო!.. რაც შეეხება იმათ!..

ჟენევიევა. ჩვენ მუდამ, იმათი მწყალობელი ვიყავით!.. რამდენი ყურადღება და სიყვარული მიგვიძღის ჩვენ მათთან!.. ეს თქვენც ხომ კარგათ იცით—არა?

კატია. (იმავე ხმით.) დიახ, დიახ... როგორ არა!..

ჟენევიევა. რა სულმდაბლობაა იმათ მხრივ ასეთი საქ-ციელი? იმდენათ დავალებული არიან ჩვენგან და ასეთი უმა-ღურობა? ახლა მადლენამ და მამამისმა ჟან რულს მიმართონ და იმას სთხოვონ დახმარება!.. ის მოუმართავს ხელს—აი!..

კატია. (იმავე ხმით) დიახ, დიახ!..

ჟენევიევა. ვინ არის ის ჟან, რომელიც მთელი ამ ბრბოს მოთავე ყოფილა?

კატია. არ ვიცი—საიდან უნდა ვიცოდე?..

ჟენევიევა. ის ბოროტი კაცია—უსინიდიისო; ავაზაკი, კაცისმკვლელი! მე ის ვნახე ტიესას, კლემანსის სიკვდილის დღეს, უხ, რა ნაირათ შემომოხედა მაშინ!.. რა საშინელო თვალებით!..

კატია. მართლა? უყურეთ?.. (გაათავა ჩაცმა) ბატონო

ჩემო, მე მზათა ვარ!..

ჟენევიევა. ძალიან კარგი!.. მაშ დავიწყეთ მუშაობა!.. ეს უმჯობესი იქნება, ვიდრე უსარგებლო ლაპარაკი და ტყუილათ ღროს კარგვა!.. მაგრამ ერთი რამ უნდა გკითხო: რა სწადია ამ ხალხს, რა უნდათ მუშებს?..

კატარ. (მხრებს აიშეშნავს) მართლაც და რა უნდათ ამათ? (ამ ღროს შემოდის რობერტი)

გამოსვლა III.

რობერტი, ჟენევიევა, ბებერი კატარი.

ჟენევიევა. (წყენით) ოხ, ეს შენა ხარ?..

რობერტი. (ბებერ კატარს, რომელიც მას თავს უკრავს). გამარჯობა, ბებია კატარი (ჟენევიევას) მე შენ ხელი შეგეშალე? ჟენევიევა არა... მაგრამ რატომ მიატოვე სტუმრები მართო?..

რობერტი. ველარ ავიტანი მათთან ყოფნა!..

ჟენევიევა, შენ ლაპარაკს დამიწყებ და ეს ხელს შემისწავლის მუშაობაში... (რობერტი მავა მოღბერთან; ჟენევიევა შეაბრუნებს ტილოს) რატომ დახედე!.. ნუ დახედავ!.. ნუ დახედავ!.. არ მინდა, რომ დახედო!.. შენ ხელ-ახლა დაცინვას დამიწყებ!.. (ბებერ კატარს) აბა, მზადა ხართ? კალათი ფორთოხლით? (კატარ ანაშნებს, რომ დააწყედა მოტანა და მიდის შეაფასაკენ, სტენის სიღრმეში)

რობერტი. ჩემო საყვარელო ჟენევიევა! შენ მეგობრებს სწორეთ მოთმინებიდან გამოგყევარ!.. სწორეთ რომ მაწამეს! მგზინოდა, რომ საუზმის გათავებამდის ვერ გავძლებდი!.. რო არ გამოგქცევულიყავ ბილიარდის ოთახიდან, სადაც ისინი ყაბასა და ქალებზე მუსაიფს შეექცევიან, საიქიოზე და უკვდავებაზეც მზასობენ, პაპის სოციალიზმზე, ნადირობაზე,

და ცხენებზე მუსაიფობენ, სწორედ არ ვიცი რას ვიქმობდი! აქ ასეთი საშინელი ამბები ხდება, ესენი კი რაებზე ბაასობენ!.. მიკვირს, რა ნაირათ შეუძლიან მამას ასეთ ბრწყვებთან დროს გატარება!..

ჟენევიევა. შენ ხომ.. შენ ყველას ასე ეძახი სულელს, ბრიყვს!.. მაგრამ, იცი, რომ ისინი ისე არ წავლენ, თუ აქ არ შემოიარეს?

რობერტი. ოხ, ისინი აქ ხელოვნებაზე დაიწყებენ ლაპარაკს!.. იმათ ხომ ხელოვნებაზედაც აქვთ თავისი შეხედულებები!.. მაგრამ აქ იმდენათ საზიზლარი აღარ მეჩვენება ისინი—უფრო სასაცილონი იქნებიან, ვიდრე საზიზლარი!.. იმათი სისულელე მამხნევებს და ძალას მიმატებს (ბებერი კატარი დაბრუნდება ფორთოხლიანი კალათით ხელში).

ჟენევიევა. კარგი, კარგი!.. აიღე წიგნი, იკითხე და ჩუმად იყავ!.. (დადებას) ჩვენკი მუშაობას შეუდგეთ!.. (რობერტი დაჯდება დივანზე. ჟენევიევა ასწორებს მოღბერს და დგება მის წინ მიუბრუნდება რობერტს). რას აკეთებ? კითხულობ?

რობერტი (სერიოზულათ და თან ირონიით). შენ სულში ვკითხულობ...

ჟენევიევა. რა აუტანელი კაცი ხარ!.. (სიჩუმე. ბებერი კატარი დაჯდება იმ რიგათ, როგორც წინათ უჩვენა ჟენევიევამ: ჟენევიევა თავის ქსევით უუურებს ხან ბებერ კატარს, ხან თავის ნახატს). არა, ასე არა, მიაბრუნეთ თავი მარცხნით და ცოტა მეტათ დაღუნეთ, კიდევ, ცოტა კიდევ!... კარგი... ძალიან კარგი!.. ახლა არ გაინძრეთ! (დგება, უსწორებს კაბას კატარს და უუურებს ნახატს, თუ როგორ მოდის, შესედულება და მოძრაობა მხატვრისა აქვს).. რა მშვენიერია, როგორი გამომეტყველი სახე აქვს!.. რა ტიპიური სახეა. რა მოხაზულობა აქვს!.. რანაირი... (ამ სიტყვებს ხელის გაქსევით ათაუებს და მერე იწყებს ხატვას. სიჩუმეა) ოჰ, ეს რა საუცხოვო მოხაზულობა, აქვს!.. ეს სპილოს ძვლის ქან-

დაკება!... ეს მკაცრი, დანაოკებული სახე!.. ეს სიგამხდრე!..
რა მშვენიერებაა!.. (სიჩუქე. რამდენავე წამის შექდეგ, შესჯავება
მოიდუშება. დაიღებს მუხღუბე ჰალიტრას, ჟფრო ნათიქრებულათ,
და სერიოზულათ გამოიყურება), არა, არა! . ეს სულ სხვა გამო-
დის!.. სულ სხვაა!.. არ ვიცი, რატომ ასე ცუდათ მიდის დღეს ჩვე-
ნი მუშაობა!.. სრულიად სხვა გამომეტყველება აქვს დღეს ამის
სახეს!.. ბებია კატია! დღეს თქვენ სულ სხვანაირათ გამოიყუ-
რებით!.. სრულიად წინანდელი გამომეტყველება აღარა გაქვთ!..
თქვენი სახე დღეს მკაცრათ და ბოროტათ გამოიყურება!..
(კატარა ცრუდის სახის გამომეტყველებას) არა!.. არა!.. ეს
სულ სხვაა!.. სულ სხვაა!.. დღეს თქვენ სულ სხვანაირი ხართ!..
უფრო ნაღვლიანი პირის სახე უნდა გქონდესთ. ნაღვლიანი,
და არა ბოროტი!.. ბოროტი კი არა, დაღონებული უნდა იყოთ,
დანაღვლიანებული! გაიხსენეთ რა გითხარით მე თქვენ ამის
შესახებ!.. ისეთი სახე უნდა მიიღოთ, თითქო ბევრი, ძალიან
ბევრი ნაღველი გქონდესთ, ბევრი დარდი, ბევრი მწუხარება...
ისეთი სახე მიიღეთ, თითქო სტიროდეთ!.. აი! (ბუბურის სახე
სამინელი მკაცრი და საშიშარი გასდება; იგი ისე სამინლათ მია-
ნათებს უხვევივას თვალბს, თითქო მკლას ანთებული თვალბით
იჭქიჭებათ; რაბერტი, რამელღ მთელ ამ სცენას თვალს ადევნებდა,
ზეზე წამოვარდება) ოხ! არა, არა! მე თქვენ ვერ გაგაგებინეთ
რაც მინდა!.. (ცოტათი მოუთმენლათ) ისე გამოიხედეთ, თითქო
სტიროდეთ!.. ეს ხომ ისე ძნელი არ არის! (გათუატირებული
და თან გაშტერებული გამოსედულობა დედაბრისა შეაკრთობს უნე-
ვივას; იმას გააუჩქოლებს, უყრათ წამოდგება და უკან დაიხეკს).
რატომ ასე უცნაურათ მიცქერით? კვლავ ვგრე არასოდეს
არ მიცქეროდით!.. ავათ ხომ არა ხართ?

რობერტი. (მკაცრი ხმით შეაწუვრტინებს) ენევიევა!!

ენევიევა. (გათუატირებთ) რა გინდა?

რობერტი. დღეს შენ ნამეტანი აშლილი გაქვს ნერვები,
ძალიან გლახა გუნებაზედა ხარ და არ შეგიძლია მუშაობა!..

თქვენ კი, ბებია კატარ, წაბრძანდით შინ!.. (ბებურო ახლა რჩთავეს გაშტერებულო უმზერს) ეს უკეთესი იქნება, დამიჯერეთ!.. (ბებერი ადგება და ტანთ იხდის).

ჟენევიევა. რატომ შერები ამას, რობერტ? რატომ ამბობ ამას?..

რობერტი. (ბრძანების კილოთი) მე შენ გთხოვ, ჟენევიევა, ნუ მიმიყვან იქამდის, რომ უარესათ მოგეპყრა!..

ჟენევიევა. (ადებს სტოლზე სამხატვრო ხელსაწყოებს და კატარს ფუღს აძლევს) მაშ, თქვენ ხვალ მოხვალთ!..

რობერტი. (საჩქაროთ) ეს მეტს აღარ მოვა აქ!..

ჟენევიევა. (მოუთმენლათ და შეკრთომით).. რატომ?..

რობერტი სსსუუ!..

ჟენევიევა ხომ არ შეიშალე? რას გეცხარ, რა გემართება რობერტ?.. ოხ, ღმერთო! რობერტ შენც, შენც იმავე თვალეებით იმზირები, როგორც ისა? შენც ისეთივე ბოროტი თვალეები გაქვს, როგორც იმას!..

კატარა. (მომსადა თავსაფარი და უნდა წაფიდე) ბატონო ჩემო, ბატ. რობერტ, მაპატიეთ!..

რობერტი წადით, ბებია კატარ და ნუ გაგყვებათ თან მეტისმეტი სიმძულვარე ამ ოჯახისა (ბებურო კატარო გადის ნელისა და მძიმე ნაბიჯით; ისეთი სახე აქვს, თითქო არაფერი ესმასო, ჟენევიევა რეყავს, შემოდის გოგო და გააწილებს ბებუროს. რაღა ბებერი გაყა, იმისი მკაცრი სახე ერთხელ კიდევ გამოჩნდება ფანჯარაში).

გამოსულა I V

რობერტი, ჟენევიევა.

ჟენევიევა. (გაჯავრებული იწმინდს ტრემლებს). ასეთი ჩემი დამცირება ამ ბებერ მათხოვართან?..

რობერტ. ენევიევა!..

ენევიევა. ვერასოდეს ვერ დავიჯერებდი, რომ შენ ასეთი იყავ!.. (ჭგაიინახ) შენ ალბათ სულ გაგიჟდი!.. რა საძაგლობაა!.. რას იფიქრებს ჩემზე ის დედაბერი, რას იტყვის!..

რობერტ. ნუ სტირი! ცუდი იქნება, რომ აქ შემოვიდენ და შენ ნამტირალევი გნახონ!.. უური დამიგდე, ენევიევა!.. შენ რომ დიდი მხატვარი იყო, შენ რომ შეგეძლოს შესძინო კაცობრიობას ჩინებული რამ ნაწარმოები, განმახორციელებელი ტანჯვისა და სიბრალულისა, მაშინ შენი ხელობა საუცხოვო რამ იქნებოდა, მაგრამ ისეთი ნაწარმოების შექმნა, რომელსაც შეუძლიან მხოლოდ წუთიერი კმაყოფილება მოუტანოს უსაქმურ საზოგადოებას, ან ყალბი თავმოყვარეობა დაუკმაყოფილოს ვისმეს—ასეთი ხელოვნება შე არა მწამს და მეზიზღება კიდევ... ასე სათამაშოთ გადაქცევა სხვისი უბედურებისა, გაჭირვებისა!.. მე გეუბნები, რომ ეს არ ეკადრება კეთილშობილ ადამიანს!..

ენევიევა. (წყენით) მე არც მომაქვს თავი დიდებულ მხატვრათ!.. მაგრამ მაინც, ის ჯილდო, რომელიც მივიღე შარშან გამოფენაზე—ეს ხომ რამეთ ღირს!..

რობერტ. ჩემო საბრალო ბავშო!..

ენევიევა. შენ ყველაფერს მეტათ აზვიადებ!.. მაჯავრებ, მაწვალებ!.. ამასთან, მე შენთვის არ მითხოვია, რომ აქ შემოსულიყავ!.. მე აქ ჩემ ოთახში ვარ... რატომ შემოდი?..

რობერტ. (ძალიან რბილად) მე ძალიან მინდა გაგავხი-ნო ჩემი სურვილი, ენევიევა! მოიგონე ჩენი საოცარი დედა, რომლის დაუფასებელი სათნოება ისე დიდხანს იფარავდა ჩვენ ოჯახს იმ უბედურებისაგან, რომელიც ახლა ასეთის საშინელებით ემუქრება აქაურობას!

ენევიევა. მერე?

რობერტ. მერე .. იმან გიანდრძა შენ ღიადი საუკეთესო მისია, რომლის აღსრულებაც კი ძალ უქს ქალსა—ეს

მისია არის დამშვიდება აღშფოთებულისა, ზუარველობა სუსტისა!.. განათლება უმეცარისა; მე ვერ მოვთხოვ, რომ ეს მოვალეობა შენც ისე თავდავიწყებით აღასრულო, როგორც ამას დედაშენი შერებოდა! მაგრამ ჩაუფიქრდი, შენვეყვია, ასრულებ კი რამდენადმე მაინც ამ მოვალეობას?

ქენევიევა. შენ მეუბნები ამას, შენ, რომელმაც მიატოვე მშობლების სახლი და გაიქერ სადღაც, რომლის ცხოვრება არის ცხოვრება გადახვეწილისა; შენ, რომელმაც ამდენი უსიამოვნება მიაყენე მამაშენს; ჩაუფიქრდი აბა, როგორ აღასრულე შენ დედის ანდერძი!

რობერტ. (შეატყა). მე ჩემ მოვალეობას შეძლების დავგაართ ვასრულებ აქ კი არა, სხვაგან, სხვა ალაგას; აქ კი მე არაფრის გაკეთება არ შემეძლო და არც გამიკეთებია!.. შენ კი, შენ სწორეთ აქ უნდა აღასრულო შენი მოვალეობა!..

ქენევიევა. მეც ვაკეთებ რაც კი შემიძლიან! ყველასთან გულკეთილათ ვიქცევი, ყველას პატივს ვცემ, ყველას ვწყალობ. მაგრამ მაინც არავის ვუყვარვარ!..

რობერტ. მართო ფულით მოწყალება არაფერია, ჩემო საბრალო ქენევიევა! საჭიროა თანაგრძნობა, მონაწილეობა, სიყვარული და სიბრაღეული!..

ქენევიევა. ისა სჯობია, პირ და პირ სთქვა—რომ მე ბოროტი ვარ! .

რობერტ. არა, ბოროტი კი არა ხარ, შენ არ შეგიძლია სიყვარული, დედას კი, დედას შეეძლო ნამცვილი სიყვარული! იმისი წმინდა მაგალითი უკვადილით გაქრა ჩვენთვის!.. (მისაჰვიდეს ხელს ქენევიევას და მიიხსლოყვის) მე რომ შემეძლოს, ჩავიდო თავში თუნდა ერთი ნამცეცი იმ ფიქრებისა, რომელიც ასე ირევა ჩემს თავში, თუნდა ერთი ნამცეცი დედი ჩემის სულისა გადმოვიტანო შენს სულში!.. ოჰ, რა ბედნიერი ვიქნებოდი მაშინ!..

ქენევიევა. მე აქ მოწყენილობა მრანჯავს და ყველა ეს

ადამიანები საშიშრათ მიმაჩნია!.. ისინი ბოროტები არიან!..

რობერტ. იმიტომ, რომ შენ ნამეტანი დაშორებული ხარ იმათზე!.. ბოროტი გული არ არსებობს, ბოროტება წარწოდება ერთი—მეორესაგან დაშორების გამო!.. გული გულს ვერ სცნობს და ვერ ეგულება!.. აი რაშია დიდი უბედურება... (ხმები კიბეზე). შენი მეგობრები მოდიან!.. მოიწმინდე თვალები!.. გაიღმე!.. (ჰკოცნის დას). ნუ ხარ მოწყენილი!..

ჟენევიევა. რანაირათ შეიძლება მოწყენილი არ ვიყო, როდესაც ისეთ რამეებს მეუბნები!.. შენ ყოველთვის ისეთ რამეებზე შელაპარაკები, რისიც გაგება მე არ შემიძლიან!..

რობერტ. იმიტომ, რომ შენი სული იქ არ იძყოფება, სადა ჩემი სულია; ჩვენ სხვა და სხვა მხრიდან ვწყურებთ ტანჯვას...

ჟენევიევა (დაფიქრებულია და ცდილობს გაიგოს რასაც ძმა ელაპარაკება) სხვა და სხვა მხრიდან... ტანჯვას... (შემოდინ კაპრონი დიუორმელი, დელატრუდი)

გამოსვლა V

იგინიე, კაპრონი, დიუორმელი დელატრუდი.

დიუორმელ. ჩვენ გვევონა, ბატონო ჩემო, დაგვიხდებოდით ცხარე მუშაობაში გართული!..

კაპრონი. დიას! ცხარე მუშაობაში გართულს გიგულდებდით!..

ჟენევიევა. მე ვერაფერ დღეს მუშაობის გუნებაზე! დღეს თავი დავენებე მუშაობას (რობერტი ფანჯარასთან მიდგება და ვითომ ათვლიერებს გაშლილ მიღამოს)

დელატრუდი. (ათვლიერებს კედლებზე ესკიზებს) თქვენ ისევ რევოლუციონერკა ბრძანდებით, ჩემო კარგო ჟენევიევა? ის კი არა, იმპრესსიონისტკაცა ხარო, თუ ნებას ნიბოძებთ ასე გიწოდოთ!.. თეთრი... ვარდისფერი... ცისფერი... ეს

რაღა? (უჩვენებს ნახატებს) წისქვილია?

ჟენევიევა. ეს, ბატონო დელატრუდ! ნუ თუ ვერ ხე-
დვთ, რომ ეს დედებერია, რომელიც შეშას აგროვებს...

დელატრუდ. მართლა? შეუძლებელია.. (მიიღებს თვა-
ლებზე ლორწეტს და ეურადღებით ჩაატკერდება) თქვენ მართალი
ხართ! რა გაეწყობა, პირველ შეხედვით მე ეს ბებერი წისქ-
ვილი მეგონა... მაგრამ ეს ხომ ახალი სკოლაა!.. მე ვიბნევი
ასეთ მხატვრობაში... ზღვა... დედაბერი, რომელიც შეშას
აგროვებს... წისქვილები, ბალები... ცხვრის ფარა, შავი
ღრუბლები—ყველა ეს ერთი და იგივეა... მაპატიეთ ასეთი
გულახდილობა, საყვარელო ჩემო ბავშვო! მაგრამ, ხომ იცით,
ხელოვნებაში, პოლიტიკაში და ყველაფერში მე, როგორც
სულიელი ბებერი, ტრადიციას ვემხრობი... მაგრამ მაინც ყვე-
ლა ეს მშვენიერება რამაა!.. ბევრია ამებში სინათლე, ნიქა...
(ახლა სხვა ნახატებს ათვლიერებს) ძალიან საინტერესოა!..

კაპრონ. ყუარდლებას ნუ აქცევთ მაგის ლაპარაკს!..
მაგას ხომ უყვარს თქვენი გაჯავრება!.. ამასთან ჩვენი მეგო-
ბარი დელატრუდი... როგორც მხატვრები იტყვიან, ფაღის-
ტიმლიელი გახლავს!..

დელატრუდ. მე ამით ვამაყობ!..

კაპრონ. გესმით—ის ამაყობს ამით!..

ჟენევიევა. (დიუორმელს) იქნება ბიირთვით ერთი ჭკ-
ლუდი, ბატონო დიუორმელ!..

დიუორმელ. დიდის ღიამოვნებით, ბატონო ჩემო, (უჩენ-
ვიევა დაუსხამს ლუდს). გმადლობთ!..

ჟენევიევა. რატომ მამა არ მოვიდა თქვენთან ერთათ?

დიუორმელ. არგანდი მეგრეს შეეპყევა, ის მოვა აქ რამ-
დენიმე წამის შემდეგ.

ჟენევიევა. ნეტა ახალი ცნობები თუ რამე არის?

დიუორმელ. მეგრე უსათუოდ ახალ რამე ამბავს მოიტან-
და და ჩვენც ახლავე შეგვატყობინებს!..

ჟენევიევა. მოუთმენლობა და შიში მტანჯავს.

დიუორმელ. მართლაც რომ ყველა ეს ამბები მეტათ უდროვო დროს ხდება!.. მეშინია, ის დიდი ნადირობა არ გადამადებოს ამ ამბავმა, რომელსაც მე თქვენთვის ვამზადებდი...

ჟენევიევა. თქვენც ძალიან გაუფოთებსთ ეს ამბავი—არა?

დიუორმელ. ძალიან? არა... მე არ მგონია, რომ ეს დიდათ ამაუფოთებელი ამბავი იყოს!.. რა თქმა უნდა, რამდენიმე დღის განმავლობაში მთელი ოლქი არეული იქნება...

ჟენევიევა. მამა კი უფრო ცუდი აზრისა არის ყველა ამებზე...

დიუორმელ. არგანდი პესსიმისტია... იმას ხშირათ ის ეჩვენება ხოლმე, რაც ნამდვილათ კი არ არის... მოძრაობა მხოლოდ ზერეულია, სიღრმეში როდია ჩასული!...

კაპრონ. ვერ გამიგია! რამ გამოიწვია გაფიცვა, რომელიც აქამდისინ აქ არასოდეს არ უოფილა—აი რას უნდა ვეკითხებოდეთ ახლა ჩვენ თავს!

დიუორმელ. აი, სწორეთ!..

დელატრუჟ. (დაჯდება ჟენევიევას გვერდით) სწორეთ!..

კაპრონ. კარგი, ვთქვათ მოხდა გაფიცვა... მაგრამ რა არის გაფიცვა? მეტადრე თუ იმ თავიდგანვე მაგრათ მოეპყრენ, მკაცრი წინააღმდეგობა გაუწიეს და არაფერი დაუთმეს. მერე, რა შენუძლიათ იმ გლახაკებს არგანდის ვეებერთელა ფინანსიურ და სამრეწველო ძლიერების წინააღმდეგ?.. ეგ არის, საჭიროა, რომ ბოლომდის გაუმაგრდეს არგანდი და არაფერი დაუთმოს!..

ჟენევიევა. (სწრაფათ) თქვენ ეჭვი გაქვთ ამისა?

კაპრონ. არა, ბატონო ჩემო, მე ვერ მოვახერხებ სისწორით გამომეტქვა ჩემი აზრი... მე სრულიად ეჭვი არა მაქვს მამითქვენის ენერგიაში!.. პიროქით! ის მეტათ გაბედული და ძალიან მამაცი კაცია!.. იმან არა ერთხელ დაგვიმტკიცა თავისი ახასიათის სიმადრე; ეს ხომ ასეა, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ცოტათი მაინც მიუძღვის ბრალი მამა თქვენს ამ არეულობაში...

ქენევიევა. როგორ?..

კაპრონ. ამასთან ის დიდი ოცნების მოყვარულია!.. იმას სწამს დაბალი წოდების გაკეთილშობილება (ხელსაც აყოფებს): სწამს მუშათა ამალღებას. რა შეცთომია!..

ქენევიევა. ყოველ შემთხვევაში კეთილშობილური შეცთომია!..

კაპრონ, თქვენ სცდებით, ქალბატონო! კეთილშობილური შეცთომა არ აისებობს!.. არსებობს მხოლოდ უბრალო შეცთომა!.. მაგრამ საქმე იმაშია, რომ იმან თავის ქარხანაში ბევრი ზღმეტი რამეები შემოიღო: ის არ უშლიდა კავშირების დაარსებას მუშებთა შორის, ნებას აძლევდა ყოველ ნაირ ასოციაციების მოწყობას, რომლებიც ჰკლავს შრომას, ასუსტებს ოჯახურ ავტორიტეტს... და სთესავს რევოლუციის თესვებს... მუშას რომ ოცი კაპეიკის კეთილდღეობა და თავისუფლება მსცემთ, ის ოცი მანეთისას მოგთხოვთ—ეს ისე მართალია, როგორც რომ ორჯერ ორი ოთხია!..

დიუორმელ. ეს იმაზე გახლავს დამოკიდებულა!..

კაპრონ. რაზეა დამოკიდებული?.. არა, არა... მიუშვით ერთი სადავე და იმ წამსვე გაგიტაცებთ იგი!.. აიყრის აღვირს, გაქენდება ვინ იცის საითკენ... და დაიწყებს ყველაფრის მსხვერველს, ლეწვას... მე დიდი ხანია ვაკვირდები მავათ და კარგათ შევისწავლე იმათი ხასიათები?, (დიდის წწმენითა და რიხით) პროლეტარი!.. ეს ისეთი ცხოველი გახლავთ, რომელიც ვერ შეიფერებს ვერც აღზრდას, ვერც ორგანიზაციას... იმისი შეკავება შესაძლებელია მხოლოდ ერთი პირობით: ძალიან მაგრათ უნდა მოუქიმოთ პირში აღვირი და იმოქმედოთ მათრახით! ეს ყველაფერი ავუხსენი მე არგანდს... ამიტომ რომ იმან თავისი ემანსიპაციით კოოპერატიული პურის-საცხობების დაწესებით, საყასბოებით, პროფესიონალიური სკოლებით, დამხმარებელ და საპენსიო კასსებით, საქველ-მომქმედო საზოგადოებით და ყველა ამ სოციალისტურ რამეებით — დიხხ,

სოციალისტურით—ნაცვლათ იმისა, რომ თავისი ნაკუთარი უფლება გაემაჯრებინა, დაასუსტა და სრულიათა, დაჰკარგა იგი!.. ამით მან ჩვენი მდგომარეობაც საშიშარი გახადა, რადგან ჩვენც უნებურათ მისი მოქმედებისათვის უნდა მოგვებაძა... ახლა კი ის ცხადათ ხედავს, რომ მე მარტალი ვიყავ!.. (ამწნეუს ჟენჯიევის მოუსყენარ მოძრაობას) ესეც უნდა იცოდეთ, ქალბატონო, რომ ამ ჟამათ გფიცვა მე შეუძლებლათ მიმაჩნია!.. დიუორმელიცა და მეც ამ აზრისანი ვართ, რომ ეს მოძრაობა ნაძალადევიცა, რომ მას სერიოზული საფუძველი არა აქვს... და ამისგამო იმისი შეჩერებაც აღვილი იქნება!.. მაგრამ მე ძალიან კი მინდა, რომ ეს შემთხვევა ჰკუის სასწავლი და გამაფრთხილებელი გახდეს ჩვენი მეგობრისათვის. დეე ახლა მაინც შეიტყოს მამათქვენმა, რომ ამ მხეცების შეკაეება მხოლოთ მაგარი აღვირით და მტკიცე მუხრუჟის მოჭერით შეიძლება (ხელს დაატრიალებს, თითქო მუხრუჟს უჭერდეს), ძალიან უნდა მოუქირო, მაგრათ, დაუზოგველათ...

დელატრუდ. პრინციპიალურათ და საზოგადოთ რომ ვთქვათ, თქვენ მართალი ხართ, ჩემო საყვარელო კაპრონ, თუმცა თქვენ წინააღმდეგ ბევრი რამ ითქმის... მაგრამ აქ სხვა მდგომარეობაა!,. მადლობა ღმერთს, ახალი იდეები ჯერ კიდევ ისე ვერ შემოსულა ჩვენში, რომ... მეთაურებს არა აქვთ იმდენი გალენა აქაურ კეთილ მუშებზე...

კაპრონ. ჩვენ კეთილ მუშებზე!..ჰმ...ჰმ...თქვენ ასე ჰფიქრობთ?

დელატრუდ. უეჭველათ!..

კაპრონ. აბა ეს ჟან რულ, რომელმაც მოახერხა რამდენიმე დღეს აეჯანყებია. ხუთი ათასი მუშა... ხუთი ათასი მუშა, რომლებიც აქამდის ყრუ იყვენ ყოველგვარ წაქეზებაში, რომლებზედაც არ მოქმედებდა ამადელეგებელი მოწოდება!

დელატრუდ. ჟან რულ?.. ყბედი, ოცნებით გატაცებულნი... თქვენ ხომ თითონაც არ გწამთ მოძრაობა!..

კაპრონ. რა თქმა უნდა .. რა თქმა უნდა!.. მაგრამ თითონ არგანდიც არ უარყოფს ამ კაცის გავლენას მუშებზე! ის გვარწმუნებს, რომ ეს კაცი შქვერმეტყველია!.. ნიჭი აქვს და მსმენელებს იტაცებს, შეუძლია პროპაგანდა გასწიოს, თავგადადებულია და მეტის-მეტი გამბედავი!.. ყველა ეს საკმარისია, რომ გაიტაცოს მსმენელები!.. საკმარისზე მეტიცაა!.. ამაში დარწმუნებული ბრძანდებოდეთ; ჩემო ბატონო, ეს საკმარისია, რომ მოკლე ხანში გახრწნას მთელი ჩვენი არე-მარე!..

დელატრუდ. ყველა ეს თვისება არისტოკრატიულია, ბურჟუაზიულია, ამიტომ არ შეიძლება უბრალო მუშა გაიტაცოს ამ თვისებებმა!..

ჟენევიევა. მე თქვენ ვერ გეთანხმებით... მე კარგათ ვიცნობ იმ ჟან რულს .. ის საშინელება რამეა!..

დელატრუდ. არა ჩემო კარგო ჟენევიევა! თქვენი შიში უსაფუძვლოა!.. მართალი რომ სთქვათ, ადამიანები საშიშარნი როდი არიან, რადგან მათი დამშვიდება ყოველთვის შეიძლება; საშიშარია თვით იდეა, და ამ მხრით აქ საშიშარი მდგომარეობა არ არის... ერთი ვსთქვათ: რაზე უნდა იყვენ გაბოროტებულნი აქაური მუშები?... ისინი ძალიან ბედნიერთაა ცხოვრობენ!..

კაპრონ. ზედ მეტი ბედნიერებიც არიან!.. აი სწორეთ ეს მიმაჩნია მე დანაშაულობათ, რომ ისინი მეტის მეტი ბედნიერები არიან!..

დელატრუდ. იმათ ხომ არაფერი არ აკლიათ, ყველაფერი აქვთ, რაც კი ექირვებათ!.. კარგი ჯამაგირები, კარგი სადგომი, სწორეთ უზრუნველი ცხოვრება აქვთ! სინდიკატები, რაიცა მე, როგორც თქვენ, ჩემო პატივცემულო კაპრონ, მეტის-მეტათაც მიმაჩნია...

კაპრონ. უმჯობესია სთქვათ—სამარცხენოთ მიმაჩნიათქო... საშინელ რამეთ მიმაჩნიათქო... (აღღევებით) როგორ? მუშა, უბრალო მუშა, გაუნათლებელი, უვიცო მუშა .. ზნეობა-მოკ-

ლებული, რომელსაც არაფერი მოვალეობა არ აძევს, არავითარი პასუხის მგებლობა არ მოეთხოვება ცხოვრებაში, რომელსაც არც გროში გააჩნია. . მუშები, რომლებიც რასაც იზოვნიან, მაშინვე შესქამენ ან, უკეთ ვსთქვათ, შესმენ ხოლმე, ასეთი მუშები სინდიკატებს უნდა აარსებდნენ, როგორც ამას ვშერებთ ჩვენ, მექარხნეები!.. ასეთი ხალხი ჩვენ გვეჯიბრებოდეს? ეს ხომ ბუნების წინააღმდეგი მოვლენაა!.. სანამ ამას მოვესწრებოდეთ, მე მზათა ვარ დაეწვა, დავბუგო ჩემი ქარხნები!. დიახ, დაეწვა ამ ჩემი საკუთარის ხელებით!.. (რობერტის მოძრაობას რომ შენიშნავს) ჰო, მე მესმის!.. თქვენ გსურთ შემედაფოთ?

რობერტ. (ძლიან ცივად) მე არაფერიც არ მსურს... მე მხოლოდ ყურს გიგდებთ... განაგრძეთ'..

კაპრონ. ჰო, ჰო, ჰო!.. თქვენ გინდათ სთქვათ, რომ შეხედულება იცვლება, რომ აზრი გამოიცვალა და კიდევ უფრო გამოიცვლება—არა?

რობერტ. (ძლიან გაურკვეველად) თქვენ თუ ასე გსურთ!..

კაპრონ. მერე რა?.. ჩემთვის ყველა ეს სრულიად უმნიშვნელა... მე მხოლოდ ეს მინდა დავამტკიცო, რომ საკუთარი ინტერესი მიუცილებელი რამაა, უსაჭიროესი რამაა—გაიგეთ?.. ინტერესი ამას ითხოვს, რომ მე უსათუოთ უნდა გავმდიდრდე, გამდიდრებისათვის ყოველი ღონე უნდა ვიღონო, არაფერი არ უნდა დავზოგო, ყოველი გზა გამოვინახო, რომ მივახწიო სიმდიდრეს... საქმე სიმდიდრეა—დანარჩენი ყველაფერი ფუჭი და უმნიშვნელა. რაში მეკითხება სხვისი ყოფა-ცხოვრება: მე ვმდიდრდები—მორჩა, გათავდა!.. რაც შეეხება მუშებს—ისინი ხომ იღებენ სამუშაო პირას—ასე არაა? მაშ ჩვენ თავი დავგანებონ, მოგვასვენონ!.. ჩამოგვეთხოვონ!.. უეჭველია თქვენ ვერასოდეს ვერ შეადარებთ ერთმანეთს ეკონომისტ მწარმოებელს, როგორც მე ვარ, და გონება-დაჩლუნგებულ, გამოლენიებულ მუშას, რომელმაც არაფერი არ იცის!.. ისიც კი არ იცის, თუ ვინ არის ჟან ბაბტისტ სეი და ლერუა

ბოლიე!.. მუშა, ჩემო ნორჩო მეგობარო.—ეს ის ნოყიერი მინდორია, რომელსაც მე დავამუშავებ, ღრმათ დავხნავ და ვისარგებლებ... (აღელვებით) ის მინდორია, რომელსაც დიდრონ ბელტებათ ვხნავ, რომ ჩავთესო შიგ თესლი გამდიდრებისა!.. ნამუშავარს კი მე მოვიწევ და შევიწახავ საკუთარ ბელტებში და სკივრებში.., რაც შეეხება სოციალურ თავისუფლებას და თანასწორობას... ანუ,—როგორც თქვენ ამბობთ ხოლმე სოლიდარობას... ღმერთო ჩემო!.. მე ვერაფერ ურიგობას ვერ ვხედავ მასში, რომ ყველა ეს ოცნება საიქიოს განხორციელდეს!.. აქ კი, ამ ქვეყანაში... საჭიროა... ჟანდარმები, ჟანდარმები და კიდევ ჟანდარმები!.. და ყოველგან ჟანდარმები!.. აი რანაირათ უნდა გადავწყვიტო მე სოციალური კითხვები!.. გაიგეთ?...

დიუორმელ. თქვენ ცოტათი შორს მიდინხართ: მე ისე ცალმხრივათაა არ ვსჯი, როგორც თქვენ, მაგრამ ისიცა მწამს, რომ თქვენს მსჯელობაში კაი ძალი ქეშმარიტებაა!..

კაპრონ. დინახაც!.. ეს ტყუილათ ჰაერში წამოსროლილი სიტყვები როდია, მე არა ვარ პოეტი და . მეოცნებე... მე გახლავარ ეკონომისტი! მე ვარ მეცნიერი და არ დაივიწყოთ ნამდვილი რესპუბლიკელი ვარ!.. მე წარსული ცხოვრების შეხედულება კი არ მალაპარაკებს, არამედ ამდროული მოთხოვნილება... როგორც ნამდვილი რესპუბლიკელი, მე მზათა ვარ თავგამეტებით შევებრძოლო გაუმაძღარ ღარიბთა სინარბეს და მტკიცეთ დავიცო 89 წლებში მოპოებული უფლებანი იმათ წინააღმდეგ...

დიუორმელ. არსებული წესების დაუსჯელათ მეცნულა თქმა არ უნდა, შეუძლებელი არის... რიგიანათ მოწყობილ დემოკრატიულ საზოგადოებაში მდიდრებიც უნდა იყვენ და ღარიბებიც... ეს ცხადზე უცხადესია!... რა მოუვიდოდათ მდიდრებს, ღარიბები რომ არ არსებობდენ ქვეყანაზე?.. ღარიბები? . ღარიბებს რაღა ეშველებოდათ, რომ მდიდრები არ ყოფილიყვენ?..

კაპრონ. ეს ისე ცხადია, როგორც დღის სინათლე!.. ღარიბები საჭირონი არიან ქვეყანაზე, იმისთვის, რომ მდიდრებმა უკეთ იგრძნონ ფასი თავიანთ სიმდიდრისა!.. მდიდრები კი იმისთვის არიან საჭირონი, რომ საზოგადოებრივ სიკველის მაგალითი უჩვენონ ღარიბებს!

დიუორმელ. ჩინებული მსჯელობაა!..

დემატრულ აი სიბრძნე რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ყველა გონიერმა კაცმა!..

დიუორმელ. ეს ისეთი სიმართლითაა ნათქვამი, რომ მე ნებას მივცემ ჩემ თავს ერთი რამ გაგიმელაწნოთ!.. (ყველანი უურაღღებით უეურებენ) ყველამ იცით, რომ მე ნადირობა ძალიან მიყვარს... როცა ღარიბი ვიყავ, ბატონო ჩემო (ჟენევივას)... მე ერთ ღროს ღარიბი ვიყავ (გულ-კეთილათ), ხომ ხედავთ, სიღარიბისაგან არ კვდებიან... ასე, როდესაც მე ღარიბი ვიყავ მეთქი, მე ვერ წარმომედგინა, რომ ნადირობასაც პრივილეგია ჰქონდა და წრფელის გულით ვწყურებოდი, რატომ ყველას არ აძლევენ ნადირობის უფლებს მეთქი სახანო ტყეებში მაინც... როცა გავმდიდრდი, მაშინ კი სრულიათ გამოვაცვალე შეხედულება!..

კაპრონ. დიახაც!.. სიმღერე თქვენ აკიხილათ თვალები!.. თქვენ გარკვევით დაინახეთ ყოილაფერი!..

დიუორმელ მე ხომ იმ თავიდანვე შევიგენ ეკონომიური სარგებლობა დიდი ნადირობისა, როდესაც გავიცანინამ საქმის მოტრფიალენი, რომლებიც წელიწადში 25 ათას მანეთს ხარჯავდნენ ხოხბების გამოსაკვებათ!..

კაპრონ. ეკონომიური სარგებლობა დიდი ნადირობისა— ეს ისე მშვენიერათ ნათქვამი, რომ უკეთესიც აღარ შეიძლება!..

დიუორმელი. სინდისით რომ ვსთქვათ, განა ღარიბს, მავალითათ ბრაკონიერებს, შეუძლიათ დახარჯონ 25 ათასი მანეთი წელიწადში ხოხბების გამოსაკვებათ?..

კაპრონ. (რობერტს) აბა, თუ შეგიძლიათ ამის წინააღმდეგ სთქვით რამე?

დიუორმმლ. თუნდ ეს 25 ათასი მანეთიც რომ ვსთქვათ!.. სად მიდის მერე ეს ფული?.. მართალი თუ გინდათ, ყველა ეს ფული დანაწილდება და მთელ ხალხს ხედება!..

კაპრონ. ნუ თუ არ გაგაკვირათ მდიდრების ასეთმა დედობრივმა მზრუნველობამ ბრაკონიერებისადმიც კი?..

დიუორმმლ. რა თქმა უნდა!.. ყველა სარგებლობს მით!.. უეჭველათ... ყველა!..

კაპრონ. ეს ქეშმარიტებაა... ეკონომიურის მხრივაც, მეცნიერულის მხრივაც, მათემატიკურის მხრივაც აუცილობელია!.. აი, საქმეც ამაში არის!..

დიუორმმლ. საქმე კიდევ ამაშია და ჩემი პირადი გამოცდილებაც ამას ამტკიცებს, რომ გამდიდრება, მართალი რომ ვსთქვათ, ყველასათვის ძალიან ადვილია— ყველასათვის!.. საკმარისია ზიმართოს წესიერებას, ყაირათიანობას და კანონის პატივისცემას!..

კაპრონ. აბა, შეეცადეთ და შეაგონეთ იმათ ეს საღი პრინციპები!.. მაშინ თქვენ მყვლეფავს გიწოდებენ (გაბორტებული დაღის ოთახში, ზურგზე ხელებ დაწყობილი; შემდეგ უცნაურ ხელით ჩვენებს, თითქო ბურღს ატრიალებს) უნდა მოუქიროთ მუხრუჭი, დასწუროთ, გასქყოლიტოთ... აი, რაა საჭირო!.. (მიუბრუნდება რობერტს, რომელიც ამ დროს მას მიუახლოვდა).. დიახ, დიახ!... იცინეთ!.. შეიშმუნეთ მხრები!.. თქვენ ახალგაზღვანი ხართ, თქვენ გწამთ ყველა ეს ბოღვა!.. მაგრამ შემდეგ საბოლოოთ უარპყოფთ ყველა ამბებს!..

დიუორმმლ. ჩვენც ასე ვიყავით წინათ, დიახ, ვგრეთი ვიყავით ჩვენც, რობერტ, როგორც თქვენა ხართ!.. მაგრამ ცხოვრება და მისი გამოცდილება გამაჯივრებს ხოლმე ჩვენ გატაცებას! ცხოვრება!.. ცხოვრება ყოველთვის სასიამოვნო როდია!.. მეტადრე ჩვენთვის!..

დელატრუდ. ჩვენ საკუთარი ტანჯვა გვაქვს, ცხოვრებაში, საკუთარი მწუხარება, საკუთარი საქმეები, უძიმე მოვალეობა, რომელიც ღარიბმა არც კი იცის.. ღარიბი ყოველთვის თავის ნებაზე ცხოვრობს, რაც უნდა იმას აკეთებს, იმას მხოლოდ თავისი თავი ჰყავს საზრუნველი, ჩვენ კი (ამოთხვრით).. წარმოიდგინეთ, ჩვენ ისეთ საშინელ მდგომარეობაში ვართ, რომ გაღარიბებას კი არ შეგვიძლიან, ძალიანც რომ მოვიწადინოთ!.. აი რა საძაგელ მდგომარეობაში ვიმყოფებით, ჩემო კარგო!.. მე. გულიანათ. რამდენჯერ მოცუნებებია, გაღარიბებაზე! რამდენჯერ მინატრია პაწაწა სახნავი მიწა, პაწაწინა ქაზი, ძროხა... ცხენი... და ორი ათასი ფრანკი, რომელსაც შევიძენ ჩემი პატარა მიწის დამუშავებით.. ორი ათასი ფრანკი.—მეტი არა, გროშით მეტი იყოს, არ მინდა... ღარიბათ ცხოვრება!.. რა სასიამოვნო იქნებოდა, რა მშვენიერი, ვერგილიისებური იდილი იქნებოდა!.. აღარც საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობა დატანჯავდა, არც მაღალი თანამდებობა, არც კუჭის ტკივილი, არც ნერვების აშლა, არც ნიკრისის ქარები... ღარიბებს ხომ ნიკრისი არ ემართებათ!.. რა ბედნიერები არიან! მე კი სიზმარშიაც ვერ ვიქნები ასეთი ბედნიერი! დამშვიდებული, ჯანსაღი ლატაკი!..

ჟენევიევა. ვინ გიშლით მერე ასეთ ბედნიერებას?..

დელატრუდ. ჩემო კარგო ბავშვო! მე ხომ ნამეტანი ბევრი მაქვს სასახლეები, ბაღები, ტყეები, მამულეები, მე მიყვარს ნადირობა, მყავს მრავალი მოსამსახურე, ბევრი მეგობრები და ყველა ამ სიმდიდრეზედ იმდენათ მქიდროთა ვარ შეკავშირებული, რომ (ამოთხვრით) არც კი შემიძლიან იმისი მიტოვება!.. უნებურათ უნდა განვაგრძო ასეთი საძაგელი ცხოვრება!.. (კაპრონი და დელატრუდი თანხმობის ნიშნათ თავს აქნევენ და ამოთხვრით ხელებს მალღა აიპურაბენ).

ჟენევიევა. (ადგება და კარისაკენ მიდის) მამა აქამდის არ მოდის—მე სწორეთ მაშინებს ეს გარემოება!..

დმლატრუდ. (მიუბრუნდება დიორმელს და კაპრონს)... ხედავთ?... რა ნაირათ სწუხს! განა ღარიბები როდისმე სწუხან? (ადგება) ისინი კიდევ ჩვენ შემოგენატრიან! (შებრუნდება და ამჩნევს, რომ რობერტი ხელახლა მისულა ფანჯარასთან, სტენის სიდრეში) რატომ დაგვშორდით და კუნჭულში მიიკუნჩხეთ, რობერტი? რატომ არაფერს იტყვიან?..

რობერტი. (რამელსაც მთელი ამ სტენის დროს დიდი გაჯავრება და აღელვება ეტყობა) რა უნდა გითხრათ?... თქვენ ჩემ თვალში უიმედო ყოფი ხართ... თქვენ არც მუდარის ხმა გესმისთ, ვერც მუქარის საშიშარ გრგვინვას ყურობთ... თქვენ გეცხართ იმ ადამიანთ, რომლებიც ჩვენზე ასის წლის წინათ ცხოვრობდნენ—იმ განსხვავებით კი, რომ ისინი თქვენზე ბევრათ უფრო ლმობიერი იყვნენ, თქვენ კი იმათ დიდათ აქარბებთ სისასტიკეში და სიხარბეში.. როდესაც მაშინ რევოლიუცია უკვე გამოსქდა, როცა მან უკვე ჩაარქო თავისი ბასრი კლანჭები მათ უგრძნობელ სხეულში, როცა მან ჩაასუნთქა თავისი სისხლიანი სუნთქვით იმათ უწყალო სახეში, ისინი მაინც თქვენსავით გაიძახოდნენ: ეს არაფერია, ცხოვრება ყოველთვის ასე ყოფილა და ასეც დარჩებაო, ღარიბებთათვის არასოდეს არ დადგება უკეთესი დროვო, მაგრამ, დრო დადგა, საათმა დაჰკრა მაშინაც და დაჰკრავს ახლაც!..

კაპრონი. რაებს გვიგალობთ ერთი თქვენცა!.. რევოლიუცია!.. ის ხომ თითონ ჩვენ შევქენით!..

რობერტი. თქვენ შექქენით, მაგრამ ახლა ივი თითონ თქვენ წაგლეკავსთ!.. (ისმის ყოფი ხმაურთან... ყვირილი, სიმღერა... რობერტი ფანჯარას აღებს და ხელით აჩვენებს იქითკენ, საიდანაც ხმაურთა მოისმის) ახლა მაინც აღარ გესმისთ რა ხდება? (ყველანი კისერს გაიწვდიან ფანჯრისაკენ)..

კაპრონი. ეს რა ამბავია?..

რობერტი. ეს ღარიბის ხმა გახლავს—ღარიბი მოდის!.. (თიანში დრამა სიჩუმეა. ყვირილი თან და თან ახლოვდება, სიმ-

დერა უფრო ცხადათ ისმის. სავიეკნი—კაპრონი, დიუორმელა, დუ-
ლატრუდი ყურადღებით გაიყურებიან და უფრო და უფრო იგრძე-
ლებენ კისერს, ეკელანი გაშეშდებიან, გაუთრდებიან). ეს ღარიბი
მოდის, ღარიბი, ღარიბი, რომელიც თქვენ არ გწამთ...
რომელსაც თქვენ დახუნას უპირებთ, რომელსაც თქვენ დიდ-
რონ ბელტებათ აგორებთ, ბატონო კაპრონი!.. (ევირილი,
„გაუმარჯოს გაფიცვას, გაუმარჯოს ერთობას“—თითქმის ცხადათ
მოისმის). ახლა მაინც თუ ყურობთ ღარიბების ხმას? ის ღღეს
აქ მოდის, ხვალ თქვენ გესტუმრებათ... ზეგ კი ქვეყანას
მოედება (ერუ ხმ. ურობაში მოისმის ს. მღერა კარმანოლისა).
როგორც ხედავთ, ბატონო დიუორმელ, მგონი თქვენ მართლაც
მოგიხდებათ ღღეს ნადირობის გადაღება!.. (რომერტი ფანჯა-
რას მიჭხურავს) ასე!.. ყველაფერს ბოლო მოელა!... რატომ
აღარას ამბობთ?... რა მოუვიდა თქვენ ძლევა მოსილებას?
რაიქნა თქვენი გმირობა?... ნუ თუ დამარცხდით კიდევ? ნუ
თუ საკმაო იყო რამდენიმე მუშის სიმღერა გაგეგონათ ქუჩი-
დან, რომ თქვენ აქენა ჩაგვარდნოდათ და შიშისაგან მკვლარს
დამსგავსებოდით?..

კაპრონი. შიშისაგან?... დამაცადეთ, თქვენ ამას რაებს
ამბობთ?... თქვენ?... მე?... აა!.. ეს რასა გავს?... (ხმაურისა და
ყვირილი თანდათან ძლიერდება. კაპრონი მუშტებს გაიშეკრს
ფანჯარისკენ). უწმაწურები!..

დმილატრუდი. (რომელიც ცდილობს დასძლიოს შიშა) თავი
დაანებეთ!.. ისინი მთვრალეები არიან!..

როზმარტი. მთვრალეები?... მთვრალეები?... შესაძლებელია!..
მაგრამ, მითხარით რატომ დაითვრენ ისინი? იცით რატომ?

კაპრონი. სწორეთ თავი მომამბეზრეთ!.. რისთვისა ხართ
ღღეს თქვენ აქ?... რათა ხართ მეთქი აქ?... თქვენი აქ ყოფნა
ეწლა ჩემთვის სრულიად ადვილი გასაგებია... ააა!.. ისინი
ხომ თქვენი მეგობრები არიან. თქვენც ღღეს აქ გაჩნდით
ღმერთმა დასწყევლოს—ეს რაები ხდება!..

რობერტ. დამშვიდდით, მოწყალეო ხელმწიფევი!..

დიუორმელ. ვნახოთ!.. ვნახოთ!.. არათფერი სერიოზული აქ არ არის!.. მე ვერასოდეს ვერ დავიჯერებ, რომ სერიოზიული რამე იყოს!.. ესენი ისე, გასართობათ გამოსულან!..

ჟენევიე ა (შეწუხებული კარებს თვაჯს არ აშორებს) მამაჩემი?.. ის აქამდის არ მოდის—რა ამბავია ნეტავი?..

კაპრონ. ნეტავი ქისკარი თუ არის მაინც დაკეტილი...

ჟენევიე ა. (მოთმინება დაკარგული, რეკავს, მიღის წინა ოთახში და გადისრება კიბის მოაჯირზე). ჟოზეფ!.. ადელ, ბატისტ!.. (კიდევ შეტათ გადახრება მოაჯირზე) დაკეტეთ ქისკარი!.. უბრძანეთ ჩქარა, ქიშკარი დაკეტონ!.. (აღელვებული და აკანკალებული დაბრუნდება სამხატვროში, რობერტი სცდილობს დაამშვიდოს). ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!

კაპრონ. ერთი ჩვენ სახლში დავბრუნდებოდეთ და... (გამოჩნდება არგანჯი) ა ა ა!.. როგორც იქნა არგანდიც გამოჩნდა!..

ჟენევიე ა. მამა!.. მამაჩემი!.. (ეველანი გარს ეხვევიან არგანჯს).

გამოსულა VI

იგინიე და არგანდი.

კაპრონ. აბა რა ამბავია?..

არგანდი. (აღქედება სტუმრებს გაოცებით, თითქმის ზიზღით) დამშვიდდით, ძვირფასო კაპრონ, ქისკარი დაკეტალა!..

კაპრონ. ჰო, მაგრამ გზაში?..

არგანდი. გზა თავისუფალია პარკის იქით მხრიდან!.. მე კიდევაც ვუბრძანე თქვენი ცხენების შებმა!.. სრული:თ უშიშრათ შეგიძლიან შინ დაბრუნება!.. ერთად ერთი უხერხულობა ის შეგხვდებათ, რომ ცოტას მოუვლით მარჯვე გზას...

კაპრონ. მაშ თუ ასეა, მივდივართ!.. (აქამდამდე შეუწყვეტელი სმაურობა მატულობს: ძირს არკანდი, გაუმარჯოს გაფიცვას!):

დელატრუდ. მივდივართ!.. მივდივართ!.. არასოდეს ამას არ დავიჯერებდი!.. ჩემი ქული?.. სადაა ჩემი ქული?.. (ექებს შლიანას და ვერ ზოულობს) ეს საშინელებაა!.. ეს იმიტომ... აი იმიტომ... ერთი, სიტყვით, გაფიცვას! სად უნდა წავიდეთ!.. სადაა ჩემი შლიაპა?

არგანდ. (აიღებს დელატრუდის შლიანას, რომელიც იქვე მაგიდაზე იდო) ნუ დელავთ ასე, ლატრუდ! აი თქვენი შლიაპა!.. წაბრძანდით!..

კაპრონ. (დიდის ამათ მოჭიდებს ხელს არგანდს) ჩემო კარგო არგანდ! თქვენ უკვე სცადეთ ყველა ნაირი საშეაღება დარბევისა... თქვენ უხვათ დააკმაყოფილეთ მუშები!.. იმ ავაზაკების გულისათვის თავისი თავიც დააღარბეთ!.. თქვენ ყველაფერი მათ მიეცით, საკუთარი პერანგიც კი... რაღა უნდათ კიდევ თქვენგან? არა, არა!.. თქვენ ხლა აღარ უნდა იყოყმობთ... ახლა თოფი!.. უნდა აღაპარაკდეს მეტაენერგია, ჩემო მეგობარო და მეტადრე—ჯარი;.. ჯარი;.. ესეც უნდა იქონიოთ სახეში, რომ თქვენ მართო თავის თავს და საკუთარ ქარხანას როდი იფარავთ, თქვენ მფარველობას გვიწევთ ჩვენ და ჩვენ ქარხნებს... თქვენ რაღა შრომის თავისუფლებას... და მთელ საზოგადოებასაც...

დიუორმელ. არ დაუთმოთ არც ერთი ნამცეცი!.. ისინი მალე დაგნებდებიან...

კაპრონ. ეს! თქვენ დროზე უნდა მოგეპირათ მძლავრათ მუხბრუკი!.. ხომ გეუბნებოდით?..

დელატრუდ. სწორეთ რომ სამუდამოთ დამეკარგა ლიბერალობის მადა!.. მეტი ენერგია, ჩემო მეგობარო, მეტი ენერგია!..

არგანდ. (რომელსაც ყოველი მხრიდან შემოხვევიან და შუაში მიუმწყვდევათ) ეგრე, ეგრე!.. ჩემი იმედი დაიკავეთ!.. ნახვამდის!.. წაბრძანდით.

კაპრონ. თქვენ მართლა დარწმუნებული ხართ, რომ გზა თავისუფალია?

არგანდ. გეუბნები დარწმუნებული ვარ მეთქი!.. მორჩით, წაბრძნდით ბარემ!..

კაპრონ. მაშ ჯარი, ამ საათშივე ჯარი!..

დიუორმელ. ჩვენ თქვენი იმედი გვაქვს!..

არგანდ. ეგრე, ეგრე!.. (ეთხოვეიანს და სმიავენსა კადაანს, არგანდი იროსნით უეგრესს მიმავალს) საბრალონი!.. აი ესენი ჩემი მოკავშირენი!..

კამოსელა VII

არგანდი, რობერტი, ჟენევიევა

(ქუჩაში უფრილია, სმაურობა, სიმღერა; სმაურობა ხან მატულობს, ხან კლებულობს, როგორც ზღვის კუკუნო. არგანდი ცოტათი დადურემილია, მაგრამ სრულათ დამსკიდებულად. ჩაჯდება სავარძელში, გვერდით უდგას აკანკალებული ჟენევიევა და რობერტი. რომელიც ნადვლიანათ ჩაფიქრებულად).

არგანდ. ჟენევიევა! ცოტა წყალი მომაწოდე! (ჟენევიევა ჭიქაში წყალს ჩასხამს, არგანდი ხარბათ დაღუეს) გმადლობ, შეილო! (ცოტახნით სინუე) შენ რაღასა იქ რობერტი?..

რობერტ. მამაჩემო!..

არგანდ. შენი ალაგი ხომ აქ აღარ არის!.. მე არ მინდა თავისუფლება შეგიზღუდო და არჩევნებში ჩაგაყენო ჩემსა და შენ მიმართულების შორის, შენ გრძნობა—რწმენასა და ჩემ სიყვარულს შორის ..

რობერტ. მამავ!..

არგანდ. შენ ამალამვე წახვალ!..

რობერტ მეც ეს მინდოდა მეთქვა თქვენთვის, ჩემო მამავ!.. (არცხვენით და გაუბედავთ), მაგრამ სანამ წავიდოდე, ნება მიბოძე მამავ!...

არგანდ. (სიტყვას აწკეკტინებს.) ნურც ერთ სიტყვას ნუ შეტყვი, გვედრები!.. მე არაფერსაც არ გაყვედრი!.. არაფერში ბრალს არა გდებ—რაღა საჭიროა აქ ლაპარაკი? (ისმის ხმაურობა უფირილი: „გაუმარჯოს რობერტ არგანდს!“! რობერტი კაოცდებს, და უნდა პროტესტი განაცხადოს; არგანდი ხელის ჩაქნევით შეასწერებს. მოკლე და შეტათ სამსივთ სიჩუმე ჩამოვარდებს; ბოლოს არგანდი ძაღას დაატანს თავს და ლაპარაკს დაიწყებს გულდაწკეკტილათ და გამოცვლლის ხმით). მე შენ არაფრით არ გაგამტყუნებ, მაგრამ ნულარ გაამწვაებ კი უნაყოფო სიტყვებით იმ ურთიერთობას, რომელიც... დღევანდელმა ამბებმა შემქნა ჩვენ შორის!..

რობერტ. მამავ!.. მამავ!..

არგანდ. (ღირსეულათ). ჩვენ შორის, შეილო ჩემო, ამის შემდეგ აღარაფერი აღარ იქნება, გარდა სიჩუმისა!.. (ადგება).

რობერტ. (აღუვებული მამას გადაეხვევა) მე თქვენ მიყვარხართ, მამავ, მე პატივს გცემთ თქვენ!.. და ვენდობი თქვენ სიბრალულს, თქვენ პატიოსნებას!.. (ამ დროს დიდი ქვა შემოტეხს ფანჯრის შუშას და არგანდის ფეხთან დაეცემა, ჟანვავა დაიკვირებს)

არგანდ. (ქვას ააღებს) აი, სამართალი! (დადებს ქვას სკამზე)

ფ ა რ დ ა .

შოქმედება შესამე.

არგანდის კაბინეტი. მორთულობა მკაცრი და მდიდრული; შუასცენაზე კარები, იმის მარჯვნივ და მარცხნივ დიდი წიგნის შკაფები; ორ ფანჯარას შუა ბუხარა, იმაზე მარმალილოს ქანდაკება. ბუხრის პირდაპირ დიდი საწერი მაგიდა, იმაზე საქმის ქაღალხები; მაღალ ზურგიანი სავარძელები, დივანი, ვიტრინა ქვების და ლითონების ნიმუშებით.

არგანდი მაგიდას უხის და მუშაობს. ლაქიას შემოჰყავს მეგრე, რომელიც არგანდის პირდაპირ დაჯდება. მაკიდის მეორე ნხარეს.

კამოსელა I.

არგანდი, მეგრე

მეგრე. (ღაინახავს მაგიდაზეს არგანდის მასლობლათ ლამაზი) ეე! აქვენ ამ ლამესაც არ გიძინათ?

არგანდ. მე აქვე დავისვენე დივანზე რამდენიმე საათს!.. ახალი ამბავი რა იცით?

მეგრე. მუშები არ მოვიდენ სახელოსნოში... ისინიც გაფიცულებს მიემხრენ, რაიცა მოსალოდნელიც იყო. იძულებული შევიქვენ განკარგულება მომეხდინა, რომ საორთქლეში ცეცხლი ჩაექროს...

არგანდ. მაგრამ დღეს მაინც ისეთი ზურზაური არ ყოფილა, როგორც გუშინ!..

მეგრე. არა!.. ლამემ შედარებით მშვიდობიანათ გაიარა... წუხელ საღამოს ჟან რულის მეთაურობით გაფიცულთა კრება გაიმართა პრე დერუაში, ის ავიდა მაგიდაზე და სანთელთან

დაიწყო წიგნაკების კითხვა, რომლებშიაც აწერილია მუშათა ტანჯვა-წვალება... როცა თვითონ დაიღლებოდა კითხვით, მადლენა გამოართმევდა და განაგრძობდა კითხვას რწმენით გამსჭვალული ხმით... არ ვიცი, დაღლილობის გამო იყო ესა, თუ იმიტომ, რომ კითხვა არ ეინტერესებოდათ, მსმენელებში ძალიან ცოტანი იყვნენ მამაკაცები... უმეტესობას დედაკაეები, შეადგენდნენ. რომლებიც სულგანაბული უსმენდნენ კითხვას ისეთივე ყურადღებით, როგორითაც ქადაგებას უსმენენ ხოლმე... მერე კი ყველანი დაიშალენ წყნარათ და წესიერათ.

არგანდ. რა ახირებული და სხვა ნაირი კაცია ეს ჟან რული!.. სხვა დროში, შესაძლებელია, ის დიდებული კაცი ყოფილიყო, დიდებული მოციქული!..

მეგრე. არ ვიცი, მაგრამ ეს კია, რომ ჩვენ დროში იგი საშიშარი გაიძვერაა!.. საბედნიეროთ, მას არა აქვს პოლიტიკური აღლო, მან არ იცის სად მიდის და რას ითხოვს. ასე რომ არ იყოს, მას ისეთი ძლიერი გავლენა აქვს სუსტი ქკუის მქონე ხალხზე, რომ ბრძოლა უფრო საშიშარი და უფრო სასტიკი იქნებოდა.

არგანდ. ასეთი კაცები სხვებზე უფრო საშიშარნი არიან. ამათ მეტი გავლენა აქვთ ბრბოზე, ვიდრე სხვებს. ბრბო ყოველთვის აღტაცებაში მოჰყავს იმას, რაც მისთვის გაუგებარია... მადლენა კი?.. საოცრათ გამოიცვალა!..

მეგრე. ჩემის აზრით, ის უფრო საშიშარია ჩვენთვის, ვიდრე ჟან რული... იმის თვალეებში მეტი საშინელი ცეცხლი ანთია!.. (სიჩუმე).

არგანდ. თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ იმათ ფული არა აქვთ?

მეგრე. დარწმუნებული ვარ!... ისინი ახლაც დამშეული არიან. როდეს დუქნიდან ნაშოვარი ერთი ორი ტომარა პური დიდხანს ვერ ეყოფათ... შესაძლებელია ცოტა ხანს კიდევ გამაგრდნენ, მაგრამ ხვალ-ზეგ რალას იზამენ?

არგანდ. მაშ ასეა საქმე?

მეგრე. დიახ ასეა, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად საშიშარი ნიშნები ბევრია, ბრბოს ეხლა ნაკლები ენტუზიაზმი და ნაკლები რწმენა ეტყობა... ზოგნი კიდევაც ემდურებიან ჟან რულს... ეს ლაჩარი მათხოვრები ერთის კვირის სიმშვილობის შემდეგ ვერაფერ წინააღმდეგობას ვეღარ შესძლებენ!..

არგანდ. ვერ გამიგია, რამ აიძულა ჟან რული, რომ უარი ეთქვა რადიკალებისა და სოციალისტების დეპუტატთა დახმარებაზე? ამ უარის თქმით, იმან ძალიან აენო გაფიცვის საქმეს. რისი იმედი უნდა ჰქონდეს ამ კაცს—ვერ გამიგია!..

მეგრე. სასწაულის იმედი თუ აქვს! ის ცდილობს გაადვილოს ბობოს გულში გმირობა!.. (თავის ქნევიას) საბედნიეროდ, ეს არ ეგუება ჩვენ საუკუნეს!

არგანდ. (ჩაფიქრებით) შესაძლებელია!..

მეგრე. (სკეპტიკურად) ასეა თუ ისე, დროა ჯარი... .

არგანდ. ჯარი დღეს მოვა აქ... გაგიტყდებით, რომ მწუხარებით მივმართე მე ამ უკიდურეს საშვალებას; ახლა ხომ საკმარისია მცირეოდენი აღელვება, ცოტაოდენი მიზეზი, რაიმე გაუგებრობა, რომ მაშინვე გამოიწვიოს სისხლის ღერა... (სიჩუმე). მაგრამ განა შემძლო კი სხვანაირად მოვქცეულიყავ?... აქ ცხოვრობენ უდანაშაულო ადამიანები, რომელთაც საფრთხე მოეღისთ და რომელთა მფარველობა ჩემს მოვალეობას შეადგენს. ამას გარდა, მე იმედი მაქვს რომ ჯარი ზომიერად მოიხმარს თავის ძალას!.. (სიჩუმე) ჩემი ვაჟი?...

მეგრე. მე სწორეთ იმაზე მინდოდა თქვენთან მოლაპარაკება!.. ბატონმა რობერტმა, სანამ კრება შესდგებოდა, წუხელ ინახულა ჟან რული...

არგანდ. ეს შეუძლებელია!

მეგრე. მომიტევეთ, მაგრამ ეს ასეა!..

არგანდ. თქვენ დარწმუნებული ხართ ამაში?

მეგრე. ოხ, რასაკვირველია!

არგანდ. რა მიზანი უნდა ჰქონოდა ასეთ ნახვას? (შეკრე ანაშნესს, რაში მან იქუტი არაფერი იცას). მას შემდეგ რაც გაფიცულებმა აქ დააბრუნეს იგი ყვირილით „გაუმარჯოს რობერტ არგანდსაო“ სადგურიდან, საცა ის ჩემი ბრძანებით იყო წასული, რობერტი თითქო დატყვევებული ჰყავთ გაფიცულებს. ამასთან ის თითქო მიხვდა, თუ რა უხეირო და სამარცხვინო მდგომარეობაში ჩააყენა იგი ამ გარემოებამ როგორც ჩემ წინაშე, ისე იმათთანაც... გუშინ მე ცხადათ ვამჩნევდი, ჩვეულებრივზე მეტათ აღელვებული იყო, ძალიან ნაღვლიანათაც გამოიყურებოდა... რამდენჯერმე დააპირა რალტას თქმა, მაგრამ ვერაფერი კი ვერ მითხრა...

მეგრე. იქნება ის ჟან რულთან დარიგებას ფიქრობდა!..

არგანდ. ეს ჩემთვის მეტისმეტი დამკირება და შეურაცხობა იქნებოდა... (სიჩუმე). ეს უსიამოვნება გაცილებით უფრო მძიმე იქნებოდა ჩემთვის, ვიდრე ყველა ის ტანჯვა, რაც ამ დღეებში გამოვიარე!.. ამ უსიამოვნებამ ისეთი წყლული გააჩინა ჩემ გულში, რომელიც ეგებ არასოდესაც არ მოშველდეს... რა საშინელი, რა ჯოჯოხეთური დანაშაულობაა იმათ მხრით მამა-შვილის ერთმანეთში ასე გადაბტერება!.. დიახ, იმათ ძალათ გადაამტერეს შვილი მამას!.. ეს ისეთივე დანაშაულობაა, როგორც შვილისგან მამის მოკვლა!..

მეგრე. ნუ აზვიადებთ, ბატონო არგანდ!.. რობერტის აქ ყოფნით ისინი უსათუოდ ფიქრობდნენ საქმის დახმარებას, რაკი თქვენ სიახლოვეს ეყოლებოდათ ერთგული ვინმე!.. თუ რობერტი აქ იქნებოდა, იმათაც ეყოლებოდათ თქვენ სიახლოვეს კაცი, რომელიც დაიცავდა მათ ინტერესებს, რომელიც ეცდებოდა რაც შეიძლება მეტი დაგეთმოთ თქვენ მუშებისათვის. ამასთან ბ-ნი რობერტი ხომ ბუნებით ძალიან სულგრძელი და პირდაპირი კაცია!..

არგანდ. მაგრამ ის იმდენათ გამტაცებულია, რომ მეტად მაშინებს მისი მომავალი!.. იმისი სული სწორეთ რომ ცეც-

ხლის მექრვეელი მთა არის!.. ზღვაა, რომელიც მუდამ საშინ-
ლათ შფოთავს და ჩუხჩუხებს, ის მუდამ არა ჩვეულებრივი
ფიქრებით არის გატაცებული!..

მეგრე ტყუილათ შიშობთ!.. თქვენ შვილს მეტისმეტათ
განვითარებული აქვს გრძნობა თავის მოვალეობისა!..

არგანდ დიახ! მაგრამ საქმე იმაშია, თუ რანაირათ
ესმის მას შეგნება მოვალეობისა! მე ანის შესახებ არაფერი
ვიცი. (სიჩუმე) აი რას გეტყვი, ძვირფასო მეგრე! მე ძლიერ
აღელვებული ვარ, მე არა ვარ კმაყოფილი ჩემი თავისა!..
მე ვეკითხები ჩემ თავს: მართლაც შევასრულე რისიცი შესრუ-
ლება შემეძლო, თუ არა; დამრჩა თუ არა ისეთი, რე რომელიც
უნდა გამეკეთებია ამ საწყალ ხალხისათვის და ვერ მოვახერ-
ხე კი გაკეთება?..

მეგრე. ახლა აღარ არის დრო, ბაკონო არგანდ, ასე-
თი კითხვების მოცემისა; ახლა თქვენცა და ჩვენც გვეპირვე-
ბა მხოლოდ სულის სიმტკიცე, მოქმედების სისწრაფე .. ვი-
მეორებ, თქვენ ვერაფერში ვერ უსაყვედურებთ თქვენ თავს;
ყველაფერი, რისაც გაკეთება შეგიძლიათ, უკვე გააკეთეთ!..
ისეთი ფირმა, სადაც მუშის ხელფასი ასე დიდი იყოს, რო-
გორც თქვენ ქარხანაშია, მუშის პიროვნება ასე პატივცემუ-
ლი იყოს, როგორც აქაა, აბა სად არსებობს კიდევ საფრან-
გეთში!.. ახლა კი თქვენ ერთ რამეზე უნდა ზრუნავდეთ,
ერთი რამ უნდა გაწუხებდეთ - ჩაქრობა გაფიცვისა!..
მხოლოდ იმის შემდეგ, როცა გაფიცვას ჩააქრობთ, თქვენ
შეგიძლება იოცნებოთ!.

არგანდ. (შუბლზე ხელს გადაისობს) ვერე იყოს!.. (სტო-
ლზე დახეულ ფურცლებს ერთად კეცავს და აძლევს მკერეს).
აი რვეული! თქვენ აქ ნახავთ გერმანიიდან მოწერილ წერი-
ლებს, რომელშიაც წინადადებას იძლევიან ჩემ მაგიერ შეა-
სრულოთ ის სამუშაო, რაც გაფიცვის გამო გაუკეთებელი
დარჩენილა. პირობები მგონი ცოტა მომძიმო და მოძნელოა,

მაგრამ ჯერ კიდევ ვნახავთ და მოვიფიქრებთ. ყურადღებით ჩაუყვირდით საქმეს და თქვენი აზრი მითხარით დღეს საღამოს...

არგანდ. (არგანდა ღკება, შეკრულ ადგება და უნდა წასვლა) თქვენ ყოველივე განკარგულება მოახდინეთ ჯარის გამოსაკვების შესახებ?

მეგრე. ყველაფერი მოწესრიგებულია!..

არგანდ. მაშ უიში არ არის, რომ რაიმე მოულოდნელი გარემოება ხელს შეგვიშლის?

მეგრე. (თავს აქნევს) ოჰ ჟანდარმები დარაჯობენ ორ ფურნეს.

არგანდ. (სელს გაუწყადის შეკრეს). მაპატივეთ, ძვირფასო მეგრე, ის ცოტადენი სისუსტე, რომელიც მე ახლა გამოვიჩინე! თქვენ, რომელიც ასეთის გაბედულობით თითქმის მარტო-მარტო ტვირთულობთ ამ ცოფიანი ბრბოს მძულვარებას... (მეგრე სელს აქნევს უთანხმოების ნიშნით) ნახევამდის;..

მეგრე. ნახევამდის, ბატონო არგანდ; (მეგრე გადის. არგანდს ცოტა ხანს წესრიგში მოჭკუვს მაგიდაზე დაფანტული ქაღალდები. მეგრე რეკავს. შემოდის ლაქია) გაათრთბილეთ ბატონი რობერტი, რომ მე აქ ვუცდი იმას. (ლაქია გადის, არგანდი ჩაფიქრებული დადის ოთახში წინ და უკან).

გამოსვლა II

არგანდი, რობერტი.

შვილის სიასღოვის გამო არგანდი ცოტ-ცოტათი კარგავს თავდაჭერილობას მისი სახის დადონებული და ჩაფიქრებული გამოშეტველება მოუთმენარი გაანსლებული სდება ეტყობა ცდილობს თავი შეიკაქოს..

არგანდ. დაჯექ მოვილაპარაკოთ...

რობ. რტ. (ადგება) მე ყურს გიგდებ, მამავ!..

არგანდ. (შეჯახეთ) ასეთი დიდებით შენი დაბრუნების შემდეგ... დიახ—დიდებით... ასე არა?.. ეს ხომ შესაფერათ ნათქვამია?..

რობერტ. ოჰ, მამავ!..

არგანდ. სხვა ნაირათ როგორ უნდა დავახასიათო ისეთი შენი დაბრუნება!.. შენ ხელით მოგიყვანეს, თითქო დროშა ყოფილიყავ, იმათი დროშა...

რობერტ. როგორი კილოთი მელაპარაკებით, მამავ! ან რა საკიროა ხელ-ახლა მოვიგონოთ ის შემთხვევა, რომელმაც ჩვენ ორნივე ასე დაგვტანჯა!..

არგანდ. (ცდალბას თავი შეიკავას) ერთი სიტყვით, იმის შემდეგ, რაც მოხდა... გადაწყვეტილი იყო... (იწონით.) და მეც არ შემეძლო მეტის მოთხოვა შენი რწმენის პატრონისაგან, რადგანაც რომ თავისიანობის გრძნობა... პატივისცემა...

პატივისცემა. . (რობერტი ძალაან ნაღვლიანად უტყუროს შამას)... ერთი სიტყვით გადავწყვიტეთ, რომ შენ დარჩენილიყავ, ნეიტრალურ მდგომარეობაში.. იმ საქმეში, რაც ახლა აქ ხდება!.. მე მეგონა, რომ ამ პირობას შენ შეურყევლად და წმრლად დაიცავდი!..

რობერტ. განა მე ის დავარღვიე?

არგანდ. მაშ რას ნიშნავს ისა, რომ შენ, ჩემმა შეილმა, ინახულე ჟან რული, მოთავე და ხელმძღვანელი გაფიცვისა?

რობერტ. (თითქმის გაკვირვებით) ვინახულე!.. (მტკიცეთ) მე ის ვნახე მხოლოდ ერთხელ... გუშინ... ეს მართალია!..

არგანდ. შენ ამას არც მალავ?.. აა?.. არ მალავ?..

რობერტ. რატომ უნდა დავმალო? მე ისე ვმოქმედებ, როგორც უნდა მემოქმედნა!.. თქვენ შემცდარი ხართ, თუ ჰფიქრობთ, რომ ჩემი ასეთი ნაბიჯი თქვენი ორგულობის მომასწავებელი იყოს,..

არგანდ. ორგულობის მომასწავებელია თუ ერთგულობის, ყოველ შემთხვევაში შენი ასეთი საქციელი ჩემთვის-

მეტათ სათაკილოა .. განა მე შენ გთხოვე, რომ ჩარეოდა ამ საქმეში?.. რატომ მიითვისე შენ ეს ახირებული მონდობილება? როგორ მოხდა, რომ შენ ვერ შეიგენ, თუ რა მოუხერხებელი იქნებოდა ჩემთვის და როგორ დაამცირებდა ჩემს ავტორიტეტს შენი ამ საქმეში ჩარევა, თა ნაირი უნდა ყოფილიყო იგი!.. შესაძლებელია, რომ შენ ამ საქცილით ერთი ახალი იარაღი შესძინე ჩემ მტრებს!.. თუ ყველა ეს გარემოება შენ კარგად გესმოდა, მაშ როგორ გაბედე?

რობერტ. ვერ გამოგია, რა ნაირათ შემეძლო ხელი შემეწყო თქვენი ავტორიტეტის შემცირებაში და მიმეცა მტრებისთვის ხელში ახალი იარაღი?.. მე ხომ მართო ჩემი საკუთარი სახელით ვლაპარაკობდი და არა თქვენით?

არგანდ. შენი სახელით ვლაპარაკობდი?.. მერე რა უფლებით შვრებოდი ამას? შენ აქ არაფერ შუაში არ ყოფილხარ, არაფერში...

რობერტ. მე—ადამიანი ვარ!

არგანდ. (ბრძანებით) შენ—ჩემი შვილი ხარ!..

რობერტ. თქვენი შვილი რომ ვარ, განა ამითი ვკარგავ უფლებას თავისუფალი შეხედულება ვიქონიო საგანზე? თავისებურად მიყვარდეს, თავისებურად ვცხოვრობდე... მე ვასრულებ ჩემს მოწოდებას!

არგანდ. (აღელვებულა) აა! თავისებურად? უნდა შეასრულო თავისი მოწოდება? ასე იგი, წახვიდე ჩემ წინააღმდეგ?.. მიუდგე ჩემ მტრებს? რა სიბრიყვე მომივიდა, რა სიბრიყვე დამემართა, რომ გადავწყვიტე შენი შინ დაბრუნება?.. შენი მოწოდება... ეს საზინდარი ყვირილი! „გაუმარჯოს რობერტ არგანდსაო“! რომელიც ყოველ წამში ყურებში ჩაგძახის, რომელიც ასე ქეჯნის სულს და თითქოს დანით მისერავს გულს!.. ეს მუქარა, მკვლელობა, ცეცხლის წაყიდება!.. ცარცვა—გლეჯა... ყველაფერი, რაც ასე ჯოჯოხეთურად სდულს ამ იელური ხალხის გულში, რომელიც ისე ცოფია

ნივით დღეა ჯველაფერს, თითქო ესაა ჯაკევი გაუწყვეტია და ქვეყანას ასაოხრებლათ მოსდებიაო—და ეს ბრბო მოდის ჩემ წინაღმდეგ შენი სახელით!.. აი რა არის შენი „თავისებურათ ცხოვრება“!.. მოიკრიბე გაბედულება და მონათლე თავის ღირსეული სახელით ასეთი შენი საქციელი—პატივის მოყვარეობით! და რომ ეს პატივის მოყვარეობა დააკმაყოფილო, შენ არ შეგაჩერებს არც მამი შენის სიკვდილი, არც მთელი ოჯახის დაღუპვა!..

რობერტ. (დგება). მე არა მაქვს არავითარი პატივის მოყვარეობა გარდა ერთისა, რომელიც მდომარეობს ადამიანთა ბედნიერებისადმი ლტოლვილებაში... და აი ამ პატივის მოყვარეობას შეეწირე მე მსხვერპლათ ჩემი ქონება, ჩემი ახალგაზობა და მალე ჩემ სიცოცხლესაც—შეეწირავ!

არგანდ. აკრეთვე ჩემსასაც!..

რობერტ. თქვენ მეტის-მეტათ აგშლიათ ნერვები, მამავ! ამიტომაც უსამართლოთ ლაპარაკობთ! არ არის კარგი, რომ თქვენ და ჩემს შორის ისეთი სიტყვები ითქვას, რომლების დავიწყება შეუძლებელი იქნება... ნება მიბოძეთ წავიდეთ!...

არგანდ. დარჩი, დარჩი!.. (აღუფეხული დადის ოთახში; მერე დაუდება სწერ მაგიდასთან და ცდილობს თავი შეიკავოს). რა ნაირი იყო წუხელ შენგნით გადადგმული ნაბიჯი—ეს მე უნდა ვიცოდეთ!

რობერტ. (თითონაც წდება) მე სრულიადაც ამას არ ვმალავ!.. წუხელ მე შენვეთვეასაგან გავიგე, რომ თქვენ ჯარი მოითხოვეთ გაფიცვის ჩასაქრობათ!.. და რომ ჯარი დღეს უნდა მოვიდეს... (ცხარეთ) მე მივხვდი, რომ შესაძლებელი იყო უბედურება მომხდარიყო.. და ვერ მომენელებია, რომ ამ ამბის გამო, რომლის ჩაქრობა უჯაროთ და უსისხლოთ შეიძლებოდა ასობით ადამიანები უნდა დაიხოცონ და სისხლი უნდა დაიღვაროს... სისხლი აქ. . სისხლი ჩვენ ოჯახს და ჩვენ... (სიჩუმე) მაშინ მე გადავწყვიტე შენახა თან რული და ოველაპარაკებოდი მას!..

არგანდ. რატომ მას უნდა მოლაპარაკებოდო და არამე? რობერტ. თქვენ ხომ ამიკრძალეთ თქვენთან ლაპარაკი!.. მასთან მე ვიცოდი, რომ ეს უსარგებლოც იქნებოდა!..

არგანდ. შენ არ შეგეძლო გკოდნოდა ეგა!..

რობერტ. მე საკმაოთ გრცნობთ თქვენ და ვიცოდი, რომ ამ საშინელ გადარწმუნებებს უფერათ კი არ დადგომიხართ, არამედ დიდი ხნის ყოყმანის და თავისთან ბრძოლის შემდეგ აიჩრჩიეთ! მე არ მქონდა იქელი თქვენთან გამარჯვებისა (არგანდის მოძრაობის ზასუსათ)... ოხ, მამე, ტყუილად ნუ ემიზნებებით ჩემ სატყვებს, ჩაუკვირდით იმათ აზრს და იმ პიტივსადებს, რომლებიც ამ სიტყვებს მათქმევენებს!.. ენ რული ძალიან გატაცებული და თავ-შეუკავებელია, მაგრამ მასზე მაინც მოქმედებს გონიერების ხმა... და მე მჯერა რომ მისი გული სავსეა სიბრალულით... ანითომ მე შევეცადე დაპერწმუნებო იგი, რომ მტრათ დიდ ზასუსის მგებლობას იღებს თავის თავზე, რომ მის ხელშია აქ რანდენიმე ათასი კაცის სიცოცხლე!... ის საკუთარის მოსაზრებით შემპირდა დღეს თქვენთან შემოსულიყო ხალხის მოთხოვნრლებების წომოსადგენათ... მე არ მქონდა უფლება რაიმე აღთქმა მიმეცა მისთვის. თავის მხრით არც იმას მოუცია ჩემთვის არავითარი აღთქმა, გარდა თქვენთან შემოსელისა—აი მთელი ეს ამბავი!..

არგანდ. მე აო მივიღებ იმს, მე ვერ ვცნობ მას... მე ის გავაძვევე ქარხნიდან!..

რობერტ. თქვენ გადაევეთ ივი, მაგრამ ხუთი ათასმამუშამ აიჩრჩა და სცნო!..

არგანდ. ხუთი ათასმა მემბოხებ!.. მე არ ვთვლი ჩემ მოვალეობათ, რომ დავემორჩალო მათ!.. დეე, ჯერ მე დამემორჩილონ ისინი!..

რობერტ. თუ ენ რული იმ მიზნით მოვიდა, რომ დარეგება მოახდინოს?

არგანდ. დარიგება დამყარებული მდაბალსა და სამარ-
ცხვანო პარობებზე?.. არა, არა, სიგიჟე იქნებოდა ამბზე ფიქ-
რიც კი!.. (ადგება და დადის წინ და უკან. სისუმეა) აი ებლაც
რამდენი უსიამოვნო და საქმისათვის უსარგებლო სიტყვებით
შევვებით ერთმანეთს!. ასეთი სიტყვები საქმეს კი არ შევლი-
ან, მხოლოდ ტკივილებს აღძრავენ!.. საქაროა მეტი გონიე-
რებით გავსარჯოთ... (ზურგით ბუსხარს მიაწკება). ჩემ თავს მე
ავ კაცად არ ვთვლი!.. შენ მგონი კიდეცაღ დაგიტკიცე,
რომ მტარვალი არა ვარ!.. რომ პირიქით, შემოდლია თანა-
ვუგრძნო სხვის თავისუფლებას!.. მე შენ მოგეცი სრული თა-
ვისტფლება, რომ ისე განვითარებულიყავ, როგორც ამას მო-
ითხოვდა შენი ბუნებრივი მიდრეკილება, შენი რწმენა-მი-
მართულება, შენი აზრი და შეხედულება... შენ არ შეგიძ-
ლია დამაყვედრო, რომ მე ამ მხრით როდისმე ხელი შემეგ-
შალოს შენთვის!..

რობერტ. (სწრაფათ) მე დიდი მადლობელი ვარ ყველა
ამაებისათვის, მამავ, სულითა და გულით გმადლობ, გეფა-
ცებით!..

არგანდ. ეს ხომ ასე იყო, თუმცა, იმავე დროს, შენი
მიმართულება მე ყოველთვის ხიმერათ მიმაჩნდა, საშიშრად
ვთვლიდი მას და ყოველ შემთხვევაში ჩემ მიმართულებაზე
ძალიან დაშორებულათ!.. გარდა ამისა, შენმა მიმართულე-
ბამ დაამხო და გააქარწყლა ჩემი იმედი და ოცნება იმის შე-
სახებ, რომ შენში მოვიპოვებდი ამხანაგს, ერთგულ თანა-
შემწეს ჩემ საქმეებში და... როცა მე აღარ ვიქნებოდი, შენ
გახდებოდი დამცველი და პატრონი იმ ქონებისა, რომელიც
მე აქ შევიძინე ჩემის შრომით... (აღეგებათ და გამოცვდილი
ხმით) მე არ მოველოდი ლოდიკურს, საშინელს, საბედნიერო-
სამწუხარო შედეგს ამისას... მხოლოდ ღმერთმა უწყის, რა
რიგათ... (ხმა უწყდება. რობერტიც მწუხარებით და აღეგებით
ხედებს იფარებს სახეზე) ყურობ შენ ჩემ სიტყვებს?..

როზერტ. ოხ, მამაე... მამაჩემო!.. თქვენი სიტყვები სულს მიტანჯავს,..

არგანდ. (განაკრძობს მწარედ) ერთი სიტყვით, მე არ მოველოდი... იმას.. რაც მოხვდა!.. მე არ მეგონა, თუ ჩემი მამობრივი ლიბერალობა ღიმიყვანდა როდისმე... ასეთ საშინელ ბოლომდე... რომ ჩვენ ასე ვილაპარაკებდით ერთმანეთში... რომ ასე შევხედავდით ერთმანეთს... როგორც მტერი-მტერს...

როზერტ. (სწრაფად აღგება) ნუ შეუბნები ამას... გვეღრებით!.. (სწრაფად) მე თქვენ მიყვარხართ!.. მიყვარხართ მიყვარხართ, მამაე!..

არგანდ. ნეტამც ასე არ გვეყვარებოდა ერთმანეთი, ჩემო საბრალო ბავშო!.. (სიჩუმე) მაშინ ჩვენ არ ვიქნებოდით ამდენათ უბედურნი!--

როზერტ. მამაე!.. მამაჩემო!.. (წინ წადგამს ნაბიჯს, რამე შიგანდოვდას მამას! დონე მისდღია, საერძელში დაეშვა სიჩუმე).

არგანდ. მოჩინიანე კიდევ! მე ცხოვრებაში სხვა წაღილი არა მქონდა, გარდა შრომის წიდილისა!.. ფულის შეძენისათვის კი არა სიმდიდრისათვის კი არა, არც ფუფუნებისათვის, არამედ იმ ღრმა და მაღალ კმაყოფილებისათვის, რომელსაც შრომისაგან ვგრძნობდი... ამ ბოლო დროს იმიტომაც ვშრომობდი, რომ ის სურვილი თავდავიწყება მოქებოვებინა, რომელსაც შრომა აგრძნობინებს აღამიანს... კმაყოფილებით შემძლიან ვთქვა, რომ ჩემი საზოგადოებრივი როლი, ჩემი როლი მშრომელისა სასარგებლო იყო სხვებისათვისაც... ის მეტ სარგებლობას აძლევდა საზოგადოებას, ვიდრე სხვა და სხვა ბუნდოვანი ტერორები!.. ამოა დაპირებანი და შეუძლებელი ოცნებანი!.. თუ რამ მე ყველა ჩემი ნამუშავარით, ყველა იგინია რაც მე გამოვჩინე შეუმუშავებელი მისაღის, ვერ გავამდიდრე ლატაკნი, შესამჩნევად მიინც გავიუმჯობესე მათი კეთილდღეობა... და შევასუსტე მათი ყოფი-

ცხოვრების მძიმე პირობები... მივეცი საშვალგება იაფად შეეძინათ მათთვის აუცილებელი რაიმე ნივთები, რომლებსაც წინად ისინი მოკლებული იყვნენ და რომლებიც მე შევქენ მათთვის... მე სიტყვებში უხვად ვყოფილვარ... მაგრამ ჩემ შრომას ნაყოფი მოჰქონდა!.. მე საქქეს ვაკეთებდი!.. განა ეს მართალი არაა?

რობერტ. მე არასოდეს არ უარყოფდი თქვენ კეთილგანზრახვას, თქვენ სიმტკიცეს... თქვენ შრომას... და ენერჯიას...

არგანდ. რაც შეეხება იმ დამოკიდებულებას, რომელიც არსებობდა წყმსა და მუშებს შორის... მე ვცდილობდი რაც შეიძლება მეტი თავისუფლება მიმენიჭებია მათთვის. ამ გზას მე იძენად შორს გავყევი, რამდენადაც ეს შესაძლო იყო ჩემთვის... მე ისე შორს წავედი ამ მხრით, რომ ყველა ჩემი მეგობრები მოვიმდურე და ისინი მუდამ მკიცხავდნენ, მუდამ მესაყვედურებოდნენ, სისუსტესა და მხრის დაუქერლობას მიჩივოდნენ... თითონ მუშებში ვცდილობდი დამენერგა მაღალი ზნეობა, სრული თვითცნობიერება და პიროვნების პატივისცემა... მოხუცებულთა უზრუნველყოფაზედაც ვზრუნავდი, მინდოდა ვაქირვებისაგან დამეფარა ისინი... მათი ცხოვრება გაშეადვილებინა!..

რობერტ. (აწვევტინებს) საწყლები!.. (სიჩუმე) დიახ!.. ყველა ამას თქვენ შერებოდით, მაგრამ თქვენ გარშემო მაინც, ყველგან საშინელი სილატაკე და გაკავრება სუფევდა!...

არგანდ. (უფრო მაღლის ხმით). ეს ჩემი ბრალი არ იყო!..

რობერტ. მაშ იმათი ბრალი იყო?..

არგანდ. განა მე შემეძლო დამერღვია ეს დაურღვეველი კნონი ცხოვრებისა, რომელიც მოითხოვს, რომ ყველაფერი ქვეყანაზე წვალებით შენდებოდეს და დაფუძნებული იყოს ტანჯვაზე?..

რობერტ. ეს არის გამართლება ყოველივე ძალადობისა და მტარვალობისა!.. „ცხოვრების კანონი—ტანჯვაა“!.. ეს ხომ საშინელი სიტყვაა, მამაე!..

არგანდ. მთელი ისტორია ამ სიტყვას შეიცავს...

რობერტ. წამება, ხოცვა—ელეტა, ცეცხლის დოჩაჯური-ის ისტორია!.. ისტორია, ეს აკლდამა, რომელშიც მკვდარი განი'ვენებს!.. ნუ შეეხებით გაბრწილ გვანს, სიბნელით მოცულს და გა ისხლიანებულ წარსულს ნულარ დაუბრუნდებით!.. სინათლე მომავალში უნა ვეძებოთ!.. კიდევ ხოცვა, მუდამ ხოცვა!.. ნუ თუ კაცობრიობა აღარ მოიქანცა ამდენი მახვერპლით!.. ნუ თუ ადამიანისადმი თანაუბრობის და შებრალების წუთი აქაზდა აღარ მოახლოვებულა?..

არგანდ. თანაუბრობა!.. (ავსტრალია დაღას ათასში.) თანაგრობა ამცირებს, აფუფრულებს ენერჯიას! იგი ასუსტებს და აფერბებს პროგრესს!.. ის უნაყოფოა... ის ვინც რამეს ქმნის—სულგერთია რაც უნდა იყოს—მეტნიერი, რომელიც ბუნებას ებრძვის და სურს გამოსტაცოს მას მისივე საიდუმლოება... პრეწველი, რომელიც ამღშავებს უმთა და დაუმუშავებელ მ.საღას, რომ ადამიანის მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებელ საგნათ აქციოს იგი, ამ მუშაკ—შემოქმედთ არა აქვთ უფლება, რომ შეჩერდენ ისინი საბრალულო წინაშე!.. ამ ნუწავთ მოქმედება ბევრათ წინ უსწრობს იმ დროს, რომელშიაც ისინი ცხოვრობენ... იგი თითოეულ ადამიანისაგან გადღის მთელ ხალხზე, მთელ ქვეყანაზე... და თუ ხან და ხან ის სტყულებავს თავის გზაზე ზოგიერთ უნი-შენელო არსებათ, გაიხსენე, რომ სამაჯიეროთ ბევრისათვის მოქვს ბედნიერება და თავისუფლება!.. მე შექმლო ვყოფილიყავ... მე უნდა ვყოფილიყავ სწორეთ ასეთი კაცი... მე რომ ყრუ ვყოფილიყავ სიბრალულისათვის, იქნებ მაშინ შემძლებოდა რომელიმე დიდებულა ოცნების განხორციელება!..

რობერტ. თქვენ ცალსა წამებთ თქვენ თავს, მანაკ!..

არგანდ. არა!.. მე მალოდ სიბრალულს ვერძობ ჩემი თავისას!.. (ისიყმ). და აი ახლა კი წინ დამიდვა იმ სულგელური სიბრალულის შედეგი, რომელს შეკავება მე ვერ

შევძელ!.. რომელიც მე ვერ ჩაეიკალ ჩემ გულში!.. (შეგახსენა)
მაგრამ ახლა კი ყველაფერი გათავდა!—და აი იპოვნე იან კო-
ლეც ჩემში ასეთ ბატონს!..

რობერტ. ფრთხილათ იყავით!.. რომელი უფლებით უწოდებთ თქვენ უმნიშვნელოს იმ არსებათ, რომელთაც თქვენ სრესავთ?.. რომელი კაცთმოყვარეობის ძალით, რომელი განგების ჩაგონებით გინდათ მიუსაჯოთ მათ სიკვდილი?.. თქვენ ვალდებული ხართ ანგარიში მისცეთ კაცობრიობას მხოლოდ იმ არსებათა შესახებ, რომელთაც მიგიღიათ თქვენი მფარველობის ქვეშ და არავითარი უფლება არა გაქვთ დანარჩენ არსებათა შესახებ!.. ნუ თუ თქვენ არასოდეს არ ჩაფიქრებინებთ თუნდ იმ გარემოებას, რომ თქვენი ასეთის საქციელით აღვილი შესაძლებელია გახდეთ მკვლეელი რომელიმე დიდებულის მაგრამ ჯერ უცნობის დიდებულებოვან არსებისა, რომელიც იქნება ამ უბნით თქვენ ახლოს იყოს და სტიროდეს?..

არგანდ. (მხრებს; აიშეშება და აღუფრთხილად დადის ათახში. სიჩუმეა). მერე რა?.. ხომ თითონ ისინი იწყებენ?..

რობერტ. მერე როგორ კადრულაობთ მოსთხოვოთ ესოდენ სუსტი, შეუზღებელ ადამიანთ... იმათ საბრალო ბავშვურ ქუას, იმათ ვინც ენის მობრუნებასაც ძლივს ახერხებს, რომ ისინი ამაღლდენ ისეთ ღვათებრივ ძალამდე, სადამდინაც თქვენ ვერ მივიხიწყვით, მანავ, თქვენის გონიერ რებით და მაგარას გულით!..

არგანდ. შენ ცდილობ აღელდე, ცდილობ დაითვრე ამ ტემოსფერით!.. კმარა ღამაზი ფრაზები!.. საქროა მოქმედება!.. აი რას გეტყვი!.. ვინც ასე ხმა მალლა და ასეთი რწმენით ღიაპარაკობს, იმას უეჭველათ ხელთ უნდა ჰქონდეს გზა, და განსაზღვრული პროგრამა... გაქვს შენ ისა, თუ არა?.. თუ გაქვს გამაცანი ის და მეც შეუდგები მის განხორციელებას...

რობერტ. რა საქროა მთელი პროგრამა განვიმარტო

თუ ეს პროგრამა ერთ სიტყვაშია და ეს სიტყვა თქვენ არ გწამთ?
არგანდ. (სასტიკათ) ერთ სიტყვაში!.. ერთ სიტყვაში!..
წყნოლიც იყოს ეს სიტყვაც!..

რობერტ. რაკი თქვენ გადაწყვიტეთ, რომ ყოველი ჩემი
ნათქვამი მარტო სიტყვების რახა-რუხათ იწამოთ, რაღა საჭი-
როა აქ მეტი ლაპარაკი!..

არგანდ. დასაწყევლოდ ღმერთმა!.. მე ვიცოდისავე შიბა-
სუბუბდი.. რსინიც ასე იქცევიან — არაფერს ამბობენ!. (თავს
ველს შეეკავებს) მაშ თუ სიტყვების გარდა აღარაფერი გაგა-
ჩნია ლატაკების მისაწოდებლათ, თუ რომ მარტო სიტყვებს
აძლევეთ მათ სათრობელ ფიალის სახით და სასიკვდილოთ
მიერგეკებით მათ... იცით კი რას ნიშნავს ესა?.. ეს ან მკვლე-
ლონაა ან უგუნურება — აირჩიე რომელიც გინდოდეს!..

რობერტ. (ძაღდატუნბით). თქვენ მართალი ხართ!.. ჩვენნი
შეხედულება ვერ თანხმდება ერთმანეთში!.. ეს დიდი, ძალიან
დიდი უბედურება არის!.. მე წავალ!..

არგანდ. (ცოტა ხნის სიჩუმის შეუდეგ; წინანდეკის კალოთი)
კარგი... შეგეძლია წახვიდე. (შემოდის ლაქია)

გამოსვლა III.

იგივე და ლაქია.

არგანდ. იქ რაღა ამბავია?

ლაქია. ვაფიცულთა წარმომადგენლები ვიახლენ სა-
სახლის ქისკართან, უნდათ ბატონი ინახულონ.

არგანდ. ჰმ!.. რამდენი არიან! (ლაქია არგანდს გადასცემს,
მატარა ქაღალდს ვერცხლის ჰოდნასზე) ლუი ტიე, თან რულ
ანსელში, კატარო, პიერ ანსომი და სხვანი!.. ექვსნი. (ხვეს
ქაღალდს). კარგი!.. (არგანდი და რობერტი ერთმანეთს გადახე-
დავენ. ლაქიას) გაუღეთ ქაშკარი შემოვიდნენ! (ლაქიას ენდა ჭა-

ვადეს). ბ-ნი მეგრე სახლშია?

ლაქია. სახლში გახლავთ.

არგანდ. უთხარიტ ბაბრისტს ზეგრესთან შეგ-დეს და სთხ-
ვოს, რომ ბ-ლიარდის ო.თ.ხში მცადოს.

ლაქია. აღვასრულებ, ბატონო ჩემო! (გადის. რაბუერტი
აზარებს წასვლას).

გამოსცეა IV.

რობერტი და არგანდი,

არგანდ. შენც დარჩი. (რაბუერტი შოუთმენლათ შეინძრევა
შე სო? დაეთანხმდი მივილო რსენი, მაგრამ წინაა, რომ შენ
დაცნარო ჩენს მოლაბარაკიას... (რაბუერტს შოუთმენლათას რი
აშენეეს ვეახეთ შენიშხავს) მე მსურს, რომ დარჩე... გგონი დიდ
არაუარს გახოვ!..

რობერტ. დიახ, მაგრამ რისთვის უნდა დარჩე, მამაც?

არგანდ. იმისთვის, რომ მე ასე მსურს!.. (რაბუერტი მი
ჩხიდეებს ანიშებს, ავჯანდი ადეღეებელი დადის ოთახში; შეგედ;
საწერ მაგიდასთან აჯდება და კვლადებს აწეობს. დიდხანს სიჩუმე
შეშოდან წარმოშადეენდება).

გამოსცეა V

არგანდი, რობერტი, ვან რული და კიდევ ოთხი წარმომადგენე

მეწები წყნარათ შემოვლენ, ხელში ქუდეზი უჭირავთ; წინ მოდ
ვან რული, მრისხანე, მაგრამ დამეშიდებული სახე აქვს, მის უკან წელ
მოხრილი, კაღარა, ცოტა დარცხენილი ლუ-ტრე მოდის, წარმომადგენ
ლნი არგანდის საწერ მაგიდასთან ჩაწმკრიკედებიან. იმინი თითქო შეკრ
ბიან კაბინეტის მდიდრული მორთულობით. ლუი ტრე შეაშტერდება ხალ

ჩას, დანარჩენები ქულებს კმუქნიან ხელში, გარდა ჯან რულისა, რომელ-
ღაც ტანში გასწორებული დგას, თავისუფლათ, ამაყათ, მაგომარა უტი-
ფრათ... არგანდი ზის უძრავათ, დაყრდნობილია საეარძლზე, ნიკაპი ხელზე
უბჯენია. ეტყობა ცდილობს ნამეტარი ცივი და უგულო გამომეტყველება
შილოს. რომერტი, რომელიც წარმადგენელთა შემოსვლაზე სწრაფათ
შეხედავს ჯან რულს, ახლა ოთახის კეხეში მიიწევს. შემაწუხარი ლიხუშე
ჩამოვარდება).

არგანდ. (ნაწვევტ-ნაწვევტათ) მე ყურს გიგდებთ!..

ჯან რულ. ჩვენ როგორათ ჩვენი სინდისის დასამშვიდებ-
ლათ... (სიჩუმე) თუ თქვენ არ მიიღებთ იმ მოთხოვნილებებს,
რომელიც ხუთი ათასი მუშის მონდობილობით უნდა გადმო-
გცეთ თქვენ უკანასკნელთ... მაშინ ჩვენ უნდა შეგატყობინოთ,
რომ ყველანი მზათა ვართ საბრძოლველათ.. ჩვენ არ გეაში-
ნებს არც შეიარაღებული ჯარი, რომელიც თქვენ მოვიწვევ-
ვით, არც სიმშლი, რომელსაც ჩვენ თქვენის წყალობით
განვაცდით. ჩვენი მოთხოვნილებანი გონიერი და სამართ-
ლიანია... ომს თუ რჩებთ, თქვენ უნდა გადაწყვიტოთ...
(სიჩუმე) ვახოვთ ცხეც იქონიოთ სახეში: თუ ჩვენ გამოვრიც-
ხეთ ჩვენი პროგრამიდან ზოგერთი უწინდელი მოთხოვნი-
ლებანი, ეს მართამ როდო გეაქნია, რომსრულიათ უარ ვყოფ-
დეთ ახლა ამ მოთხოვნილებებს არა, ისინი ჩვენ გადავდეთ სა-
მერისით... (დადის სიამაუით) ეს იყო ჩვენი საკუთარი სურ-
ვილი! (სიჩუმე; არგანდ თითქო გაშეგებულა, მიძის სახე გაშეშე-
ბული აქვს; არც ერთი ძანდვი სახეზე არ უკრთის. ყანი ამოიღებს
ბლუზის ჯიბიდან ქაღალდს, რომელშიაც ხანდახან ჩაიხედავს) პირ-
ველ ყოვლისა ჩვენ ვთხოვდებთ რვა საათის სამუშაო დღეს
ჯამაგირის დაუკლებლათ... რისთვის ვშვრებით ამას, ეს მე
უკვე აგინხენით, ამიტომ ხელმეორეთ ამაზე არაფერს ვიტყვი...
(არგანდი გაჩუქებულა) მით უმეტეს, რომ თქვენ დღეს, რო-
გორც ვხედავ, ლაპარაკს გუნებაზე არა ბრძანდებით!.. შეშ-
დევ აწისა ჩვენ ვითხოვთ ქარხნებში სანიტარულ პირობათა გა-

ჟმჯობესობას. თუ თქვენ მართლა ისეთი ჰუმანიური მექარხნე-
ბრძანდებით, როგორც ამას ყველა გახიფტებში სწერენ, თქვენ
უნდა მოითხოვოთ, მუშებმა ისეთ სადგომებში
იციხოვნონ, სადაც ჰაერი ერთიანათ მოწამლულია.
ვინცობაა თქვენ პრინციპიალურათ ღააკმაყოფილოთ კიდევ
ჩვენი მოთხოვნა, რომელსაც ჩვენ დიდ მნიშვნელობას
ვძლევთ, მაშინ ჩვენ კიდევ უნდა შევთანხმდეთ იმის შესახებ
თუ როგორ უნდა მოხდეს ეს გაუმჯობესობა ქარხნის ჰაერ-
ნურ მდგომარეობასა, აგრეთვე ისიც უნდა ვიქონიოთ სახეში,
რომ ჩვენ ვთხოვლობთ მუშების მხედველობას გადაეცეს ქარ-
ხნის გაუმჯობესობის საქმე. (არგანდი სულ უძრავათ და ჩუმთ-
ზის; ჟან რული თვალს არ აშორებს მას წამდგენივე წამს, მერე გა-
უკვეყვლათ დაქნევს ხელს) ჩაუყვეთ ბოლომდე, რადგან ჩვენ აქ
მოვედით სინდისის დახამშვიდებლათ... (საჩუმე) მესამე... ლი-
თონის გადადნობა უნდა წარმოებდეს მექანიკური საშუალე-
ბით... ლითონის გადადნობა მუშაობა კი არა, წამებაა... ეს
მუშაობა მრავალ ქარხნებში უკვე წარმოებს მექანიკური სა-
შუალებით, ისეთებშიაც კი, რომლებიც თქვენ ქარხანაზე ბევ-
რათ ღარიბნი არიან... ახლანდელი წესი მუშაობისა თქვენ
ქარხნებში ნამდვილი წამება და ადამიანთა ხოცვაა; სამი-
სათის განმელოებაში მუშა დედის შობილ ტიტვლათ უნდა
იდგეს გათაკარებულ, ანთებულ ჰაერში, საცა სიცხისა და
წყურვილისაგან სული ეხუთება, ტანზე ორთქლი ბოლქვა-
ბოლქვათ ასდის, სახე მიშვერილი აქვს გახურებულ ღუმელის-
ღია კარებზე და ასეთ საშინელ მდგომარეობაში ძალზე ურევს
გამდნარ ლითონს!... თქვენ ხომ კარგათ იცით, რომ ის უბედუ-
რი, რომელსაც ასეთ საშინელ სამუშაოში შევბამთ, რაც უნდა
ჯან-სალი იყოს იგი, ათ წალიწადში უკვე ათავეებს თა-
ვის წამებულ სიცოცხლეს. (არგანდი ისევ ისე უძრავთ-
ზის. ჟან რული ხელს დაქნევს. — საჩუმე) მეოთხეთ... მკა-
რნი თვალ-ყურის დევნება ღვინისა და ალკოჰოლის თვისე-

ბახე... (სიჩუქი) თუმცა თქვენ ერთიან-ათ ჩაიგდეთ ხელში აქა-
ური უაქრობა... ვითომ და კოპერატიულ საამხანაგოთა
დაარსებით, თქვენ და მარტო თქვენა ხართ ჩვენი მე-
ყასბეც, მეპურეც, მეღვინეც, მეწვრილმანეც და სხვა და სხვა...
ამისთანა მდგომარეობაში თქვენ შეგეძლოთ ცოტით ნაკლებ-
მოსაგებს დასჯერებოდით და ნაკლებ ფასებში მოგეყიდათ სა-
ქონელი. — ეველაფერი, რასაც ჩვენ აქ ვყიდულობთ ჩვენთვის —
საშინელი ძვირია... საქმელი საწამლ რაფია, სასმელი — შხაში!..
ახლა ჩვენ ჰაერის მაგივრათ სიკვდილს ვისუნთქავთ; ჩვენ კი
გვინდა შემდეგში შიან ცისოცხლეს ვისუნთქავდეთ... (არაგანდ
ვიდაც გაჩუმებულია). მეხუთე... როგორც ბუნებრივი და ზნეო-
ბრივით აუცილებელი შედეგი რვა საათის სამუშაო დღისა...
ჩვენ გვსურს დავაარსოთ სამკითხველო მუშათათვის, რომელ-
შიაც უნდა გვქონდეს წიგნები ფილოსოფიური, ისტორიული,
მეცნიერული, ლიტერატურული შინაარსისა, უნდა იყოს ბე-
ლოვანების შესახებაც წიგნები, რომელთა სიას მე თქვენ წარ-
მოგიდგინებ... აღამიანი, რაც უნდა ლატაკი იყოს, მარტოც
პურით ვერ იცოცხლებს!.. (სიჩუქი). იმასაც აქვს უფლება,
როგორც მდიდრებს, იფიქროს ხან-და-ხან მშვენიერებაზე!..
(სამარისკვირა სიჩუქი). და უკანასკნელათ ჩვენ ვთხოვლობთ
ეველი იმ ამხანაგების ხელახლა მიღებას ქარხანაში ჯამაგირის
დაუკლებლათ, რომლებიც დათხოვნილი არიან გაფიცვის და-
წყებიდან... პირადათ ჩემთვის მე არაფერას არ ვითხოვ... როცა
ჩვენი პირობა თქვენგან ხელმოწერილი იქნება, მე გავშორ-
დები აქაურობას!.. (ღაბს ქადაღდს ხაშქარდო ძაგიდაზე).

არგანდ. (ცოტა სიჩუმის შემდეგ) ზღვილიფან არ იძვრის,
დაამარჯვებ შენს ხმით იწყებს). დაასრულეთ თუ არა?

ჟან რულ. დავასრულე!

არგანდ. (მიუბრუნდება ღვი ტიეს). შენ რას ფიქრობ
ეველა ამ ამბავზე, ტიე?.. ახლა შენ სამკითხველოები დაგ
პირდა... აბა, შემომხედე პირდაპირ!..

ლუი ტიე. (ხაღაჩას აუღას არაშორებებს). ბატონო არგანდ... ბატონო არგანდ!..

არგანდ. 'შქმომხედე მეტქი, ტიე შენ გეუბნები!..

უან რულ. ნუ შეურაცხყოფთ ამ საწყალ ადამიანს! ისა სჯობია, თითონ თქვენ კაგათ შეხედოთ ამას, თუ რა კაცი გამ-ხდარა ის თქვენ ხელში ოცდა სამის წლის მუშაობის შემდეგ... ,

არგანდ. ეხ, საწყალო ჩემო ტიე!.. შენ რომ ამ კაცის გავლენის ქვეშ არ იყო, შენ რომ თავისუფლათ შეგეძლოს გამოთქმა შენი გულის წაფილისა... მე ვიცი... შენ მუხლს მოიდრეკდი და პატიებას შემევედრებოდი...

ლუი ტიე. (აითქო უნდა არგანდს მიუახლოვდეს) ბატონო არგანდ, ბატონო არგანდ!..

უან რულ. (ენერგულათ) რატო არ კითხავ, ტიე, შენ ამას (არგანდსე უჩვენებს), თუ რა მოუვიდა შენ ცოლს, რა მოუვიდა შენ შვილებს?..

ლუი ტიე (დიდის ძაღატანებით) ბატონო არგანდ!.. ეს მართალია!.. შეუძლებელია ასეთი სიცოცხლე!.. შეუძლებელია ჩვენი ასეთი ცხოვრება!.. ეს უსამართლობაა!..

არგანდ. შენ მხოლოდ გაკვეთილს იმეორებ, სულელო კაცი!.. და ხეირიანათაც ვერ გაგიზეპირებია გაკვეთილი!.. შენ კულათ იცი გაკვეთილი!..

უან რულ. (სამწერდო მაგიდასთან მივს). დროა დავასრულოთ!.. თქვენი პასუხი?

არგანდ. (უკმეხათ, მაგრამ ვერ კიდევ თავდაჭერილათ) მაშ აი ჩემი პასუხი. თქვენ ვერც კი წარმოგიდგენიათ, რომ მე თითოეულათ გავარჩევ ყველა თქვენ სისულელეებს... მე ხელთა მაქვს მთელი საქმე თქვენ შესახებ... სამწუხაროთ მე ის გვიან მივიღე, მაგრამ ახლა მაინც ხელში მაქვს... თქვენ რულ გქვიან?..

უან რულ. უან რული მქვიან თუ სხვა რამე—ეს თქვენ რაში გეკითხებათ?

არგანდ. მეკითხება თუ არა, ამასაც ახლავე მოგახსენებთ...
თქვენ შემოძვერით ჩემ ქარხანაში ყალბის მოწმობით!..

ჟან რულ. უამისოთ განა თქვენ მიმიღებდით? კიდეც რა-
ლას ბრძანებთ?..

არგანდ (უფრო და უფრო ცხინდება) თქვენ ორჯერ იყა-
ვით მიცემული სამართალში საფრთხეში ყოფნის დროს—აგრე-
თვე სხვა ადგილებშიაც საზღვარ გარეთ, ერთხელ ქურდობი-
სათვის, მეორეთ იმისთვის, რომ ძალდატანებით გაფიცვის
ახდენდით... თქვენ კიდეც მთავრობის განკარგულებით გადა-
სახლებული იყავით და ჩუმათ გამოიპარეთ...
ჟან რულ. კიდეც რაღას ბრძანებთ?..

არგანდ. კიდეც აი რას! თქვენ ერით ანარქისტებს
საქმეშიაც... თქვენ ხართ ქურდი, აუზაკი, კაცის მკვლელი.

ჟან რულ. შემდეგ რა?

არგანდ. შემდეგ აი რა! (ადგება განრისხებული) მე რომ
თქვენ მართლმსაჯულების ხელში მიგცეთ!..

ჟან რულ. (ამაყათ და მუქარით) მიმეცით!..

რობერტ. (ჩაერყვა) ვინც უნდა იყოს ეს კაცი, მამაჩემო, ის
ვხლა აქ თქვენი მფარველობის ქვეშ იმყოფება... თქვენ და
მე უნდა ვიყოთ იმისი მფარველი!..

არგანდ. (რობერტს გაცოფებით). შენ... (სიტყვას აღარ
ათავებს, გაშმაკებით მაშორუნდება წარმოსადგინებებს) რის მაქ-
ნისი ხართ თქვენ აქა?.. დაიკარგეთ აქედან... მე თქვენ გაძე-
ვებთ აქედან. გაძევებთ... წადით გამშორებით ჩქარა!..

ჟან რულ. სწორეთ ამას მოველოდით თქვენგან...

არგანდ. დიახ!.. დიახ!.. მე თქვენ გაძევებთ!.. წადით,
შორს!.. შორს აქედგან!.. (წარმოსადგენელი გაუმართებლად
კარგბისაკენ, ჟან რული გზას აძლევს, შათ, თათონ კი არ იძვრის).

ჟან რულ. (მიუბრუნდება არგანდს) ასე, თქვენ აირჩიეთ
ომი... ომი სასტიკი... ომი უღმობელი... გახსოვდეთ, რომ
ჩვენ ხუთი ათასი ვართ.. ჩვენ თუ გულგაღელილი დავუხდგ-

ბით თქვენი სალდათების თოფ-ზარბაზნებს... ამას მაინც შევიძლებთ, რომ ყველანი ერთათ დაეიხოკოდ აი უკანასკნელი ჩემი სიტყვები,.. (გადის).

გამოსვლა V I

არგანდი, რობერტი.

არგანდ. (აღფრთხილებული დადის ოთახში) შენც გაგაგლებ აქედან, წადი აქედან!.. არასოდეს აღარ დამენახო!.. შორს, შორს ჩემგან!..

რობერტ ოხ მაშაე!.. თქვენ თითონ გსურდათ, რომ ეს ასე მომხდარიყო!.. (გადის)

გამოსვლა V I I

არგანდი, მერე ლაქია.

არგანდი დიდხანს დადის ოთახში. ის ისე დაბნეულია, ისეთი მოძრაობა აქვს, რომ მხადათ ეტყობა ძალიან ებრძვის მრისხანებას და ცრემლებს იკაეებს. შემოდის ლაქია.

არგანდ. ახლავე აქ მომგვარეთ ბატონი მეგრე.

ლაქია ამ საათში, ბატონო ჩემო! (სიჩქარით გადის. არგანდი ხელახლა სიარულს დაიწევებს, სასოწარკვეთილება ეტყობა, ბოლოს დაბნეული ხაეშკება სავარძელში. პირზე ხელს აიფარებს და ქეითინებს. შემოდის მეგრე.)

გამოსვლა V I I I

არგანდი, მეგრე.

მეგრე. (არგანდს რომ ასეა მდგომარეობაში ნახვს, გამ-

● კარგად უფრო შერდგება ჩარკაში, შემდეგ მაფარდება მას) ბ-ნი არ-
განდ, რა მოგივიდათ? თქვენ სტირით!.. თქვენ!.. ეს შეუძ-
ლებელია!.. ბ. არგანდ!.. (არგანდი ჰასუს არ აძლევს, განაგრ-
ძობს ქვითანს) გვედრებით, მითხარით რა მოხდა!..

არგანდ. მე თითონ ვარ დანაშაული, დანაშაულა ვარ!..
ყველაფერი ჩემი ბრალია!..

მეგრე. რა დააშავეთ, მითხარით!..

არგანდ. მე დავიბენი!.. დავკარგე გონება!.. ოხ, ეს
მართლაც რომ სიგიჟე იყო!.. გავგიჟდი!.. გავაგდე ყველანი,
სულ ყველანი!..

მეგრე. მითხარით, რა მოხდა—რა?

არგანდ. ოხ, არ ვიცი, არაფერი არ ვიცი, მეგრე ..
რატომ ჩავიდინე ესა!.. (მეგრეს ხელს ჩაჰკიდებს)

მეგრე. ბ. არგანდ!..

არგანდ. მე მეტი ღონე აღარა მაქვს!.. მე არა მაქვს
გაბედულება!.. მე ვგრძნობ მხოლოდ, რომ აქ რაღაც მომწყ-
და (მეგრეს ხელს გულზე მიადებს)... შეილი წამართვეს...
იმათ მომტაცეს მე შეილი... გაიგეთ ესა, მომტაცეს მეთქი
შეილი და ეს მოხდა ჩემისავე ბრალით... მე ვერ მოვახერხე
მისი გულის მოგება, მოლობა... მე იმას მეტისმეტათ მკაც-
რათ მოვეუყარ, მე ის დავტანჯე!.. რაკი შეილი წამართვეს—
წაიღონ ჩემი ქარხანაც, წაიღონ მთელი ჩემი ქონება, ყვე-
ლაფერი წაიღონ... ყველაფერი რაც მაბადია... ყველაფერი
შათთვის მიმიცია... ყველაფერი...

მეგრე. ნუ თუ თქვენ ამბობთ ამას!.. თქვენ ვერ იტ-
ყვით ამას, ვერა...

არგანდ. დიახ, დიახ!.. მეგრე!.. ამას ვამბობ მე, მე ვამ-
ბობ ამას—იცოდე შე!..

მეგრე. არა მეთქი!..

არგანდ. მეგრე კიდევ, (აღდის ძაღდატანუბია) მე მეგონა

პატროსანი კაცი ვიყავ!.. ყველასათვის კეთილის მყოფელი მეგონა ჩემი თავი!.. მეგონა დაულაღავი, პატროსანი და უმწიკვლო შრომათ ვატარებდი ჩემ სიცოცხლეს!.. ჩემი სიმდიდრე, რომლითაც მე ვამაყობდი—რა სულელურია ამაყობაა—იმიტომ, რომ ეს ამაყობა ასაზრდოებდა შრომის უზომო წყურვილს!.. ისიც მეგონა, რომ ჩემი შრომით შეძენილ სიმდიდრეს მე სხვასაც უხვათ ვუნაწილებდი, რომ მათაც ვაბედნიერებდი!.. ღიახ!.. ჩემი სიმდიდრე!.. მე მწამდა, რომ ამ სიმდიდრეს ბოროტათ არ ეხმარობდი!.. რომ მე შევიძინე, დავიმსახურე იგი!.. რომ ის მე მეკუთვნოდა!.. ერთი სიტყვით!.. ერთი სიტყვით მწამდა, რომ ეს სიმდიდრე შექმნილია ჩემის გონების ძალით!.. რომ ის ჩემის ტვინის საკუთარებაა!.. ქმნილებაა ჩემის ნების, ღვიძლი შეილია!..

მეგრე. განა ეხლაც ასე არ ირის?

არგანდი. (საღუღიანათ) ღიახ!.. თითქმის რომ აღარაა ასე!..

მეგრე. პატროსნებს ვფიქვავ, სიზმარი მეგონია ყველა ესა!.. როგორც ვხედავ, ამ აღამიანებმა თქვენ გონება ავირიეს!.. ეს სწორეთ მეტის მეტია!..

არგანდი. მართალი თუ გინდათ, იმათ მე ყოვლად სამართლიანი მოთხოვნები წარმოგიდგინეს!..

მეგრე. სამართლიანი!.. ეან რულმა!.. ეს სწორეთ საკვირველება იქნებოდა ჩემთვის!..

არგანდი. იმათ სურთ იცხოვრონ—სხვა არაფერ. ეს ხომ დანაშაულობათ არ ჩაეთვლებათ!..

მეგრე. კიდევ თქვენმა იქვიანობამ შეგიპყროთ. ახლა სრულიად არ არის ამავების დრო, ბატონო არგანდი. გთხოვთ ხელახლა მოიკრიბოთ მთელი თქვენი ენერგია!.. თქვენთვის ეს ძალიან საჭიროა, თორემ უამისოთ თქვენ მეტი უბედურება მოგელის!.. თუ ტყუილ ოცნებას დაემორჩილეთ, მაშინ ველარაფრის გაკეთებას ველარ შესძლებთ, გეფიცებით!.. თქვენ არ დამიჯერეთ და აგერ სამი ღამე

უპილოთ გაატარეთ, თავს იკლავთ გადაშეტებული შრომით და ფიქრით!.. რაც უნდა დიდი იყოს ადამიანის ღონე, მას მაინც საზღვარი აქვს, როცა სხეული უღონოა, მაშინ იმისი სულიც დიდათ აღარ ფასობს. თქვენ რომ დროზე რიგიანათ მოგესვენებიათ, არაფერი იმის მსგავსი არ შეგემთხვეოდა!.. აი მე ვისვენებ, ყოველ ღამე კარგათ მძინავს, იბიჯობაც არაფერი ამისი მსგავსი არ მომივა!.. ასე რომ არ ვიტყვოდე, დავუცემოდი კიდევ სულით, უკუვიქცეოდი როგორც დედაკაცი!..

არვანდ. ეს ასეა, მეგრე, მაგრამ ჩემი შვილი.

ჩემი შვილი!.. (ამ წყაში ქუჩადგან მოახმას ნ.წ. ც-ნ.წ.მ.მ.ტ. სმუბა სიე ირის, არვანდი და მეურე ერთმანეთს გადასქდევს და დაყუბუბენ; სიეფირის სმ. უფრა ცხადია მოსისისი).

მეგრე. ეს ჯარია!.. გვეღირსა!.. (მადის ფანჯარასთან).

არვანდ. (უამქდათ ხელს აქსევს) მოვიდა კიდევ!.. (სმა შიანდ. აფდება).

ფ ა რ დ ა.

მოქმედება შეთანხმება.

გზა ჯვარადინა ტყეში. ბნელი ღამე დგება. მარცხნივ პატარა გორაკი, რომელზედაც ხის ჯვარია ამართული; მზე ხეებს მიფარებია; ხეების ბნელი მოხაზულობა ცხადათ მოჩანს ჩამავალ მზის შუქზე. დასავლეთით გზა განათებულია, ჩამავალი მზის ალისფერი სინათლით აღმოსავლეთით კი გზას უკვე ეფინება საღამოს ჩრდილი; ტყეში მოვარდისფრო მოლურჯო ნისლი ჩნდება; ამ მოქმედების დროს სინათლის შუქი თანდა-თან ნელ-ნელა იკლებს, ქრება და გზებს სიბნელე მოეფინება. ტყე სრულ-ათ დაბნელდება ცას, რომელზედაც აგერ-ეგერ ვარსკლავები კიმცემის იწყებენ, მკრთალი სილურჯე. გადაეყვრის, ბოლოს ისიც ბნელდება და სრულიად დაღამდება.

კამასკლა I

მადლენა, ჟან რული.

ფარდა რომ აიხდება, სცენაზე ჯარის კაცთა პატრული გაივლის აფიცრის უფროსობით. როცა ისინი მიიმალებიან, ტყიდგან ჟანი და მადლენა გამოვლენ—ხელი—ხელ ჩაკიდებული; შესდგებიან და ყურს დაუგდებენ ჯარის კაცთა ფეხის ხმას, მერე ჯვრიან გორაკზე აღიან. ამ წუთას ჩამავალ მზის წითელი შუქი სწრაფად მი ნათებს ჯვარს და მაშინვე ჰქრება. მადლენა თავშიშველდა, ტანზე თალხი მოსახსამი ასხია. ხელში უპირავს რამდენიმე აუნთებელი ქალაღდის ფანარი. რომელსაც სდგამს გორაკის საფეხურზე. ჟან რული აქეთ-იქით დააყურებს—ღრმა სიჩუმეა.

ჟან რულ. (თიანქმას ფუჩუნია) მე თითქმის ვერაფერს ვეურობ...

მადლენ. ეს უკანასკნელი დარაჯია. ისინი ვერასოდეს ვერ მოიფიქრებენ, რომ ჩვენ აქა ვართ!.. პრედერუაში მიმავალ გზას დრაგუნები იცავენ... ჩვენ აქ ხელს ვერ შეგვიშლიან!..

ჟან რულ. შენ არ გეშინია, რომ ანთებული ფარნები.

მადლენ. არა!.. არა!.. ჩვენ შორსა ვართ ქალაქზე და დარაჯებზედაც... ჩვენ იქ გვითვალთვალვებენ!. ამას გარდა, ამელამ უმთვარო ღამე იქნება... მაგრამ საქ-როა, შენ კარგათ გხედავდენ ჩემენგლები... ჩემი ჟანი კარგათ დაინახონ... როცა ის ლაპარაკს დაუწყებს ხალხს... (ჟანი საფეხურზე ჩამო-ჯდება. ის ჩაფიქრებულია მაღლენა რამდენიმე ტოტის მოტეხს. შერე იქვე გარაკის სწორე ადვილას ფანრებს ჩამწკრივებს) თითქო დღესასწაული იყოს!..

ჟან. დღესასწაული!.. (სიჩუქე). ნეტავი მოვიდოდენ და!..

მადლენა. მოვლენ!.. (ფანრებს დაამწკრივებს და ჟანს შოუ-ახლაუდებს) ამა-ა გთხოვ, ნუ აღელდები!.. ძალა დაატანე თავს, ეცადე დამშვიდებული იყო—გვედრები!.. სანამ ისინი მოვიდოდენ, ხომ არ გინდა ცოტა გაიარო?..

ჟან. არა!.. არა!.. მე მიჩვენია კიდევ შენთან დაჯრე ცოტა ხანს!.. დაჯექ ჩემთან, მომე შენი ხელი!.. (მაღლენა ხელს აძლევს).

მადლენა. რა ცხელი ხელები გაქვს!.. შენ სიმშილი გკლავს!..

ჟან. (უარას სიშინათ თავს გააქნევს). მე მტანჯავს ისა, რომ იმათ ჩემი ნდობა ალარა აქვთ!.. რომ ისინი უფრო და უფრო შორს მიდგებიან, ჩემო საყვარელო მადლენა!. ზოგნი დაილა-ლენ ბრძოლაში, ზოგს ჰგონია რომ ვლალატობათ, რადგან-ნაცმე ზათგან გამბედაობას ეახოულობ! მუდამ ერთსა და იმა-ვეს ვხედავ!.. ეს ბელგიიდან მოსული ფულები რომ არ მოსწრებოდათ, რომლის წყალო'ითაც ცოტათი კუჭი დაიკმა-ყოფილეს, ორი დღით ადრე მიატოვებდენ ყველაფერს!.. მამაშენიც კი!..

მადლენ. ოხ! მამაჩემი ავათაა!.. მან ნამეტანი ბგვრი შდეღვარება აიტანა!.. მას უკან, რაც წარმომადგენლებმა არგანდი ინახულეთ, ის თითქმის გრძნობა დაკარგულია—ის

აერია თავბოლო!

ჟნ. მისი გონება იქითკენ მიდის—მისი ბატონისა... ის მზადაა ქარხანაში დაბრუნდეს... სხვებიც ამასვე ფიქრობენ! მერე, თუ უნდობლობა ერთხელ კი შეიპარა ბრბოს ტყეში, მშვიდობით—ყველაფერი გათავებულია!

მადლოე. ამიტომაცაა, რომ სარგებლობენ მათის ისუსტით და უფიცობით!.. შენც ეს კარგათ უნდა გცოდნოდა... მაგრამ შენ ეხლა ადვილათ შეგიძლია ხელახლა მოინადირო ისინი!..

ჟან. (თავს ქსკით) იმათ არა აქვთ შეგნება თავგანწირულებისა!.. სიმშლილი მეთ თ აშინებთ, სიკვდილის წარმოდგენით კი საშინლად თრთიან!..

მადლოე. უნდა დაასწავლო სიმშლილის ატანა და სიკვდილის უშიშრად დახვედრა!

ჟნ. რა ნაირათ?.. მე ტყვილათ ვიმტვრევ თავს, მაგრამ ვერაფერი კი ვერ მომიფიქრებია!..

მადლოე. უნდა იმოქმედო სიმშლილით და გულკეთ ლობით!

ჟნ. მაშინ ისინი მხდალს მიწოდებენ!..

მადლოე. ვანა ქრისტე მათრ ხის ცემით აფრთოვანებდა ხალხს? (ჟანა სადღედახათ, გაქსეეს თავს) ადამიანები იმავ ადამიანებათ დარჩენ! არაფერი მათში არ გამოცვლილა! (მადლოე ნახს და დაეუბნა: ხელუბით ჟანის მხარეს) ლმობიერათ და სირბილით მოიქეც, ნუ გაცხარდები!.. და უბრალოთ ელაპარაკე, ვცადე ადვილად გაიგონ რასაც ეუბნები... უხეში კანის ქვეშ იმათაც საბრალო, უმწეო ბავშვის გული აქვთ და მშიშარა გაუბედავი სული! ნუ დაიშორებ მათ მკვანხე მოქცევით... ეცადე კეთილი და ლმობიერი იყო მათთან იმ შემთხვევაშიაც კი, როცა ისინი შეურაცყოფას გაყენებენ; აბატე მაშინაც კი, თუ რომ იკადრეს და დაგარტყეს კიდევ!.. ისე მოეპყარ, როგორც საბრალო ავადმყოფს მოეპყრობიან ან ბატარა ბავშვებ!..

ჟან. ახ, მადლენა! რა კეთილი გული გაქვს!.. რამდენათ... დაბლა ვდევარ მე შენზე!.. რა უღონო რამა ვარ შენს შედარებით!..

მადლენა. ნუ ამბობ მაგას, ჟან! მე რაღა ვიქნებოდი შენ რომ არ ყოფილიყავი ჩემთან? მოიგონე, რა სუსტი და რა გაუბედავი არსება ვიყავ, როცა შენ გაგიცან! და რა სიბნელე სუფევდა ჩემ სულში? მაგრამ, როგორც შენ გაჩნდა, გაიღვიძა შიძინებულობა სულმა; მოლონიერდა მისუსტებული ძალა და იქაურობა გაანათა ახალმა შუქმა; ეს შენი სინათლე იყო შენი შუქი იყო, ჩემო საყვარელო ჟან!

ჟან. ეხლა!.. ეხლა!.. შენ გამამხნევე შენ მაძლევ ძალას, ჩემო მადლენა, შენ აღადგინე გამქრალი, დაცემული სულიერი ძალა, როცა ის ასე ირყევა... ჩემ მისუსტებულ სულს შენ უჩვენე წყარო ახალი იმედის, ღრმა რწმენის... შენ თვალეში, შენი თვალების* ციურ სიღრმეში ვხედავ მე მომავლის ბრწყინვალე ვარსკლავს!.. ვხედავ სინათლეს თავისუფლების, ვხედავ დასაწყისს განთიადისას!.. და მე, მარტო მე გამოვიცან ეს საიდუმლოვანი შენ თვალეში!..

მადლენა. გახსოვს, მე რომ ესტიროდი? (თავს ეუღლსე შიადებს ჟანს). მარტოკა ერთი შენი შეხედვა აშრობდა ჩემ ცრემლებს... როცა შენი ხმა მესმოდა, ჩემო ჟან, ჩემ თვალწინ იხატებოდა მშვენიერი კოშკები... სასახლეები საცა ოქროში და ვერცხლში ჩასმული ლატაკები ნეტარებდენ... ყველა ჩემი ზრუნვა, ყველა ჩემი ნაღვლიანი ფიქრები ბრწყინვალე სხივებათ გარდაიქცეოდენ, ფრთა შესხმულ, მშვენიერ წამტაც ოცნებათ მებატებოდნენ, თითქო ნაზი ყვავილებიაო... ოხ, შენ ვერც კი წარმოიდგენ ჟან, რა გავლენა ჰქონდა ჩემზე შენ სიახლოვეს!.. როცა შენ ჩვენთან იყავ, ჩვენი ლატაკი ქოხი ნამდვილ სასახლეთ იქცეოდა! .

ჟან. მადლენა!.. მადლენა! . ყველა ამას მე შენ ცრემლებში ვხედავდი!

მადლენა. პატარა ძმები!.. ვახსოვს, ისინი რომ ატირდებოდნენ, შენ მიუხილვით დაიჯდნენ და ისე ტკბილათ, ისე ნაზათ ელაპარაკებოდნენ! ისინიც გაგილიმებდნენ და შენ ხელში ისე ტკბილათ ჩაეძინებოდნენ, თითქო ბედნიერება და სიხარული მოიპოვესო!.. (ჟანი გადაესხვა მადლენას). აი იმათაც ისე მოეპყარ, ჟან, რომლებიც ახლა შენთან მოვლენ! ისე მოეპყარ, როგორც ეპყრობოდი ჩემ ძმებს, როგორც მე შეპყრობოდი!.. მაშინ ისინიც ისე გაგილიმებენ, როგორც პატარა ბავშვები გილიმებდნენ—გაგილიმებენ და გაგყვებიან საცა წაიყვან... სასიკვდილოთაც კი არ დაიშურებენ შენთან წავსლას... გაგყვებიან ღიმილით და სიმღერით!..

ჟან. ოხ, მადლენ, მადლენ!.. მე მზადა ვარ ავიტანო ყოველივე გაქვირება! რაც უბედურება არ შემხდეს, რა ტანჯვა, რა წამება, რა დალატიც შემხვდეს—ყველას ავიტან, ყველას გავუძლებ!.. ამის შემდეგ მე აღარ ვუჩივი ჩემ ხვედრს, რადგანაც ვხედავ, რომ მან მე მარგუნა უდიდესი, უსაზღვრო ბედნიერება—შენი სიყვარული, (გადაესხვა ერთმანეთს) ოხ, მოიტა შენი თვალები. ჩამახედე შენ თვალებში, რომ იმათმა სიღრმემ ანთოს ციური, ძლიერი ცეცხლი ჩემ უძლურ თვალებში. (უფრო სხესხვა ერთმანეთს და ჰეობნიან) კიდევ... კიდევ... ოხ, არასოდეს რომ არ დასრულებულიყო ამისანა სანეტარო ღამე...

მადლენა. (უფროსად წამოადგება) გაჩუმდი... წყნარა; წყნარა... ყური დაუგდე!.. (რამდენსამე ნაბიჯს წადგამს და უფროსად უგდებს). ფეხის ხმა მესმის. ლაპარაკიც .. ისინი არიან... (ჟანი ადგება, შუბლზე ხელს გადაისობს).

ჟან. აბა?..

მადლენა. (სელახდა მიუხილვით ჟანს) რაც უნდა სთქვან, როგორც უნდა მოიქცენ, შენ ეცადე, ჩემო ჟან, დამშვიდე-

ბული იყო, ეცადე, რბილათ მოეპყრა—გახსოვდეს, რომ შენ ეს უკვე აღმითქვი...

ჟან. (დაბლა) ჰო ..

მდღენა (შიდის მარჯვენა ბილიკზე და ეძახის გაფიცულთა, რომლებიც ჭერ არ გაშორენილან) აქეთ.. აქეთ.. (ბილიკზე გამოჩნდება გაფიცულთა, ჭკუიყუები და ცალკე-ცალკე).

გამოსვლა II

ჟან რული, მადლენა, ფილიპე ურტო, პიერ ანსომი, ეოზეფ ბორდი, ეულაპკო, ზეფირინ ბურრი ფრანსუა გუეი, პიერ პენარდი, გაფიცულნი, ქალები, ბავშვები.

პიერ ანსომი. გამარჯობა, მადლენა...

მადლენა, გაგიმარჯოს, პიერ ..

პიერ ანსომ. (შიდის ჟანთან) ფრთხილათ იყავ .. აქ ისეთებიც არიან, რომლებიც ცული განზრახვით მოვიდნენ...

ჟან. მე ეს ვიცი, პიერ... მაგრამ მაინც უნდა ველოპარაკო მათ

პიერ ანსომ. რანდენიმე დღეა მაგათ აღელვებენ შენ წინააღმდეგ... მაგათი ჯიბეები რომ დასინჯოთ, იქ ფულებსაც იპოვით, რომლებსაც მეგრეს თითების სუნი ძალიან უღის...

ჟან. შენ სცდები, პიერ! აქ მხოლოდ ისინი არიან, რომლებსაც სულის სიმტკიცე აკლიათ, ხოლო მოლაღატენი რომ იყვნენ—ამას არ დავიჯერებ...

პიერ ანსომი. ქვემძრომნი ყოველგან მოიძებნებიან ფრთხილათ იყავ. მე შენ ყველაფერში გენდობი, მე შენი ვარ, კარგადაც ვდარაჯობ შენ ნაქმეს, ძალიან ფრთხილადაც ვარ...

ჟან (ხელს მაგრა მოუჭერს ჰიერს) ვაჟაკური გულის პატრონი თურმე ბევრი მოიპოვება!.. გმადლობ ამხანაგო! მე ყოველთვის მქონდა შენი იმედი. (გაფიცულნი ემატებიან. ზოგს

ტყევის ფართოება აქვთ და თავზე ქედები სურავთ, რომლებიც, თვალზე აქვთ წამოღებულა; სოცნი სკარელ ტანისამოსში არაან სოცნი ძონსებით; ქალებს გრძელი შავი მოსახხამი ასხათ და თავი წასუეული აქვთ იავსახუეით. სოცს ბავშებიც მოჰყავს სელ ნაიდებული, სოცსაც ნატარება ხელში ჰქეკი აყუნილი. სხე უფლას ვაჰსილა. გუეითლებული აქვს, იტყუათ გუეუარება და სიმშალი არ მთორეილა არასოდეს! სოცს იგანრა სხე აქვს რომელიც შეჩუელაულში კიდე უფრო მეტრს და გამომეტყუელი მოქანს. მოდიან მარჯვნიდან, მარცხნიდან, უფლა მხრიდან უფლა გზით და ტყის ბილაგებით. მადლენა ფანჩკას ანთებს უნი ღდის გორავსე და ჯვარზე მუედეუელი ღვას. იმისი სერო-სული სხე ფანრის სინთლითაა განათებული. უნი თვალს ადე-გნებს, როგორ იუფა ბძბო ჯგუფებთ. მადლენა წუნარად გან-გრძობს ფანრების ანთებას. გაფიციულთა შორის იწყება ბასი სრბო ხმურბის, კუგუნების)!

უოზეფ ბორდ. (მარცხენა ჯგუფიდან) წყნარა... უყურეთ მაგას—ერთიანათ გაფითრებულია...

უუილ პაკ. ეჰე!.. ეშინიან!.. ეხლა აღარ იგრიბება და დიდ ქვეიანათ ველარ მოაქვს თავი... ჩვენ ის ველარსა წა-გვვა...

უოზეფ ბორდ. რაც უნდა იყოს, მაგან თავი უნდა გაი-მართლოს!..

უუილ პაკ. ღარწმუნებული ვარ, ვერაფერსაც ვერ გვეტ-ყვის...

პიერ პეინარ. რა ამბავია?.. ვიზე ამბობ შენ მაგას—შენ?..

უუილ პაკ. შენ ღაზე... (იფიანან. ჰეირანდა შეერევა ხალხში მხრებს აშეშნით.)

უოზეფ ბორდ. პა-პა-პა! რა გაჩირალდნებულაა აქაურობა! სწორეთ რომ მშვენიერებაა!.. გაჩირალდნებაც ასე უნდა—აი!.. ნეტა იცოდე, თოთხმეტი ივლისი ხო არ არის დღეს?.. (ასმის. სიღრვა: უგუეოფილო უფსში არეუი. მარბა და მკოც.)

მომადგენლობის მარცხსა და ბრბოში. მარჯვენა ვაჟი უნდა იქნას, უნდა... (მედიკოსების).

ფრანსუა გუჟ გეგუნები მე შენ—ჰო მეტიქი!..

შეფირონ ბურა. მე კი გიმეორებს შენ—არა მეტიქი...

ფრანსუა გუჟ. დიახ, იმან ჯიბეში ჩაიღო ფულები!..

შეფირონ ბურა. გაიმეორე ერთი კიდევ!..

ფრანსუა გუჟ. დიახ, იმან ჯიბეში ჩაიღო ფულები!..

შეფირონ ბურა. მამ შენ აი, ეს ჩაიღე ჯიბეში. (სადაც გაატყუა მ.) წადი და არგანდს ძღვენად მიუტანე ეს სილა. იმ პატროსან არგანდს, რომელიც შენ აქ გგზავნის ცილის მწამებლათ... (უკრძალი, არა-დასჯა; მადგინებანი ამა... დასამკვიდრებათ).

ფრანსუა გუჟ. (ცა ლობს გამოუსხატეს) ძროხები!.. ურქო ძროხები!.. (წაუფიქრებენ და ის მომადგება ბრბოში).

ხმა ბრბოდან. გაჩუბდით!

მორა ხმა. მოგვაშორეთ ეგა!..

პიერანსონი. თქვენ თუ ასე დაიწყეთ ღრიალი, სალდათებსაც მოიყვანთ გასაშველებლათ...

ხმები. (რომლებიც მოისმის სხვა და სხვა მხრიდან.) ჩუმათ!.. ჩუმათ... (როტა-როტათი წესიერება ჩამოვარდება, ყვირილი შესწყდება. მადგუნა ჩამოვარდება გასაკის ზეგითა საფეხგამსუქებები, ერთი მეორეზე შეჯგუფული, ჩამოვარდებაან ქვემო საფეხურებზე. ეს რულა რამდენსამე ნაბიჯს გადასდგამს წინ. ის დამშვიდებული და ფერ-მკრთალი; მოჩანს მსოფლიდ სხვა იმისი; სეჟს მადლა აიშეგანს).

რამდენიმე ხმები. (სხვა და სხვა მხრიდან) უსმინეთ... უსმინეთ... (მოძრაობა. ბრბო ეგრეს უბლებს) ეს რული. (მტკიცეთ) ჩემო მეგობარო!

ხმა ბრბოდან. ჩვენ სრულიად შენი მეგობრები არავართ... (უკრძალი) სიჩუმე, სიჩუმე!.. უსმინეთ რას იტყვის.

